www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 16 აგვისტო, 2004 წელი. №193 (742)

ფასი 50 თეთრი

# თეთრი ლაქა

## ჯანმრთელი კვება საქართველოში პრობლემად რჩება

*სალმონელოზის 47 შემთხვევა, შიგელოზის - 344, ნაწლავთა სხვა ინფექციების - 200, კვებითი ინტოქსიკაციების - 178, ამებიაზის - 19, დაუდგენელი წარმოშობის დიარეების - 2131, ჭილების - 13, ბრუცელოზის - 63. ასეთი გახლავთ კვებითი ინფექციების ის სტატისტიკა, რომელიც საქართველოში 2004 წლის ხუთ თვეში დაფიქსირდა. როგორც ექსპერტებთან საუბრებში ირკვევა, იგი არასრულია. მათთან საუბარში ირკვევა ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობა, პრაქტიკულად, დაუცველია საკვების გზით ავთვისებიანი სიმსივნით, ტუბერკულოზით, ალერგიებითა და სხვა სახის ნოზოლოგიებით დაავადებისგან. საზოგადოებამ ამის შესახებ, თითქმის, არაფერი იცის.*



## ბაზრებში ცუდად შემოწმებული რძისა და ხორცის პროდუქტები იყიდება

### მოსახლეობა ტუბერლკულიოზისა და ბრუცელოზის საფრთხის წინაშე დგას

ოთარ ქირია

*ახალი ხელისუფლების მოსვლასთან ერთად, ფარდა ბევრ რამეს აეხადა, ბევრი რამ კი თანდათან ხდება ცნობილი. ვეტ-დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელობის ინფორმაციით, საქართველოში რძე და ხორცპროდუქტებს ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე ვერ ამოწმებენ.*

სტატისტიკა ამ დაავადებების მატებას ადასტურებს, როგორც ადამიანებში ისე ცხოველებში. ვეტ-დეპარტამენტის ახალი ხელმძღვანელის ლევან რამიშვილის განცხადებით კი, საქართველოში პრაქტიკულად შეუძლებელია ხორცისა და რძის პროდუქტების ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე გამოკვლევა. გამოდის, დღემდე არ ვიცით, რა ყველსა და ხორცს ვჭამდით. შესაძლოა, ნებისმიერი ეს დაავადებები ნებისმიერ ჩვენგანს აღმოაჩნდეს. ეს ეხება როგორც ბაზარში, ისე მაღაზიებში ნაყიდ რძისა და ხორცპროდუქტებს. ე.წ. სოფლის რძე და რძის პროდუქტები "კორპუსებში ჩამოტარებით", ბაზარში გაყიდული ნებისმიერი სახის რძისა და ხორცპროდუქტები და ა.შ. შავ სიაში არ ხვდება მხოლოდ ქარხნული წესით დამზადებული პროდუქტები. ანუ ბაზარში, მაღაზიებში და საერთოდ ნებისმიერ ადგილზე ვაჭრობა რძისა და ხორცპროდუქტებით ყოველთვის საშიში ყოფილა.

საშიშროებას პირუტყვში გავრცელებული ცოფი, ჯილეხი და თურქულიც წარმოადგენს. შარშან საქართველოში ცოფისგან შვიდი ადამიანი გარდაიცვალა, არადა ცოფზე მოსახლეობის იძულებითი აცრების მხრივ ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზეა.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ვერცხლი უკვე პროგრესია

კახა ფარუაშვილი
*ათენიდან*



*ორიოდე დღეა, რაც ათენში ჩამოვედი და უკვე იმდენი კურიოზი მოხდა, ჩვენი მკითხველი ნამდვილად არ მოიწყენს. როგორც იქნა, დიდი ფიესტაც დაიწყო; ჩვენც თანდათან შევუდგეთ ორკვიარიან მარათონს და შევიტყოთ ის, რაც ტელეეკრანიდან არ ჩანს.*

**ათენი**

ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალმა ცოტათი დააცხრო ის უკმაყოფილება, რაც თამაშების საორგანიზაციო საკითხებმა გამოიწვია, მაგრამ ორგკომიტეტისადმი დამოკიდებულება ამ შესანიშნავმა დადგმამ ვერ შეცვალა. საქმე ისაა, რომ თამაშები ძალიან ცუდად არის ორგანიზებული; იმდენად ცუდად, რომ ჟურნალისტებმა პროტესტის გამოსათქმელად ორგკომიტეტის ხელმძღვანელობასთან შეხვედრა მოითხოვეს – კერძოდ, გახსნაზე შეიზღუდა სტადიონზე ჟურნალისტების დასწრება და ტრიბუნებზე მათთვის მხოლოდ 1900 ადგილი გამოიყო.

გაგრძელება B4 გვერდზე

## ოსური "დესტაბილიზატორი"

ნიკა იმნაიშვილი

გასული კვირის მოვლენებმა დაადასტურა, რომ შეიარაღებული დაპირისპირება "სამხრეთ ოსეთში" ლატენტურ ხასიათს იძენს და ეს რეალობა ძალიან დიდი ხნით ჩამოყალიბდა.

სხვაგვარად თუ ვიტყვით, ცხინვალის რეგიონში იწყება ე.წ. "დაბალი ინტენსივობის ომი" – მუდმივი დაძაბულობით, სპორადული სროლებით, დივერსიებით, მძევლებით, პერიოდული დაბომბვებით და ამ კლასის ომებისათვის დამახასიათებელი ყველაზე საშინელი მოვლენით - სნაიპერული ბრძოლით, როდესაც მთავარი სუბიექტი უხილავი, კარგად მომზადებული, მაღალანაზღაურებადი, დაუნდობელი და სასტიკი სნაიპერი (უმრავლეს შემთხვევაში ქალი) ხდება. ამის პირველი ნიშნები უკვე გამოჩნდა.

ასე იწყებოდა ანალოგიური ომი სარაევოში განვლილი საუკუნის 90-იან წლებში. მთავარი სამიზნე ჯერჯერობით (პირველ ეტაპზე) მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო პერსონალი იქნება. მაგრამ ეს მხოლოდ პირველ ეტაპზე - ასეთია სნაიპერული ომის საზარელი ლოგიკა.

აქვე უნდა ითქვას, რომ გვსურს თუ არა, ქართულ მხარეს აუცილებლად მოგვიწევს ამ ლოგიკის მიღება და კონფლიქტის ზონაში შესაყვანად რამდენიმე ათეული სნაიპერის მომზადება.

ბუნებრივია, ამგვარი ომი ყოველ წუთს შეიძლება გადავიდეს სხვა "კლასში" და დაიწყოს მასშტაბური საომარი მოქმედებები – მძლავრი შეტევებით ქართულ სოფლებზე - თუ მოსკოვი ამას მიზანშეწონილად ჩათვლის.

გაგრძელება A2 გვერდზე

## საომარი მოქმედებები ცხინვალში და ინფორმაციული ომი რუსეთთან

ნინო გომართელი

მიუხედავად საქართველოს ხელისუფლების და სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო მთავრობის 13 აგვისტოს თითქოსდა მიღწეული შეთანხმებისა კონფლიქტის ზონაში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, ცხინვალში კვლავ ისმის სროლები და არიან დაჭრილებიც.

შეთანხმება მხოლოდ ფურცელზე დარჩა, თანაც უკვე მერამდენედ.

სიონის საკათედრო ტაძარში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II ქვეყნის მთლიანობისთვის და კეთილდღეობისთვის გუშინ პარაკლისი აღავლინა.

**"მთავარია, იყოს მშვიდობა და არ დაიღვაროს სისხლი. მოვუწოდებ ყველა მართლმადიდებელს, ვილოცოთ ჩვენი ქვეყნის მთლიანობისათვის და მშვიდობისათვის,"** - ბრძანა პატრიარქმა.

მაგრამ კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნებაზე აღარავინ საუბრობს, იქ ომის შეწყვეტა უნდათ.

სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ კონტროლირებად სოფელ სარაბუკიდან ოსურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა კვლავ გახსნეს ცეცხლი. 15 აგვისტოს, დაახლოებით 00.30 საათზე მძიმე ტექნიკიდან დაიბომბა დიდი და პატარა ლიახვის დამაკავშირებელი შემოვლითი გზა.

მთელი ღამის განმავლობაში სროლის ხმა ისმოდა დიდი ლიახვის ხეობაშიც. ისროდნენ ძირითადად ქართული სოფლის ხეითის მიმართულებით. ქართული მხრიდან დაიჭრა შვიდი ჯარისკაცი, მსხვერპლია ოსურ შეიარაღებულ ფორმირებებშიც.

ოსური მხარე ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების დარღვევაში ქართულს ადანაშაულებს. სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის მურად ჯიოევის მტკიცებით, ღამით ქართველები

გაგრძელება A2 გვერდზე

### ეკონომიკა

**ფოთის პორტს ახალგაზრდა ხელმძღვანელი ჰყავს**

შაბათს საღამოს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით ფოთის პორტის უფროსად 26 წლის თემურ მიმინოშვილი დაინიშნა.

A4

### უცხოეთი

**გამოჩნდება თუ არა სინათლე რეფერენდუმის ბოლოს?**



15 აგვისტოს ვენესუელაში რეფერენდუმი ჩატარდა. შედეგები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ასობით ათასი ქუჩაში გამოსული ქვეყნის მოქალაქე ღიად აფიქსირებს თავის არჩევანს და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვს.

A5

### საზოგადოება

**მესამე სექტორი კახეთის განვითარებაზე ზრუნავს**



USAID-ის დაფინანსებით, კახეთის რეგიონში არაერთი საგარანტიო პროექტი განხორციელდა.

A6

### სამართალი

**GG&MW-ის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა**

პროკურატურის მოკვლევით, კომპანიის მიერ გადაუხდელი წყლით სარგებლობის გადასახადი საურავებთან ერთად 12 მილიონ ლარს შეადგენს.

A7

### ამინდი

| | 16/8 | 17/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 36 |
| ქუთაისი | 38 | 42 |
| ბათუმი | 36 | 41 |
| სოხუმი | 32 | 39 |
| ფოთი | 36 | 41 |
| თელავი | 34 | 34 |
| ზუგდიდი | 37 | 43 |
| გორი | 33 | 33 |
| ახმეტა | 33 | 34 |
| ჭიათურა | 36 | 37 |
| გაგრა | 29 | 36 |
| სამტრედია | 37 | 42 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8325 |
| ევრო | 2.2340 |
| გირვანქა სტერლ. | 3.3275 |
| რუბლი | 0.0626 |

A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 მთავარი თემა

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 სპორტი | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

მოკლედ

## განცხადება სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედების ესკალაციასთან დაკავშირებით

მძიმე და მწუხარე გრძნობით შევიტყვე სამხრეთ ოსეთში ვითარების გამწვავების შესახებ. ჩვენს ეკლესიაში ღრმა შეშფოთებას იწვევს ამ მიწაზე მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების მშვიდობიანი ადამიანების სიცოცხლისათვის შექმნილი საფრთხე.

კონფლიქტები შეიძლება და უნდა გადავწყვიტოთ მხოლოდ მოლაპარაკების საშუალებით. მსოფლიო მრავალ მაგალითს იცნობს, როცა თანაარსებობენ ხალხები, რომლებიც დამოუკიდებლად საზღვრავენ და ქმნიან საკუთარ ბედს. დარწმუნებული ვარ, რომ ოსებსა და ქართველებს შეუძლიათ იცხოვრონ როგორც ქრისტესმიერ დებსა და ძმებს. მაგრამ, როცა ისმის სროლა, ამისგან, უპირველეს ყოვლისა, უდანაშაულო ადამიანები, ქალები და ბავშვები იტანჯებიან. სამწუხაროდ, ეს უკვე მოხდა მიმდინარე კონფლიქტის დროს. ნარჩუნდება სისხლისღვრის მრავალჯერად გაძლიერების საფრთხე. ადამიანები საშიშ ზღვარს მიუახლოვდნენ, რომლის მიღმა სიკვდილი და ნგრევაა. მის წინ შეჩერებაა საჭირო. ჩემი ღრმა რწმენით, საჭიროა ყველა სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივი შეჩერება და პასუხისმგებელ დიალოგთან დაბრუნება, ხომ ცნობილია, რომ მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე თორმეტი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო ამ რეგიონში მშვიდობისა და სიწყნარის შენარჩუნება. ოსი და ქართველი ხალხები ერთ მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებენ და დაუშვებელია, რომ სარწმუნოებით ძმები ერთმანეთს ებრძოდნენ.

ღვთის მიმართ აღვავლენ დაპირისპირების რეგიონში მშვიდობის განმტკიცებისთვის ლოცვას. დაე, ღმერთმა სიბრძნე მოჰმადლოს კონფლიქტის ორივე მხარეს. ვიზიარებ მწუხარებას დაჭრილთა და მათ გამო, ვინც ახლობლები დაკარგა. ვაფასებ სამართალდამცავთა და სამშვიდობო ძალთა ღვაწლს, რომლებმაც არ დაუშვეს კიდევ უფრო დიდი მსხვერპლი.

რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესია მიმართავს პოლიტიკოსებსა და სამხედროებს: არ დაუშვათ ძმათა მკვლელობის გავრცელება. შეწყვიტეთ ცეცხლი. შეიბრალეთ უდანაშაულო ადამიანები.

*† ალექსი,*
*მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი.*

## მის უწმინდესობას, ალექსი II, მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს

თქვენო უწმინდესობავ,

მოსკოვის საპატრიარქოს ოფიციალურ საიტზე გამოქვეყნდა თქვენი "განცხადება სამხრეთ ოსეთში სამხედრო მოქმედების ესკალაციასთან დაკავშირებით", რომლის შინაარსი გაოცებას იწვევს და რამდენიმე კითხვის დასმის საბაბსაც იძლევა.

1. განცხადება არ ითვალისწინებს, რომ საქმე ეხება კონფლიქტურ სიტუაციას, რომელიც შექმნილია საქართველოს სუვერენული სახელმწიფოსა და საქართველოს საპატრიარქოს კანონიკური იურისდიქციის ქვეშ მყოფ ტერიტორიაზე. განცხადება გამიზნულია იმისთვის, რომ შენარჩუნდეს შექმნილი ვითარება და არ მოხერხდეს რუსეთის მიერ ინსპირირებული და ორგანიზებული კონფლიქტის სამართლიანი გადაწყვეტა.

2. თქვენო უწმინდესობავ, რატომ მაშინ არ გამოთქვით მსგავსი მშვიდობიანი ინიციატივა, როცა რუსი პოლიტიკოსებისა და სამხედროების ხელმძღვანელობითა და "მართლმადიდებელი რუსი მხედრობის" აქტიური მონაწილეობით იმართებოდა ქართველი ხალხის გენოციდი და ეთნიკური წმენდა აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში? ამ გენოციდისა და ეთნიკური წმენდის მსხვერპლნი ხომ მართლმადიდებელი ქართველები იყვნენ.

3. რატომ დაუშვით თქვენ რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მონაწილეობა დაძაბულობის გამძაფრებაში, რითაც ხელს უწყობდით კონფლიქტურ რეგიონებში ანტიქართულ განწყობას?

4. რატომ დართეთ თქვენთან თანამსახურების ნება მღვდელს, ბესარიონ ფილიას, რომელიც, როგორც თქვენთვის ცნობილია, არ ემორჩილება კანონიერ საეკლესიო მთავრობას. რა დამსახურებისთვის იღებს იგი რუსეთის ეკლესიისგან მხარდაჭერასა და ჯილდოებს?

5. რომელ თორმეტწლიან მშვიდობასა და სიწყნარეზე შეიძლება ლაპარაკი, როცა საქართველოს ტერიტორიის ნაწილი ფაქტობრივად ანექსირებულია და ასეულობით ათას დევნილს შინ დაბრუნება არ შეუძლია რუსეთის სახელმწიფოს აგრესიული და ე. შევარდნაძის კაპიტულანტური პოლიტიკის შედეგად?

6. ოსი და ქართველი ხალხი კი არ დაუპირისპირდა ერთმანეთს, არამედ ადგილი აქვს დაპირისპირებას რუსეთის აგრესიულ იმპერიულ პოლიტიკასა და სუვერენული საქართველოს სახელმწიფო ინტერესებს შორის.

ერთადერთი, რასაც ჩემს სამშობლოს ვუსურვებდი, ისაა, რომ რუსეთი ჩამოშორდეს კონფლიქტების გადაწყვეტის საქმეს საქართველოში, რომელიც უკვე მეორე საუკუნეა იტანჯება რუსული სახელმწიფოსა და რუსეთის მართლმადიდებელი ეკლესიის მტრული პოლიტიკის გამო.

რუსეთის მონაწილეობა კი არა, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოლიტიკური ნებაა კონფლიქტთა სამართლიანი დარეგულირების გარანტი.

*დასავლეთ ევროპის მიტროპოლიტი*
*აბრაჰამი (გარმელია)*

# საომარი მოქმედებები ცხინვალში და ინფორმაციული ომი რუსეთთან

პირველი გვერდიდან

ოსური სოფლების სარაბუკისა და დმენისის მიმართულებით რამდენიმე საათის განმავლობაში ისროდნენ.

**"სროლის ადგილზე გასულმა მხარეთა ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებმა და კონფლიქტის ზონაში მოქმედი ეუთო-ს მისიის დამკვირვებლებმა ქართული მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების დარღვევა დაადასტურეს,"** - განაცხადა ჯიოევმა.

კონფლიქტის ზონაში მთელი ღამის განმავლობაში იმყოფებოდა საქართველოს თავდაცვის მინისტრი გიორგი ბარამიძე. იგი პატარა ლიახვის ხეობაში სოფელ ერედვში ჩავიდა და ერთობლივი, ქართულ-ოსურ-რუსული რეიდის შემდეგ განაცხადა, რომ სურდა, რუსი და ოსი ძალოვანები დაერწმუნებინა იმაში, რომ ცეცხლის გახსნა სისტემატურად ხდება ოსური მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე მობილიზებული ბოევიკების მხრიდან.

ეგრეთწოდებულ წვერიახოს ტერიტორიაზე, მაღალმთიან ადგილზე, ბარამიძისა და მისი სტუმრების კორტეჟს ცეცხლი გაუხსნეს.

**"ის ქართველი სამხედროები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე არიან მობილიზებულები, ქართველი და ოსი ძალოვანების და რუსი დამკვირვებლების თვალწინ იდგნენ და საპასუხო ცეცხლს არ ხსნიდნენ,"** – სიამაყით აღნიშნავს თავდაცვის მინისტრი.

მიუხედავად ფაქტის ხილვისა, ოსები და რუსები არ ადასტურებდნენ, რომ ცეცხლი სწორედ ოსურმა მხარემ გახსნა. აქედან გამომდინარე, გიორგი ბარამიძემ მიიღო საპასუხო დარტყმის გადაწყვეტილება და ბოევიკებს საარტილერიო ცეცხლი გაუხსნეს. **"მე ვუთხარი მათ, რომ თუკი მაინც არ სჯეროდათ თავისი თვალით ნანახის, კერძოდ იმის, რომ ცეცხლი ოსმა ბოევიკებმა გაგვიხსნეს, გავცემდი ბრძანებას საპასუხო დარტყმაზე, რაზეც დუმილით მიპასუხეს. მე გავეცი ბრძანება და საპასუხო ცეცხლი გავუხსენით თავდამსხმელებს,"** - განაცხადა ბარამიძემ.

მისივე თქმით, იმ შემთხვევაში, თუ კვლავ გამეორდება ოსური მხრიდან სროლა, ისინი საპასუხოდ საკმაოდ სერიოზულ დარტყმას მიიღებენ.

თუმცაღა, კონფლიქტის ზონაში მყოფ ქართველ ჯარისკაცებს მიღებული აქვთ ბრძანება, იერიშზე არ გადავიდნენ.

**"ჩვენ გვინდა დავანახოთ მთელ მსოფლიოს, რომ საქართველოს გამთლიანება სურს, მაგრამ - მხოლოდ მშვიდობიანი გზით. კონფლიქტის ზონაში მყოფ არც ერთ ჯარისკაცს და ოფიცერს, სერიოზული ზეწოლის მიუხედავად, ფეხი არ მოუცვლია, სულისკვეთება არ დაუკარგავს და ისინი თავდადებულად იცავენ ქართულ სოფლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას,"** - განაცხადა გუშინ საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თბილისის მერიის წინ საპატრულო პოლიციის წინაშე სიტყვით გამოსვლისას.

**"საქართველო აღარ არის უბრალოდ ტერიტორია, როგორც ეს რუსეთის სათათბიროს ამასწინანდელ ცნობილ განცხადებაში ჩანს. ჩვენ ჩამოვყალიბდით ნამდვილ სახელმწიფოდ და სწორედ ამის გამო ახრჩობს ბოლმა ჩვენს მტრებს, გარე ძალებს, რუსეთში მყოფი ქართველების მოძულე ნაციონალისტებს, რომლებიც ცდილობენ, სამხედრო დაპირისპირებაში ჩაგვითრიონ,"** – თქვა მან.

საქართველოს პრეზიდენტის და პრემიერ-მინისტრის არაეთგზის თხოვნა კონფლიქტის მოგვარებაში დახმარების აღმოჩენის შესახებ, შეისმინა საერთაშორისო საზოგადოებამ და გუშინ, დღის მეორე ნახევარში კონფლიქტის ზონაში საქართველოში აკრედიტებული ცხრა ქვეყნის, მათ შორის შვედეთის, ავსტრიის, უნგრეთის, ლატვიისა და ლიტვის დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები გაემგზავრნენ.



REUTERS

*რა მოხდება კონფლიქტის ზონაში დღეს, არავინ იცის.*

თუმცა, სიტუაციის ადგილზე გაცნობის და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გამართვის მიზნით წასულები დე-ფაქტო პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა კონფლიქტის ზონაში არ შეუშვა.

უცხოელმა დიპლომატებმა გაკვირვება გამოთქვეს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების მიერ დაკავებული პოზიციის გამო, რომელმაც უარი თქვა ცხინვალში შეეშვა "უიარაღო ადამიანები", რომლებსაც ჰუმანიტარული მიზნები ამოძრავებდათ.

საბოლოოდ დიპლომატები სოფელ ტყვიავში საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებულთან შიდა ქართლში მიხეილ ქარელთან შეხვედრით შემოიფარგლნენ და კონფლიქტის ზონა დატოვეს.

რა მოხდება კონფლიქტის ზონაში დღეს - ეს არავინ იცის.

დაბოლოს, მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთში სიტუაცია მკვეთრად დაიძაბა და პრეზიდენტმა სააკაშვილმა არაერთხელ გაიშვირა ხელი რუსეთისკენ, მოსკოვსა და თბილისს შორის ისტერიული საინფორმაციო ომი დაიწყო. ახლა არც ერთი რუსული საინფორმაციო გამოშვება თუ საგაზეთო ნომერი არ ჩაივლის ისე, რომ არ იყოს რამე ახალი პროვოკაციული გამოსვლა მეზობელი საქართველოს მიმართ. ვინ რის პროვოცირებას ახდენს, ძნელი გასარკვევია, მაგრამ ფაქტი ერთია – რუსულ მედიას ჩვენთან "საომარი" თემა გამოუჩნდა. და აი "პრესბატალიების" კიდევ ერთი მაგალითი – "ნეზავისიმაია გაზეტას" სტატია სახელწოდებით "რით დასრულდება საქართველოს გამთლიანებისთვის ომი".

**"ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მკაცრად განსაზღვრა ვადები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში პრობლემების მოგვარებისთვის, ერთმნიშვნელოვნად მეტყველებს მისი მხრიდან მოქმედებების ძალისმიერი მეთოდის არჩევანზე,"** – ეს არის პაველ ზოლოტარევის სტატიის პროლოგი.

ანალიტიკური მასალის ავტორი ცდილობს, საქართველოს პრეზიდენტის ქმედებების არსი ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკაში იპოვოს და ამ უკანასკნელის ინტერესები განსაზღვროს.

**"ბატონი სააკაშვილის პოლიტიკა გათვლილია დასავლეთის მხარდაჭერაზე. დასავლეთის დახმარებით მოვიდა იგი ქვეყნის სათავეში. ფული ჩადებულია, დასაშვებია სამომავლო მხარდაჭერის იმედის ქონა. მაგრამ ევროპული დასავლეთი საკმაოდ პასიურია, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს აშშ-ს პოზიციას."**

თუმცა, რუსი გენერალ-მაიორი პაველ ზოლოტარევი ცრუ ოპტიმიზმის მოშველიებითა და ინდიფერენტული დამოკიდებულებით, რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთით რეალური დაინტერესების შენიღბვას ცდილობს:

**"ლოგიკურად ისმის კითხვა: იქნებ არც არის საჭირო ნერვიულობა? არ უნდა საქართველოს ხელისუფლებას რუსეთის აზრის გაგება, გაზიარება და არც არის საჭირო. კავკასიაში ჩნდება მთელი რიგი ახალი პატარა სახელმწიფოებისა, რომლებიც საკმაოდ ლოიალურნი არიან რუსეთთან მიმართებაში. ნატო-ს სამშვიდობოები იქნებიან საქართველოში, სავარაუდოდ, რუსეთის მონაწილეობითაც, იქნება დასავლეთის სამხედრო ბაზებიც, მაგრამ საქართველოს პრობლემებს ისინი ვერ მოაგვარებენ, საერთოდაც ეს ბაზები დასავლეთს არ სჭირდება, ისევე როგორც არ სჭირდება საქართველო. მოვიცადოთ, შორიდან ვადევნოთ თვალყური მოვლენებს, ჩვენ ჩვენი პრობლემებიც გვეყოფა,"** – წერს ავტორი.

# ოსური "დესტაბილიზატორი"

პირველი გვერდიდან

თუმცა, რუსეთისათვის ყველაზე მომგებიანი სწორედ "ნელ-თბილი" (სისხლივით თბილი) სტაბილურობის შენარჩუნებაა, ვინაიდან ამით საქართველოს მუდმივი დაძაბულობის ვითარებაში ამყოფებს.

"სამხრეთ ოსეთი" იქცევა პოტენციურად მძლავრ "დესტაბილიზატორად", რომელსაც, საჭიროების შემთხვევაში, სრული ძალით აამოქმედებენ - ლატენტურ მდგომარეობაში კი მუდმივი შანტაჟისათვის გამოიყენებენ.

სწორედ ამიტომ, საქართველო "დაბალი ინტენსივობის" ომის თავიდან აცილებას ვერ შეძლებს, ხოლო პრობლემის "ერთი დარტყმით" გადაწყვეტის, ანუ ცხინვალის აღებისა და ოსური ფორმირებების გაუვნებლების საშუალებას რუსეთი არ მოგვცემს.

მეორე მხრივ, თუ ძალიან არ დასჭირდა, იგი არც ოსებს მისცემს საშუალებას - სამხრეთ ოსეთი ქართული მოსახლეობისაგან გაწმინდონ ან გორის მიმართულებით განახორციელონ მძლავრი შეტევა.

ნუ გაიკვირვებთ, ვლადიკავკაზში "ერთიანი დიდი ალანიის" იდეოლოგები ამგვარ სცენარსაც ამუშავებენ.

დარწმუნებით შეიძლება ითქვას: დღეს უკვე საქართველომ მართლაც რომ გაიყვანოს "შემოვლითი გზიდან" და სამხრეთ ოსეთის მთელი ტერიტორიიდან დამატებითი შეიარაღებული ფორმირებები (რასაც ცხინვალი და მოსკოვი) მოითხოვენ – ლატენტური ომი ამ ტერიტორიაზე გაგრძელდება და მისი შეწყვეტისათვის მოწინააღმდეგის მთავარი (და ერთადერთი) მოთხოვნა იქნება სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის გავლით რუსეთიდან ტვირთების (კონტრაბანდის) თავისუფალი მოძრაობის აღდგენა, ვინაიდან ეს ტვირთნაკადი ანგრევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკას და არ აძლევს მას თავისუფალი (რუსეთისაგან დამოუკიდებელი) განვითარების საშუალებას.

თუ საქართველო ამას დაეთანხმება, და (პირობითად) "ერგნეთის ბაზრობას" აღადგენს, - მაშინ ვითარება "დაბალი ინტენსივობის ომიდან" ისევ "გაყინული კონფლიქტის" სტადიას დაუბრუნდება, რომელშიც იგი იმყოფებოდა მთელი 12 წლის განმავლობაში.

რასაკვირველია, თბილისი ამას არ დაეთანხმება. მაშასადამე, ქვეყნის თავისუფალი განვითარების თუნდაც შანსის შენარჩუნების "ფასი" უეჭველად გახდება დაბალი ინტენსივობის ომი ცხინვალის გარშემო.

ეს არც თუ სასიხარულო, მაგრამ გარდაუვალი რეალობა დადასტურდა ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციით. გასულ კვირას ამერიკის თავდაცვის მინისტრის, სახელმწიფო მინისტრის, თეთრი სახლისა თუ სახელმწიფო დეპარტამენტის "სპოუქსმენთა" და ელჩ მაილზის განცხადებებით ვაშინგტონმა მკაფიოდ და ნათლად "შეგვატყობინა": "ამჟამად თქვენთვის არ გვცალია, ერაყში ომია, ნავთობზე ფასმა (პირველად ბრეჟნევის ეპოქის შემდეგ) 46 დოლარს მიაღწია - მოელაპარაკეთ რუსეთს. მეტი არაფერი შეგვიძლია".

ოღონდ, ამის გათვალისწინებითაც კი, აშკარა უსამართლობაა იმის თქმა, რომ "ამერიკის ადვილად პროგნოზირებადი პოზიციის გათვალისწინებით", სამხრეთ ოსეთის საკითხი საერთოდ არ უნდა გამწვავებულიყო. ასეთი საყვედური უკვე გაისმის ხელისუფლების მიმართ.

ჯერ ერთი, ამგვარი გამწვავების გარეშე კონტრაბანდის გადაკეტვა ნამდვილად ვერ მოხერხდებოდა. გარდა ამისა, ჩვენ თუ არ ვიაქტიურეთ, ჩვენ თუ არ "ვიყვირეთ", ჩვენვე თუ არ გავამწვავეთ და (როგორც თბილისში იტყვიან) "გავახურეთ", – დასავლეთსა და ამერიკას სულაც არ ანაღვლებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა. მისთვის მთავარია, იყოს სტაბილურობა, არ იყოს ომი და არაფერი დაემუქროს ნავთობსადენს, რომელიც, ნავთობზე ფასის კატასტროფულ ზრდასთან ერთად, მართლაც სტრატეგიულ მნიშვნელობას იძენს.

ესე იგი, ისევ და ისევ, სტატუს ქვოს შენარჩუნება ყველას აძლევდა ხელს – საქართველოს გარდა.

ამ ფონზე კვლავ გრძელდება გამაოგნებლად გულუბრყვილო მოლაპარაკებები და განცხადებები იმის თაობაზე, რომ "რუსეთს თავად არ ესმის საკუთარი ინტერესები, თორემ სინამდვილეში, მას, გრძელვადიანი თვალსაზრისით, ხელს აძლევს მეზობელი საქართველოს ქცევა ნორმალურ, დემოკრატიულ, ძლიერ, აყვავებულ, ერთიან სახელმწიფოდ".

არადა, დღემდე ვერავინ ახსნა, მაინც რატომ უნდა აძლევდეს რუსეთს ხელს საქართველოს ქცევა მდიდარ და აყვავებულ სახელმწიფოდ?

წარმოვიდგინოთ, 20-30 წლის შემდეგ სამხრეთ კავკასიაში (ანუ ჩრდილო კავკასიის მეზობლად, სადაც რუსეთისადმი ისტორიულად არც თუ ლოიალურად განწყობილი ეთნოსები სახლობენ) წარმოიშვა შვეიცარიის, ნიდერლანდის ან ბელგიის მსგავსი სტაბილური, მდიდარი, კონსოლიდირებული სახელმწიფო. ეს ობიექტურად შეუქმნის რუსეთს პრობლემებს ჩრდილოეთ კავკასიაში – განურჩევლად იმისა, როგორ პოლიტიკას გაატარებს საქართველოს ხელისუფლება.

ამდენად, რუსეთს სურს მიაღწიოს ისეთ ვითარებას, როდესაც ჩვენი ქვეყნის განვითარება მთლიანად მასზე იქნება დამოკიდებული. მარტივი ილუსტრაციაა იგივე "ერგნეთის ბაზრობა" და როკის გვირაბის პრობლემა. მოსკოვი ყოველნაირად ცდილობს, შექმნას ისეთი ვითარება, როდესაც საქართველო "ხელს ჩაიქნევს", დარწმუნდება ეკონომიკური საზღვრის ჩაკეტვის შეუძლებლობაში და გააფორმებს რუსეთთან საბაჟო შეთანხმებას ანუ შევა რუსეთის საბაჟო სივრცეში.

აქ არავითარი "რუსოფობია" არ არის. ასევე მოქმედებს ყველა დიდი სახელმწიფო. ვთქვათ, ამერიკის შეერთებული შტატები, რა თქმა უნდა, დაინტერესებულია მეზობლად ჰყავდეს ძლიერი, სტაბილური, კონსოლიდირებული, სწრაფად განვითარებადი მექსიკა. მაგრამ მხოლოდ მანამ, სანამ მექსიკის ეკონომიკა, მისი სოციალური სისტემა და, მთლიანად, განვითარება, 100 პროცენტით ამერიკაზეა დამოკიდებული. უფრო მეტიც, ამ ვითარებაში, მექსიკის განვითარება ამერიკის სახელმწიფო სისტემასთან, მის ეკონომიკასთან კიდევ უფრო მჭიდრო ინტეგრაციას ნიშნავს და პირიქით.

ასევე, რუსეთიც მხოლოდ იმ შემთხვევაში არ იქნება სისხლხორცეულად დაინტერესებული, ხელი შეუშალოს საქართველოს განვითარებას, თუ თავად იქცევა ამ განვითარების უმთავრეს პირობად (წყაროდ) და საქართველოს განვითარება რუსეთის სახელმწიფო სისტემასთან, რუსეთის ეკონომიკასთან ჩვენი ქვეყნის კიდევ უფრო მეტ ინტეგრაციას იგულისხმებს.

ესე იგი, ამ პირობებში და ამგვარ სისტემაში, რაც უფრო განვითარდება საქართველო, - მით უფრო მჭიდროდ დამოკიდებული აღმოჩნდება იგი რუსეთზე.

სამწუხაროდ, ამ ელემენტარული გეოპოლიტიკური რეალიის გაგება არაფრით სურს იმ ხალხს, ვინც უკვე მრავალი წელია კომიკური დაჟინებით ცდილობს, "გააგებინოს" რუსეთს, რაში მდგომარეობს მისი სტრატეგიული ინტერესი საქართველოსთან მიმართებაში და უმტკიცებენ სრულ აბსურდს: რომ თითქოს, რაც უფრო სწრაფად განვითარდება მისგან დამოუკიდებელი, ერთიანი, მდიდარი, სტაბილური და აყვავებული საქართველო - მით უკეთესი რუსეთისათვის.

სინამდვილეში, რასაკვირველია, რუსეთი, საკუთარი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე (არა იმიტომ, რომ იგი "გენეტიკურად ბოროტია"), ყოველთვის შეეცდება, (მისგან) დამოუკიდებელი საქართველო იყოს მაქსიმალურად ღარიბ-ღატაკი, სუსტი, წინააღმდეგობებით აღსავსე ქვეყანა. რამდენად შეძლებს და მოახერხებს ამას – მხოლოდ ჩვენზეა დამოკიდებული. ანუ იმაზე, თუ რამდენადაა მზად ქართული საზოგადოება, აიტანოს გაჭირვება, მუდმივი დაძაბულობა, "უშუქობა-უგაზობა" (რაკი ერთადერთი წყარო რუსეთია) – რუსეთისაგან დამოუკიდებლობის მისაღწევად.

ასეთივე გულუბრყვილობაა მუდმივი ფარული "შეთავაზება": "ბაზებ - ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებელი განვითარების სანაცვლოდ".

რეალურად, ბაზები (ან თუნდაც მათი მოდიფიკაცია – "ანტიტერორისტული ცენტრი") არ არის საქართველოში რუსეთის მთავარი ინტერესი. მით უმეტეს, რომ განურჩევლად მისი პოზიციისა კონფლიქტის ზონებში, - საქართველოს მაინც არ გააჩნია არანაირი ბერკეტი და მექანიზმი, რათა მოსკოვს ჯარების გაყვანა აიძულოს. მაშ თუ ასეა, რატომ უნდა წავიდეს რუსეთი ამ საკითხში დათმობაზე, - თუკი ყოველგვარი დათმობის გარეშეც ინარჩუნებს სამხედრო ყოფნას საქართველოში? განა ლოგიკური არ არის?

ამრიგად, "ცივსისხლიანი" ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველო შედის რუსეთთან ხანგრძლივი, უმოწყალო, ლატენტური, მრავალპლანიანი ომის ხანაში (არა მხოლოდ "სამხრეთ ოსეთის" ტერიტორიაზე), რომელშიც გამარჯვება ისევ და ისევ ქართული საზოგადოების სიმტკიცეზე, ამტანობასა და კონსოლიდირებულობაზე იქნება დამოკიდებული.

აგრეთვე იმაზე, თუ რამდენად რეალური და არადეკლარაციულია მისი (ანუ თვით ერისა და საზოგადოების) 15 წლის წინანდელი "ევროატლანტიკური არჩევანი" და ვართ თუ არა მზად ამ არჩევანის დასაცავად გავიღოთ რეალური(!) მსხვერპლი.

ჩვენს რეგიონში(!) "ორ სკამსა" და "ორ ორიენტაციაზე" ერთდროულად ჯდომა (რასაც შევარდნაძე ოსტატურად, თუმცა მაინც მხოლოდ დროებით ახერხებდა) უკვე აღარ არ გამოვა.

ორი სიტყვით

**თბილისი.** სახალხო ფრონტის ლიდერი ნოდარ ნათაძე, რომელიც ორი დღე ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში იმყოფებოდა, მიიჩნევს, რომ იქ განლაგებული ქართველი ძალოვანები „სამხედრო თვალსაზრისით სწორად ირჯებიან".

მიუხედავად ამისა, სახალხო ფრონტის ლიდერი საქართველოს მთავრობას პოლიტიკურ ნაბიჯებს უწუნებს და აცხადებს, რომ პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას წინადადება რეგიონის დემილიტარიზაციის შესახებ, „ღალატის ტოლფასია და ეს იგივეა, რაც 1993 წლის 27 ივლისს ხელმოწერილი კაპიტულაცია აფხაზეთთან".

მისივე თქმით, ოსური მხარე არავითარ დემილიტარიზაციას არ განახორციელებს. საბოლოოდ კი ქართული მხარე დარჩება განიარაღებული და დამარცხებული. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 16 აგვისტოსთვის ნავარაუდევი პარლამენტის რიგგარეშე სხდომა აღარ გაიმართება. საქმე ეხება 2004 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებების რამდენიმე თანმდევ ორგანულ კანონპროექტს, რომლის მესამე მოსმენით მისაღებად პარლამენტართა ნაწილი კიდევ ერთი რიგგარეშე სესიის გამართვას ითხოვდა.

აღნიშნული ორგანული კანონპროექტები (კანონპროექტი უზენაესი სასამართლოს შესახებ, პროკურატურის შესახებ, საერთო სასამართლოების შესახებ), ამ უწყებების პენსიონერთა უზრუნველყოფას შეეხება.

კანონის თანახმად, კანონპროექტების სამივე მოსმენით ერთ სესიაზე მიღება დაუშვებელია. აღნიშნული კანონპროექტები 13 აგვისტოს პარლამენტმა მეორე მოსმენით უკვე მიიღო, თუმცა კანონპროექტი პროკურატურის შესახებ, რომელიც მაღალ კვორუმს ითხოვდა, ჩავარდა.

საბოლოოდ დეპუტატები შეთანხმდნენ, რომ ამ საკითხებს საშემოდგომო სესიაზე განიხილავენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 17-დან 29 აგვისტომდე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით აფხაზეთიდან დევნილი 350 ბავშვი სურამსა და ცხვარიჭამიაში დაისვენებს. საზაფხულო არდადეგების დასრულებამდე იგეგმება აფხაზეთიდან დევნილი კიდევ 300 ბავშვის დასვენება აჭარის ზღვისპირეთში.

პრეზიდენტმა სააკაშვილმა აფხაზეთიდან დევნილ ბავშვთა დასვენების ორგანიზება საქართველოს დევნილთა და განსახლების სამინისტროს დაავალა და ამ მიზნით 102 ათას 700 ლარი გამოყო.

საქართველოს დევნილთა და განსახლების მინისტრის ეთერ ასტემიროვას ინფორმაციით, სამინისტრომ დასასვენებლად წასაყვანი ბავშვების პირველი ჯგუფი ობოლი ბავშვებითა და ომის მონაწილეთა შვილებით დააკომპლექტა. მათი ნაწილი 17 აგვისტოს სურამსა და ცხვარიჭამიაში გაემგზავრება დასასვენებლად, ხოლო მეორე ნაწილი - 300 ბავშვი აჭარის შავიზღვისპირეთში დაისვენებს.

როგორც მინისტრმა განაცხადა, დასასვენებლად წასაყვან ბავშვთა ნავარაუდევი რაოდენობის გაზრდა ფარმაცევტული ფირმების "პსპ"-ს და „ავერსის", ასევე შპს „თოლიას" და თბილისის მერიის დახმარების წყალობით გახდა შესაძლებელი. ფარმაცევტულმა ფირმებმა დასასვენებელ ადგილებში ბავშვთა სამედიცინო მომსახურების უზრუნველსაყოფად უფასოდ გამოყვეს მედიკამენტები, ხოლო მერიამ თავის თავზე აიღო ბავშვთა კურორტებზე ტრანსპორტირების ხარჯები.

ეთერ ასტემიროვამ იმედი გამოთქვა, რომ დევნილი ბავშვები, რომელთა დასვენების პროგრამის განხორციელებაში სამინისტრომ სკაუტების მიერ მომზადებული ლიდერები ჩართო, ჯანდაცვის სამინისტრომ კი ბავშვთა 7-დღიანი კვების მენიუ შეიმუშავა და მედიკოსები შეარჩია, შინაარსიანად და კომფორტულად დაისვენებენ. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პარლამენტი სექტემბერის დასაწყისში რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსთან ურთიერთობების დეპუტატთა ჯგუფს ჩამოაყალიბებს.

როგორც პრაიმ-ნიუსს ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ განუცხადა, ჯგუფის შექმნა ისედაც იგეგმებოდა, მაგრამ არსებულ კრიტიკულ ვითარებაში, როცა საქართველოს პარლამენტს ყოველდღიურად უწევს "ჟერჟერობით დისტანციურად ურთიერთობა რუსეთთან საკანონმდებლო ორგანოების დონეზე", მით უმეტეს აუცილებელია ასეთი ჯგუფის მუშაობა და შეხვედრები მოსკოვში.

რუსი დეპუტატების ნაწილი, რომელთაც ობიექტიური ინფორმაცია არ აქვთ, მართლა ფიქრობს, რომ ქართველები ოსების გენოციდს აპირებენ და ამიტომ იღებენ არაადეკვატურ დოკუმენტებს საქართველოსთან დაკავშირებით, - განაცხადა ბაქრაძემ.

მისივე თქმით, მუშაობა უნდა ჩატარდეს შოვინისტურად განწყობილი პირების მიმართ, რათა დანარჩენების თვალში გამოჩნდეს მათი პოზიციების უსამართლობა.

ეს იქნება არასასიამოვნო, მაგრამ აუცილებელია დიალოგი, - თქვა პარლამენტარმა.

ბაქრაძის ინფორმაციით, საპარლამენტო ჯგუფის შემადგენლობა ლიმიტირებული არ იქნება. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში მცხოვრები 40 ბავშვი ორი კვირის განმავლობაში ციხისძირის საზღვაო კურორტზე დაისვენებს.

როგორც აღნიშნული აქციის ორგანიზატორებმა კვირას ჟურნალისტებს განუცხადეს, ბავშვების დასვენების ხარჯებს "ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის" ადმინისტრაცია გაიღებს. სხვა სპონსორების გამოჩენის შემთხვევაში, საზღვაო და მთის კურორტებზე ცხინვალის რეგიონში მცხოვრები სხვა ბავშვებიც დაისვენებენ.

პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ცხინვალის რეგიონში ყოფნის დროს სპეციალური შტაბი შეიქმნა რეგიონში მცხოვრები ბავშვების დასვენების საკითხთან დაკავშირებით. საქართველოს პროფესიული კავშირების წარმომადგენლებმა მზადყოფნა გამოთქვეს, დახმარება აღმოუჩინონ ცხინვალის რეგიონის ბავშვებს და მათი ორგანიზაციის დაქვემდებარებაში არსებული დასასვენებელი სახლები დაუთმონ. **პრაიმ-ნიუსი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# ბაზარი - თეთრი ლაქა

## ბაზრებში ცუდად შემოწმებული რძისა და ხორცის პროდუქტები იყიდება



ბესო გულაშვილის ფოტო

ოფიციალური სტრუქტურები აღიარებენ, რომ საქართველოს ბაზრებში შეტანილი ხორცი და რძის პროდუქტები ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე ვერ მოწმდება.

პირველი გვერდიდან

წელს ახალი ტენდენციაც გამოიკვეთა – ცოფით დაავადების არაერთი შემთხვევა გამოვლინდა მსხვილფეხა პირუტყვში. გასულ თვეს თიანეთში პირუტყვში ცოფის გამოვლენას პანიკური შიში მოჰყვა. გაჩნდა კითხვა: ხომ არ არის ეს ევროპაში ე.წ. ძროხის ცოფის სახელით ცნობილი დაავადება, იგივე "ღრუბლისებური ენცეფალოპათია". საბედნიეროდ, ჩვენს შემთხვევაში გამოვლინდა ცოფის "ჩვეული" ფორმა, რომლის მიზეზი გარეული ცხოველებისგან პირუტყვის დაკბენა გახდა.

ცნობილია, რომ ცოფის ძირითად რეზერვუარს გარეული ცხოველები წარმოადგენენ. ისინი არიან ვირუსის ძირითადი მატარებლები. გეოგრაფიული მდებარეობითა და რიგი თავისებურებებით საქართველო ძალიან ჰგავს შვეიცარიას - ცოფის გავრცელების საფრთხეს იქაც გარეული ცხოველები ქმნიან. განსხვავება ის არის, რომ მაწანწალა ცხოველების პრობლემა ჩვენთან მდგომარეობას გაცილებით ამძიმებს.

მთელ მსოფლიოში იციან, რომ ორალური ვაქცინაციის გარეშე ცოფის პრობლემის გადაჭრა, ფაქტობრივად, არ ხერხდება. სხვა ღონისძიებები გაცილებით მეტ ხარჯებს მოითხოვს და არაეფექტურიცაა. ორალური ვაქცინაცია, არცთუ შორეული წარსულის გამოცდილებიდან, ქართული საზოგადოების ცნობიერებაში ტყეში გადაყრილ ათასებთან და ყველასთვის გაშიფრულ აფერასთან ასოცირდება. მას ჩვენში უკულმართად შეხედეს. შეხედეს და დაიწუნეს იმიტომ, რომ ვიღაცამ ამ ფულით საკუთარი ჯიბე ახეირა – ტყეში დაყრილ ვაქცინას მაინც არავინ დაუწყებს ძებნასო. საზოგადოებამაც უწყებების მესვეურების ნაცვლად მეთოდი ამოძირკვა და დღეს, შესაძლოა, კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდეთ.

რაც შეეხება ჯილეხს. სახელმწიფო აფინანსებს პროგრამას, რომელიც გულისხმობს ჯილეხზე პირუტყვის უფასო ვაქცინაციას. ამის მიუხედავად, მარტო ივლისში ჯილეხის სამი შემთხვევა გამოვლინდა. ბოლო შემთხვევა წყალტუბოს რაიონის სოფელ ფარცხანაყანებში დაფიქსირდა. მიზეზი - მეპატრონემ კატეგორიული უარი განაცხადა პირუტყვის აცრაზე, იგი ვეტექიმის ზედამხედველობის გარეშე დაკლეს და სარეალიზაციოდ ქუთაისში საბითუმო ვაჭრობაზე ისე გაიტანეს, რომ არც ვეტერინარული შემოწმება გაუვლია. საბედნიეროდ, ამ შემთხვევის გამო, ჯილეხის კანის ფორმით მხოლოდ ორი მოქალაქე დაავადდა. ხშირია შემთხვევები, როცა მოვალეობას ვეტექიმები არ ასრულებენ და დაავადებული ხორცი ბაზარზე ამის შედეგად ხვდება.

## რას ამბობენ ბაზარში

თამარ ჭაჭანიძე

*დეზერტირების ბაზარი, დღის ორი საათი. ბაზარში სიხალვათე იგრძნობა, მყიდველები არ ჩანან. თავად გამყიდველებიც მოშვებულები არიან, ცალკე სიცხისგან და ცალკე უმოქმედობისგან. დეზერტირების ბაზარი, მოგეხსენებათ, ორად არის გაყოფილი. ბაზარი ღია ცის ქვეშ და პავილიონები. ღია ცის ქვეშ, ძირითადად, ხილი და ბოსტნეული იყიდება. გადახურულ ბაზარში კი ხორცის, ყველის და თევზის განყოფილებებია. მყიდველები წუწუნებენ, რომ ასეთი ძვირი ბაზარი წელიწადის ამ დროს არ ახსოვთ. გამყიდველბი გაღიზიანებული არიან, - კლიენტების სიმცირის გამო ისედაც იაფად გვიწევს გაყიდვა, საქონელი რომ არ გაგვიფუჭდესო.*

### გამყიდველები

**ყველის გამყიდველი ქალი:** მე 65 სანტიმეტრი ადგილი მაქვს და სამ ლარს ვიხდი. ამას ემატება შემოწმების ფული. ყოველდღე მოდიან და შესამოწმებლად მიაქვთ ყველის პატარა ნაჭერი. ეს ორი ლარი გვიჯდება. ვერ გამიგია, ყველს ამდენი შემოწმება რაში სჭირდება, ყველისგან მოწამვლა შეუძლებელია, რადგან მარილიანია. ყველი შეიძლება გამოხმეს და ამგვარად გაფუჭდეს, თორემ სხვა მხრივ რა უჭირს.

**თევზის გამყიდველი მამაკაცი (ვერაფრით გაუგია, რა გვინდა მისგან და მხოლოდ თავისი თევზის ფასს იძახის. თევზს კი ათ ლარად ყიდის):** ამოწმებენ, აბა, არ ამოწმებენ? ყოველდღე მოდიან. არავითარი ხალათი და წინსაფარი ჩემთვის არ მოუციათ. აბა, ნახე, ამ თევზით ვინ მოიწამლება? აი, შებოლილი თევზით არ ვიცი **(თავით მეორე რიგზე მანიშნებს - იქ შებოლილ თევზს ყიდიან)**.

**შებოლილი თევზის გამყიდველი მამაკაცი**: აქ ამ თევზით არავინ მოწამლულა, ყოველდღე ამას ვჭამ და არაფერი დამმართნია **(საუბრის გაგრძელება არ სურს)**.

**ხორცის გამყიდველი მამაკაცი:** მე უბრალო გამყიდველი ვარ და არ ვიცი, რა როგორ ხდება, მაგრამ აი, იმ ახალგაზრდა ბიჭებთან მიდი, ოღონდ ეკრანი არ აჩვენო, თორემ შეეშინდებათ.

**ახალგაზრდა ბიჭები, ერთს კობა ჰქვია:** ეს ადგილი ჩემია, ნაყიდი მაქვს და არაფერსაც არ ვიხდი. ისე სხვადასხვა გადასახადებია და ხანდახან დღეში 40 ლარზეც კი ავდივართ. ხან ვინ მოდის, ხან ვინ - ყველას უნდა გადაუხადო. კონკრეტულად ვერ გეტყვი. ბევრი გადასახადია. მაგალითად: ყასაბი - რომ დააჭრევინო, მუშა, მაცივარი და ა.შ. აქ სულ შემოწმებული ხორცი იყიდება, ისე კი, არ ვიცი, შეუმოწმებლის შემოტანა თუ შეიძლება... ხომ იცი, ფულით ყველაფერს გააკეთებინებ კაცს.

**ხორცის გამყიდველი მამაკაცი (წინსაფარი უკეთია, რომელსაც ჯერ კიდევ ეტყობა, რომ ოდესღაც თეთრი იყო):** წინსაფრები ზოგს დაურიგეს, ზოგმა თვითონ შეიკერა. ხალათები არ დაურიგებიათ. ამ ადგილში ხუთ ლარს ვიხდი, ხორცის შემოწმებისთვის ორ ლარსა და 40 თეთრს. მეტი ვის რა უნდა გადავუხადო?

**- იქით ბიჭებმა მითხრეს, დღეში გადასახადი 40 ლარი გამოგვდისო. თქვენ მხოლოდ შვიდ ლარსა და ორმოც თეთრს როგორ იხდით?**

- გამოსვლით, როგორ არ გამოგვდის. ხან რის გადასახადს ვიხდი, ხან რისას.

**- მაინც რისთვის იხდით?**

- მე რა ვიცი, რისთვის.

**- ვისაც აძლევთ, იმათ თუ იცნობთ?**

- არა, არ ვიცნობ არავის. შვილო, ამას ვინ გეტყვის? ტყუილა დადიხარ. ამ ხორცს რომ უყურებ, იცი რისი ხორცია? იცი, საიდან არის ჩამოტანილი? - ბრაზილიიდან. **(ხორცს ტყავზე მუქი ლურჯი ბეჭედი აქვს, მე მგონია შემოწმების აღსანიშნავია, მაგრამ კაცი უარყოფს)** აი, ნახე რა აწერია **(ბეჭედზე გარკვევით იკითხება BRAZIL)**.

**ბოსტნეულის გამყიდველი ქალები:** გადასახადი, წესით, სამი ლარია, მაგრამ ვინ იხდის, ან როგორ უნდა გადავიხადოთ, ხუთ თეთრზე ვმუშაობთ, სახლს ხომ არ გავყიდი და ამათ ხომ არ მივცემთ. ხანდახან კი გვეჩხუბებიან, გადაიხადეთო, მაგრამ რაც არ გვაქვს, რას გადავიხდით? აი, ვისაც სამი და ოთხი ადგილი აქვთ, იმათ უფრო ეჩხუბებიან, რომ გადაიხადონ. ამას რა შემოწმება უნდა, მაგრამ ამოწმებენ ხოლმე. ხალათები არა, მაგრამ ლურჯი წინსაფრები დაგვირიგეს, აი, იმას რომ უკეთია, ისეთი. ჩვენ იმიტომ არ გვიკეთია, რომ ჩვენთვის არ მოუციათ. ამ რიგში მარტო ერთი მოიტანეს და, ვისაც მისცეს, უკეთია კიდევაც.

### მყიდველები

**ლამარა მეტრეველი**: შემოსასვლელში დავინახე, ქალი ქლიავს ყიდდა და დაუცვივდა. ხომ იცით, იქ როგორი წუმპეა. დღეში ათი ათასი ადამიანის ფეხი ხვდება. იმ ქალმა კი აკრიფა და ისევ ვედროში ჩაყარა. კარტოფილი ან ვაშლი ხომ არ არის, გათალო? - ქლიავია. ცივი წყლით რამდენი უნდა რეცხო, იმ ბაქტერიებს როგორ მოაშორებ, დეზინფექციას ხომ არ გაუკეთებ? ღმერთმა იცის, რას ვჭამთ. აქამდე ცოცხლები როგორ ვართ.

**ალა შარალაპოვა:** სოკოს ყიდვა მინდა, მაგრამ მეშინია, ვერ ვენდობი. თევზიც საშიშია. მაცივარში არ უდევთ. ისევ კიტრი, პამიდორი და მწვანილი ვიყიდე. მე არასდროს მოვწამლულვარ, მაგრამ გამიგია, რომ სოკოთი ბევრი მოწამლულა.

**ეკა ტაბატაძე:** აი, ნახე რა მუქი ხორცია, კარგი ხორცი ასეთი წითელი არ უნდა იყოს, ხორცის ყიდვას არ ვაპირებ, რადგან მარხვა დაიწყო, მაგრამ ბავშვისთვის რომ დამჭირდეს, როგორ უნდა ვიყიდო. ვერც ქათამს იყიდი, გაყინულს ვიტამინები აღარ აქვს სოფლის ქათამიც საშიშია, ამ სიცხეში როგორ უნდა ენდო.




## რაზე მეტყველებს სავაჭრო ობიექტებში ჩატარებული რეიდები?

*ახლახან პარლამენტში შევიდა კანონპროექტი, რომელიც ვეტერინარიის შესახებ კანონის სერიოზულ ცვლილებას ითვალისწინებს. როგორც თბილისის მთავრობა აცხადებს, სახეშეცვლილი კანონი აქამდე არსებულ ყველა ლაფსუსს ამოავსებს. ანუ ქალაქის სავაჭრო ობიექტების მაკონტროლებელ უწყებებს ნაყოფიერი საქმიანობისთვის ხელ-ფეხი გაეხსნებათ, სამაგიეროდ, ვაჭრობის წესების დამრღვევებს შეექმნებათ პრობლემები. ეს ყველაფერი სამომავლოდ, დღეს კი...*

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის ახალმა ხელისუფლებამ მოსვლის დღიდან ძირითადი აქცენტი ქალაქის სანიტარული მდგომარეობის მოწესრიგებაზე გადაიტანა და სანიტარული და ვეტერინარული სამსახურებიც შეაფუცხუნა. აღნიშნული უწყებების ახალი ხელმძღვანელებიც სავაჭრო ობიექტებში ჩატარებული რეიდების სიხშირით იწონებენ თავს. თუმცა, შედეგები, ჯერჯერობით, მხოლოდ გარე ვაჭრობის ტერიტორიებს ემჩნევა. ცოტა ეს არ არის - ქალაქის ქუჩებში სიცხესა და მტვერში შეუფუთავად გამოფენილი საკვები, რომლის ხარისხსაც არავინ ამოწმებდა, მოსახლეობის ჯანმრთელობას განსაკუთრებულ საფრთხეს უქმნიდა, მაგრამ პრობლემა ამით არ მოგვარებულა. **"რატომ შედის მაღაზიებში შეუმოწმებელი ხორცი და რატომ იყიდება გატარებული ფარში, როცა მისი გაყიდვა აკრძალულია; რატომ არ აქვთ ბაზრებსა და მაღაზიებს დახლ-მაცივრები?"** – შეუტიეს საკრებულოს წევრებმა სულ ერთი კვირის წინათ ჩატარებულ საკრებულოს სხდომაზე ვეტერინარიის დეპარტამენტისა და საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობას. თბილისის მაღაზიები და ბაზრები ჯადოსნურ ჭას ჰგავს, რამდენიც არ უნდა ხაპო წყალი, ისევ იმდენივე რჩება. მაკონტროლებელი უწყებები, თითქოს, რეიდს რეიდზე ატარებენ, ამოიღებენ უხარისხო და შეუმოწმებელ პროდუქტს, დალუქავენ სავაჭრო ობიექტს, რამდენიმე დღეში ყველაფერი ისევ ძველებურად გრძელდება.

**"თბილისში არსებული არც ერთი ბაზარი სანიტარულ ნორმებს არ აკმაყოფილებს. ყველაზე მძიმე მდგომარეობა ე.წ დეზერტირების ბაზარშია, თუნდაც იმიტომ, რომ ყველაზე დიდია. ბაზრის ხელმძღვანელობას უკვე მეორე გაფრთხილება მივეცით. ივნისის ბოლოს რომ შევამოწმეთ, დახლ-მაცივრები ჩართული არ ჰქონდათ, ელექტროენერგიის ეკონომიას აკეთებდნენ. მეორედ, ივლისის დასაწყისში შედარებით უკეთესი მდგომარეობა იყო, მაცივრებს ამუშავებდნენ, თუმცა, სანიტარული ნორმები სრულად მაინც არ იყო დაცული. ორივეჯერ დავაჯარიმეთ. ქალაქის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურმა, 2-9 აგვისტომდე ჩატარებული რეიდების შედეგად, 86 სავაჭრო ობიექტი შეამოწმა. 19 პასუხისმგებელი პირი დააჯარიმა, 19 ობიექტს კი ექსპლოატაცია შეუჩერა. ოთხი მათგანი 1500-2500 ლარამდე დააჯარიმა კიდეც და საქმე სასამართლოს გადასცა. ამის გარდა, რკინიგზის ტერიტორიაზე მდებარე 37 სავაჭრო ობიექტი შევამოწმეთ. ამ ადგილებში, გასაგები მიზეზების გამო, წლების განმავლობაში მაკონტროლებელი არ შესულა. ვითომ კაფეებსა თუ ლიმონათის ჩამოსასხმელ საამქროებში რა საშინელება ხდება, ვერც კი აგიწერთ. 12 ობიექტს ექსპლუატაცია შევუჩერეთ, დანარჩენი ყველა დავაჯარიმეთ. რაც შეეხება მაღაზიებს, ჯერჯერობით, თევზითა და კრემიანი პროდუქტით მოვაჭრე ყველა მაღაზია შევამოწმეთ. უმეტეს შემთხვევაში, თევზით მოვაჭრე ობიექტებს პროდუქტის წარმომავლობისა და ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები არ აღმოაჩნდათ. რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე მდებარე ერთ-ერთი მაღაზიიდან, ამ მიზეზით, ტონაზე მეტი "სიგა" ამოვიღეთ. თევზით მოვაჭრე ობიექტების შემოწმებისას, შემთხვევით, თევდორე მღვდლის ქუჩაზე ნაწლავის ჩხირით დაავადებული ბურახი აღმოვაჩინეთ და ბურახით მოვაჭრე ყველა წერტილი და რუსთავში ჩამოსასხმელი საამქრო დავხურეთ. ამიერიდან საქმიანობას უფრო გავააქტიურებთ, ყოველი კვირა დღე ბაზრების შემოწმების დღედ იქცევა,"** – აცხადებს საქართველოს სანიტარული ინსპექციის ხელმძღვანელი დავით მესხიშვილი.

რეიდების ჩატარების სიხშირით სანიტრებს არც ქალაქის ვეტერინარული სამსახური ჩამორჩება. სანიტარული უწყებები უფრო სავაჭრო ობიექტებში არსებულ სანიტარიულ მდგომარეობასა და პროდუქტის ხარისხის დამადასტურებელ დოკუმენტებს ამოწმებენ. ვეტერინარებს კი ამ დოკუმენტების ობიექტურობის გადამოწმება ევალებათ. როგორც ვეტერინარიის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობა აცხადებს, რეიდებს ყოველ კვირა ატარებენ და სავაჭრო ობიექტებს მოულოდნელად ესხმიან თავს. მაგალითად, ორი კვირის წინათ, ცენტრალურ სუპერმარკეტს დილის 8 საათზე ესტუმრნენ და აღმოაჩინეს, რომ დახლებზე გასაყიდად დაწყობილი პროდუქტის 40 პროცენტს ვარგისიანობის დამადასტურებელი სერთიფიკატი არ ჰქონდა. მომდევნო რეიდზე ყველაფერი წესრიგში იყოო, გვარწმუნებს სანიტარიული სამსახურის ხელმძღვანელობა.

## რას ამბობს ბაზრის ხელმძღვანელობა

*თბილისის სავაჭრო ობიექტებში არსებულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელი, მეტ-ნაკლებად, ალბათ, ყველა ვართ, ხელისუფლებიდან და მაკონტროლებელი უწყებიდან დაწყებული ერთი რიგითი მომხმარებლით დამთავრებული. პასუხისმგებლობის ძირითადი წილი მაინც, ობიექტის ხელმძღვანელობაზე მოდის და არცთუ უსაფუძვლოდ. თუმცა, პრეტენზიების გამოთქმა და თავის მართლება არც მაღაზიებისა თუ ბაზრების დირექტორებს უჭირთ.*

ნანა ქადაგიშვილი

ქალაქის მთავრობასა თუ სავაჭრო ობიექტების სანიტარულ მდგომარეობაზე პასუხისმგებელ უწყებებს ყველაზე მეტი პრეტენზია ცენტრალური სეუპერმარკეტის ხელმძღვანელობის მიმართ აქვთ. თუნდაც იმიტომ, რომ ე.წ დეზერტირების ბაზარი ქალაქის ყველაზე დიდი ბაზარია და ყველაზე მეტ მომხმარებელს უმასპინძლდება. ბაზრის დირექტორი თემურ პაპუაშვილი კი თავის მართლებას იოლად ახერხებს. **"ჩვენი ბაზრის ვეტლაბორატორია დილის შვიდი საათიდან იწყებს მუშაობას, თუმცა, ლაბორატორიის თანამშრომლები იქ ღამითაც მორიგეობენ, რადგან ხორცი ღამით შემოდის. უკვე რამდენიმე კვირაა, ხორცი პირდაპირ ლაბორატორიაში შეაქვთ და დახლებზე მხოლოდ შემოწმებულ პროდუქტს აწყობენ. ადრე ხორცი ჯერ ბაზარში შემოდიოდა და მერე მოწმდებოდა. მოვაჭრეებმა თავიდან კი გააპროტესტეს, მაგრამ არაფერი გაუვიდათ. შეუმოწმებელი არც სხვა პროდუქტი რჩება. ბაზრის ათივე უბანში ორ-ორი მაკონტროლებელი მყავს მიმაგრებული, განუწყვეტლივ დადიან და ამოწმებენ, მოვაჭრეებს პროდუქტის ვარგისიანობის დამადასტურებელი დოკუმენტები აქვთ თუ არა. ბაზარში შეუმოწმებელი პროდუქტი რომ დავაწყო, რაში მაწყობს, ორი თავი კი არ მაქვს... ქრთამად რამდენი უნდა მომცენ, რომ აყიოტაჟად და თანამდებობის დაკარგვად მიღირდეს? ვიღაც-ვიღაცებს ენა ექავებათ და ამიტომაც ლაპარაკობენ. მე რა პრობლემები მაქვს, რატომ არავინ კითხულობს?"** – ჩივის პაპუაშვილი.

ცენტრალური სუპერმარკეტის ხელმძღვანელის მთავარი პრობლემა წყლის გადასახადი ყოფილა. **"ბაზარში სისუფთავე რატომ არ არისო, რომ გაიძახიან, წყალს რატომღა მიძვირებენ. თვეში 20 ათასის გადახდა მიწევს. მოვაჭრეები რომ მოუშვებენ ონკანს, დაკეტვა აღარ იციან. ამიტომაც იძულებული ვარ, წყალი გრაფიკით ვიხმარო,"** – წუწუნებს ბაზრის დირექტორი. სასმელი წყლის დიფერენცირებული ტარიფის დამტკიცების შემდეგ, სამეწარმეო ობიექტებს წყლის გადასახადი 4,80 ლარი გაუხდა. დეზერტირების ბაზრის დირექტორიც სწორედ ამას ჩივის. თუმცა, საწუხარი სხვაც ბევრი ჰქონია: **"ბაზარში 1000-მდე გარე მოავჭრე შემოვიყვანეთ. სწორედ მაგათ გამიშრეს სისხლი. გადასახადის გადახდა არ უნდათ. როგორც თბილისის მთავრობამ მოგვთხოვა, სამი თვის განმავლობაში არ ვახდევინებდი, მაგრამ როდემდე? დახლის ღირებულება ორი-სამი ლარია, ეგენი კი, ზოგი საერთოდ არაფერს იხდის, ზოგი ლარზე მეტს არ გვაძლევს. არც ლაბორატორიაში პროდუქტის შემოწმების საფასურის გადახდა უნდათ. გვაქვს დიდი ომი... არადა, ბიუჯეტში გადასახადი ხომ უნდა გადავუხადო, მე ვინ გამიწევს შეღავათს?"**

ბაზრის დირექციაზე ნაკლები პრობლემები არც ლაბორატორიის თანამშრომლებს აღმოაჩნდათ. საქმის გაკეთებას კი გვთხოვენ, მაგრამ იმას აღარ კითხულობენ, 20-30-ლარიანი ხელფასით როგორ უნდა ვიმუშაოთო, - მთავრობის გასაგონად აცხადებენ ისინი და, მათი ხელფასების გაზრდასთან ერთად, ხელისუფლებას პრობლემის მოგვარების სხვა გზასაც სთავაზობენ. **"პროდუქტის ვარგისიანობის დამატასტურებელი საბუთის მიღება მოვაჭრეს ძალიან ძვირი უჯდება. განსაკუთრებით ძვირი საქონლისა და ღორის ხორცის შემოწმებაა. მაგალითად, მსხვილი რქოსანი პირუტყვის ტან-ხორცის ექსპერტიზა ხუთი-რვა ლარი ღირს (გააჩნია ხორცს როგორი შემოწმება სჭირდება), ღორის ტან-ხორცის – სამი ლარი. როცა მოვაჭრეს რამდენიმე ტან-ხორცი შემოაქვს, ანალიზი ფურცლის საფასური საკმაოდ ძვირი გამოდის. ამიტომაც ცდილობს, შემოწმებას თავი აარიდოს. გადასახადი რომ შემცირდეს, ეს პრობლემა იოლად მოგვარდება,"** – გვარწმუნებენ ლაბორატორიის თანამშრომლები.

თემის გაგრძელება A8 გვერდზე

# ფოთის პორტს ახალგაზრდა ხელმძღვანელი ჰყავს

ფოთის პორტს ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. შაბათს საღამოს საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ბრძანებულებით ფოთის პორტის უფროსად 26 წლის თემურ მიმინოშვილი დაინიშნა. მანამდე ის ინფრასტრუქტურისა და განვითარების სამინისტროში, მოგვიანებით კი ეკონომიკის და განვითარების მინისტრის პირველ მოადგილედ მუშაობდა. პორტის ახალი ხელმძღვანელის ოფიციალური წარდგენა ფოთში სავარაუდოდ დღეს მოხდება.

თემურ მიმინოშვილი 1978 წელს სოხუმში დაიბადა. 1998 წელს დაამთავრა საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან არსებული საფინანსო კოლეჯი საბაჟო საქმის სპეციალობით, 2001 წელს - თსუ-ს ეკონომიკის ფაკ-ტი საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით, მიიღო მაგისტრის ხარისხი. 2001 წლიდან დღემდე თსუ-ის ეკონომიკის ფაკ-ტის ასპირანტია საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სპეციალობით. 2003 წელს დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი სახელმწიფო მმართველობის მაგისტრის სპეციალობით. არის 7 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, მიღებული აქვს საერთაშორისო ინსტიტუტების სერთიფიკატები.

1999 წელს მუშაობდა საქართველოს პარლამენტის ეკონომიკური პოლიტიკისა და რეფორმების კომიტეტში მიწვეულ სპეციალისტად. 1999-2000 წლებში იყო საქართველოს გადამხდელთა კავშირთან არსებული ექსპერტთა და მკვლევართა ნაციონალური პოლიტიკური კლუბის ცენტრის მკვლევართა ჯგუფის ხელმძღვანელი. 2000-2001 წლებში მუშაობდა ფინანსთა სამინისტროში სახაზინო სამსახურის აღრიცხვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილედ. 2001-2004 წლებში იყო საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, 2004 წლის იანვრიდან, ფოთის პორტის ხელმძღვანელად დანიშნვამდე მუშაობდა საქართველოს ინფრასტრუქტურისა და განვითარების მინისტრის მოადგილედ.

2003 წელს პარტნიორებთან ერთად დააფუძნა შპს "ბიზნესკონსალტინგის ჯგუფი", რომელიც იურიდიულ, აუდიტორულ მომსახურებას ეწევა და ატარებს სოციოლოგიურ კვლევებს.

ფოთის პორტის ყოფილმა ხელმძღვანელმა ჯემალ ინაიშვილმა თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება ერთი კვირის წინათ დაწერა.

*24 საათი*

# დაყადაღებული ავიაკომპანია ფრენას განაგრძობს

ეთერ მამულაშვილი

*"საქართველოს ნაციონალური ავიახაზები" ავიაკომპანია "აჭარას" უკანონო რეისების განხორციელებაში, ხოლო სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტს უმოქმედობაში ადანაშაულებს და ამ უკანასკნელის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელის შეტანით იმუქრება.*

ავიაკომპანია "აჭარას" ექსპლუტანტის სერთიფიკატი სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტმა დაახლოებით ერთი კვირის წინ შეუჩერა. ეს დოკუმენტი ავიაკომპანიას სხვადასხვა მიმართულებებით რეისების განხორციელების კანონიერ უფლებას აძლევდა. სერთიფიკატის შეჩერების მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ავიაკომპანია "აჭარას" დღემდე არ გააჩნია საკუთარი საჰაერო ხომალდები, რაც, იურისტების შეფასებით, სამოქალაქო ავიაციაში სერიოზული სამართალდარღვევაა. ავიაკომპანიას რეისების განხორციელების უფლების მოსაპოვებლად, სხვა მოთხოვნებთან ერთად, საკუთარი საჰაერო ხომალდები უნდა გააჩნდეს. თუმცა, აბაშიძის ხელისუფლებას კანონის მოთხოვნა დიდად არ ადარდებდა. მით უმეტეს, მაშინ, როცა საქმე მის ფავორიტ კომპანიებს ეხებოდა. ავიაკომპანია "აჭარა" პირადად აბაშიძეს და მის გრემოცვას ემსახურებოდა და, როგორც ამბობენ, მისი თანხმობის გარეშე არც ერთ რეისს არ ახორციელებდა.

ავიაკომპანიას ექსპლუტანტის სერთიფიკატის მოქმედება 6 სექტემბრამდე შეუჩერდა. თუ ამ ვადამდე "აჭარა" კანონის მოთხოვნებს არ შეასრულებს (ანუ, საჰაერო ხოლმადებს არ შეიძენს), ის საერთოდ გაუქმდება.

თუმცა, როგორც ირკვევა, ავიაკომპანიას სერტიფიკატის გარეშეც არ უჭირს ფრენა. "აჭარამ" მოსკოვის მიმართულებით მორიგი რეისი გუშინ, გვიან საღამოსაც განახორციელა.

ავიაკომპანია დღემდე რეისებს იმ ორი თვითმფრინავის საშუალებით ახორციელებს, რომელიც ბათუმის მუნიციპლიტეტმა 1994 წელს უვადო დროებით სარგებლობაში გადასცა. "საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" წარმომადგენლის მირიან სარიშვილის მტკიცებით, სანაცვლოდ "აჭარა" მერიას წლების განმავლობაში თითქმის არაფერს უხდიდა. მეტიც: საგადასახადო დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ დროისთვის ბიუჯეტის მიმართ ავიაკომპანიის დავალიანება მილიონ ასოცდაათი ათას ლარს აჭარბებს, აქედან ნახევარზე მეტი (დაახლოებით 800 ათასი ლარი) სოციალურ გადასახადზე მოდის. დეპარტამენტის ვადაგადაცილებულ დავალიანებათა ანალიზისა და იძულებით გადახდევინების მეთოდების სამმართველოს უფროსის ამირან თავართქილაძის თქმით, ბიუჯეტის მიმართ დავალინება ავიაკომპნიას უაკანასკნელი 6 წლის განმავლობაში დაუგროვდა.

თუმცა ავიაკომპანია "აჭარის" მოვალეთა სია ბიუჯეტით არ ამოიწურება. მირიან სარიშვილი ამტკიცებს, რომ ავიაკომპანიის დავალიანება ბათუმის აეროპორტის მიმართ რამდენიმე ათეულ ათას ლარს აღწევს. 60 ათას ლარზე მეტი მართებს "აჭარას" იმ ადგილობრივი კომპანიისა, რომელიც მას საწვავით უზრუნველყოფდა. **"დღესაც, ავიაკომპანია "აჭარა" თავისი უკანონო რეისებით სერიოზულ მატერიალურ ზარალს აყენებს ბათუმის აეროპორტს. დღეს აეროპორტი ერთ რეისზე დაახლოებით სამ-ოთხ ათას ლარს კარგავს. ეს კი იმით არის გამოწვეული, რომ ავიაკომპანია "აჭარა" ჩარტერულ რეისებს ვერ ახორციელებს,"** – აღნიშნა "24 საათთან" საუბრის დროს მირიან სარიშვილმა.

კიდევ ერთი მიზეზი, რაც ავიაკომპანიის რეისების განხორციელებას კრძალავს და საერთოდ მის საქმიანობას ზღუდავს: ამ დროისთვის ავიაკომპანიაში მოკვლევას სამართალდამცველები აწარმოებენ. "აჭარაში" საგადასახადო დეპარტამენტის სპეციალური საგამოძიებო ჯგუფია შესული, რომელიც ავიაკომპანიის გასული წლების საფინანსო საქმიანობას სწავლობს. დაყადაღებულია ავიაკომპანიის საბანკო ანგარიშები და მის ბალანსზე რიცხული ქონება.

კიდევ ერთი საინტერესო დეტალი, რაც აბაშიძის მიერ ავიაკომპანიის აშკარა პროტეჟირებაზე მიუთითებს. "აჭარას" რამდენიმე წლის წინათ ადგილობრივი ხელისუფლების გადაწყვეტილებით ბათუმის აეროპორტის ტერიტორიაზე მუდმივ სარგებლობაში ორი ბაქანი გადაეცა ყოველგვარი სასყიდლის გარეშე. მაშინ, როცა მოქმედი კანონმდებლობა სახელმწიფო ქონების უსასყიდლოდ გადაცემას, ნებისმიერ კერძო კომპანიაზე ცალსახად კრძალავს. ამ და სხვა კანონდარღვევების გამო ავიაკომპანია "აჭარის" ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამ დროისთვის სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული, ხოლო მისი ძველი ხელმძღვანელი რუსლან დიასამიძე აჭარის ყოფილ მეთაურთან - ასლან აბაშიძესთან ერთად მოსკოვშია გაქცეული.

"საქართველოს ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტის გიორგი კოდუას ინფორმაციით, საქართველოს სამოქალაქო ავიაციის ადმინისტრაციამ ბათუმი-მოსკოვის ავიარეისის განხორციელების უფლება მის ავიაკომპანიას მისცა, ხოლო "აჭარა" რუსულ ავიაკომპანია "დომოდედოვოს" ავიახაზებთან ერთად "საქართველოს ნაციონალურ ავიახაზებს" არ აძლევს აღნიშნული რეისის განხორციელების უფლებას.

გიორგი კოდუა "აჭარის ავიახაზების" და "დომოდედოვოს" ავიახაზების უკან აჭარის ყოფილ მეთაურს ასლან აბაშიძეს მოიაზრებს, რომლის გავლენითაც საქართველოს "ნაციონალური ავიახაზები" ვერ ახერხებს აღნიშნული რეისის განხორციელებას. კიდევ ერთი დეტალი; ავიაკომპანია "აჭარის" თითქმის ყველა პერსონალი, სტუარდესებით დაწყებული პილოტებით დათავრებული, რუსი ეროვნების არის.

"ნაციონალური ავიახაზების" პრეზიდენტის განცხადებით, ბილეთის მფლობელებს ავიაკომპანია "აჭარის" მომსახურებით სარგებლობა 35 ამერიკული დოლარით ძვირი დაუჯდებათ.

## "ეი-ი-ეს თელასის" განცხადება

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

17 აგვისტოს, 09.00-დან 18.00-სთ-მდე:
ლიბანის ქუჩის მაცხოვრებლებს.
17 აგვისტოს, 11.00-დან 15.00-სთ-მდე:
არაგვის, ახვლედიანის, ბარნოვის(ნაწილობრივ), ბელინსკის, ეკალაძის, გურგულიას, კობახიძის, კოსტავას(ნაწილობრივ), მილორავას, ნიკო ნიკოლაძის(ნაწილობრივ), ქიაჩელის, ვაშლოვანის ქუჩების მაცხოვრებლებს.
17 აგვისტოს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:
დიღმის მასივის II კვარტლის, გამსახურდიას გამზირის(ნაწილობრივ), გაგარინის(ნაწილობრივ), კანდელაკის(ნაწილობრივ), კოსტავას(ნაწილობრივ), გოთუას, მარჯვენა სანაპიროს, ონიაშვილის, შარტავას, ყუშიტაშვილის, ცაგერის, იოსებიძის, ბოცვაძის, ბულაჩაურის, ხვიჩიას, ბენდელიანის, ფიზკულტურის, მიროტაძის, ქუთათელის, თაბუკაშვილის, ანჯაფარიძის ქუჩების მაცხოვრებლებს.

# საქართველოში ჭარბდენიანობაა

*თუ ზამთრობით საქართველოში ენერგოკრიზისი მძვინვარებს, დასავლეთ საქართველოში მოსულმა კოკისპირულმა წვიმებმა ახლა ჭარბდენიანობა გამოიწვია: მდინარე ენგურზე წყალი ისეთი ძალით მოვარდა, რომ ენერგეტიკოსებს წყალსაცავიდან კინაღამ წყლის დაღვრა მოუწიათ. თუმცა, ევრობანკის კრედიტის ფარგლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების წყალობით, ამ წყალდიდობას ენგურჰესი "კარგ ფორმაში" შეხვდა და ამჟამად 500-მეგავატიანი დატვირთვით მუშაობს, რაც ზაფხულში ქვეყნის სრული ელექტრომომარაგებისთვის სავსებით საკმარისია.*

მაია ურუშაძე

გამძვინვარებული სტიქიის წყალობით, ენგურჰესის კაშხალი მაქსიმალურ ნიშნულამდე გაივსო. გაჩნდა მიმდებარე სოფლების დატბორვის საშიშროება. ჰესის უნიკალური კაშხლის გადავსებამ ენერგეტიკოსები, ცოტა არ იყოს, შეაშფოთა. მის განსატვირთად ენერგეტიკის სამინისტრომ ენგურჰესის ოთხივე მწყობრში მყოფი აგრეგატის ამუშავება და, შედეგად, მთელი ქვეყნის 24-საათიანი ელექტრომომარაგების რეჟიმზე გადაყვანა გადაწყვიტა. ასე რომ, 14 აგვისტოდან დენს ყველა რეგიონის, მათ შორის, "გრაფიკში ჩასმული" ურჩი გადამხდელი რეგიონების მცხოვრებლებიც მიიღებენ.

ენერგეტიკის სამინისტროში ვარაუდობენ, რომ ელექტრომომარაგების 24-საათიანი რეჟიმის შენარჩუნების აუცილებლობა კიდევ ორი კვირას გასტანს. თუმცა, თუ წვიმები კიდევ გახანგრძლივდა, ჭარბდენიანობაც შესაბამისად გაგრძელდება. უახლოესი დღეების განმავლობაში კი დენის გათიშვის მიზეზი მხოლოდ გადატვირთული ელექტროსადენების დაზიანება თუ გახდება.

**"სადენების დაზიანება მოულოდნელი არ იქნება. ენგურჰესთან აღმოსავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი 500-კილოვოლტიან ელექტროგადამცემ ხაზ "იმერეთზე" რამდენიმე წელია, სარეაბილიტაციო სამუშაოები არ ჩატარებულა, მწყობრიდან არის გამოსული ხაზის დამცავი ავტომატიკა,"** – აცხადებს ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი და ხაზის ოპერატორ "საქრუსენერგოს" უყურადღებობაში ადანაშაულებს.

მიუხედავად იმისა, რომ "ევრორემონტიანი" ენგურჰესის მწყობრში მყოფ ოთხ აგრეგატს დღეისათვის უკვე 900 მეგავატი სიმძლავრის "აღებაც" შეუძლია, ენერგეტიკის სამინისტრო დენის ექსპორტზე გატანას არ გეგმავს. **"რა გარანტია გვაქვს, რომ წვიმები დიდხანს გაგრძელდება? უმჯობესია, ეს წყალი წყალსაცავში დავაგროვოთ და მომავალი ზამთრისთვის დავზოგოთ,"** – აცხადებს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ხეთაგური.

ზამთრისთვის მომზადების საკითხი კი ენერგოსისტემისთვის დღითი დღე უფრო აქტუალური ხდება. ყოველი მომავალი ზამთრის სეზონისათვის მზადებას სისტემა, როგორც წესი, გაზაფხულზე იწყებს. თუ ჰიდრორესურსების დაგროვება წყალდიდობის სეზონზე – გაზაფხულის მიწურულს და ზაფხულის განმავლობაში არ მოხერხდა, ნაახალწლევს ქვეყანა მწვავე ენერგოდეფიციტის წინაშე დგება ხოლმე.

საქართველოს ენერგეტიკის მომავალი ზამთრისთვის მზადების პროცესით უკმაყოფილოა საქართველოს ენერგეტიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარე მირონ ფირცხელანი და მიიჩნევს, რომ ენერგეტიკის სამინისტრო ზამთრის სეზონისთვის დროულად არ ემზადება. **"თითქოს ფინანსები გამოყოფილია, საჭირო ღონისძიებები კი ფერხდება. სეზონის დადგომამდე 45 დღე დარჩა, ბიუჯეტიდან გამოყოფილი 27 მილიონი ლარი კი სამინისტრომ ჰესების რეაბილიტაციისთვის ჯერ მხოლოდ გაანაწილა,"** – აცხადებს ფირცხელანი.

ენერგეტიკის მინისტრის მოადგილის ინფორმაციით კი მომავალი ზამთრისთვის სამზადისი უკვე დიდი ხანია, დაწყებულია და ეს პროცესი გეგმაზომიერად, ვადების შესაბამისად მიმდინარეობს. **"შაორის, ვარციხის, რიონის, ლაჯანურის და გუმათის ჰიდროელექტროსადგურებზე გადაუდებელი სარემონტო სამუშაოები უკვე დაწყებულია,"** – განუცხადა "24 საათს" ალექსანდრე ხეთაგურმა.

გარდა ამისა, ზამთარში ენგურჰესის მუშა მდგომარეობაში მყოფ ოთხ აგრეგატს მეხუთეც შეემატება და სადგური კიდევ უფრო "მომძლავრდება". მას შემდეგ კი, რაც ევრობანკის თანხით განახლებული სამი აგრეგატის ძველი მარაგნაწილებით დანარჩენ ორ აგრეგატს კიდევ გადაახალისებენ, ჰესი დილისა და საღამოს პიკებზე დენის გამომუშავებას თავისი მაქსიმალური საპროექტო სიმძლავრით – 1350 მეგავატით შეძლებს. თუ, რასაკვირველია, ამისთვის ჰიდრორესურსები ეყოფა.

ახალი საპროცენტო განაკვეთი ბიზნეს სესხებზე

პროკრედიტ ბანკი
ProCredit Bank

ბიზნეს სესხი დოლარში
მოკლევადიანი უკვე წლიური 13%-დან
გრძელვადიანი უკვე წლიური 14%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 60 თვე

ბიზნეს სესხი ლარში
უკვე წლიური 17%-დან
სესხის დაფარვის მაქსიმალური პერიოდი 18 თვე



პროკრედიტ ბანკი - ლიდერი მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებაში

დამატებითი ინფორმაციისათვის დაგვიკავშირდით: | 20 16 16 თამარ მეფის გამზ. 18 | 20 17 17 ვაჟა-ფშაველას გამზ. 46 | 25 28 06 ჭავჭავაძის გამზ. 58

# ვენესუელას მოსახლეობის არჩევანი

## გამოჩნდება თუ არა სინათლე რეფერენდუმის ბოლოს?

ლაშა ბიორბიძე

*15 აგვისტოს ვენესუელაში რეფერენდუმი ჩატარდა. შედეგები ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ასობით ათასი ქუჩაში გამოსული ქვეყნის მოქალაქე ღიად აფიქსირებს თავის არჩევანს და პრეზიდენტის უფლებამოსილების შეწყვეტას მოითხოვს. ერთწლიანი უშედეგო მანიფესტაციების და დემონსტრაციების, უსამართლოდ გაუქმებული და ბათილად ცნობილი ხელმოწერების შემდეგ, ოპოზიციის მიზანი მიღწეულია. ხელისუფლება იძულებული გახდა, დაჰყოლოდა ხალხის ნებას, ხოლო პოლიტიკურ ოპოზიციას ისღა დარჩა, სამართლიანი რეფერენდუმის გარანტი გამხდარიყო.*




შეიძლება ითქვას, რომ ვენესუელას პრეზიდენტმა ჰუგო ჩავესმა განაჩენი თავად გამოუტანა საკუთარ თავს. რეფერენდუმის ჩატარების უფლება ვანესუელას მოქალაქეებმა სწორედ ჩავესის მიერ კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად მიიღეს. ოპოზიციის მოთხოვნით, 15 აგვისტოს ჩატარებული რეფერენდუმი, ალბათ, რეალურ სურათს დააფიქსირებს, - სურს თუ არა ვენესუელას მოსახლეობას ისეთი პრეზიდენტი, როგორიც ჰუგო ჩავესია. 1999 წლის საკონსტიტუციო ცვლილებით, რომლის ინიციატორი ქვეყნის ახალი პრეზიდენტი ჩავესი იყო, ყველაფერი გაკეთდა იმისათვის, რათა მაქსიმალურად მომხდარიყო ხელისუფლების ცენტრალიზაცია ქვეყანაში და პირადად პრეზიდენტი აღჭურვილიყო მაქსიმალური უფლებამოსილებით. თუმცა, ახალ კონსტიტუციაში დაფიქსირდა, რომ შესაძლებელი იყო ნებისმიერი არჩეული პიროვნების, მათ შორის პრეზიდენტის, გადარჩევის მოთხოვნით რეფერენდუმის ჩატარება, მას შემდეგ, რაც კონკრეტული არჩეული საჯარო მოხელე დაასრულებდა თავისი უფლებამოსილების პერიოდის ნახევარს მაინც. პრეზიდენტმა ჩავესმა კი თავისი საპრეზიდენტო ვადის ნახევარი გასული წლის 19 აგვისტოს დაასრულა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, საპროტესტო აქციები არ წყდება კარაკასის ქუჩებში ერთადერთი მოთხოვნით, ჩატარდეს რეფერენდუმი და გადადგეს პრეზიდენტი ჰუგო ჩავესი.

კონსტიტუციის პირობების დაკმაყოფილება რეფერენდუმის ჩასატარებლად საკმაოდ ძნელი აღმოჩნდა. რეფერენდუმის ჩასატარებლად აუცილებელია ამომრჩეველთა 25 პროცენტის თანხმობა, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს რაოდენობა 2,4 მილიონი ადამიანია. რეფერენდუმი ოპოზიციის უკანასკნელი შანსია. 2003 წლის აგვისტოში ოპოზიციამ მოახერხა სამი მილიონი ხელმოწერის შეგროვება, თუმცა იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა წლის დასაწყისში, საპრეზიდენტო ვადის ნახევრის გასვლამდე იქნა შეგროვებული, ბათილად ცნეს. ახალი ოპოზიციური კამპანია დაიწყო წინა წლის ნოემბერში, როდესაც ოთხი დღის განმავლობაში აგროვებდნენ ხელმოწერებს ოპოზიციის ლიდერები და 3,4 მილიონი ხელმოწერაც შეაგროვეს, თუმცა საარჩევნო საბჭომ მხოლოდ 1,9 მილიონი ხელმოწერის ნამდვილობა დაადასტურა, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა რეფერენდუმის ჩასატარებლად.

ერთგვარ კომპრომისად შეიძლება ჩაითვალოს ხელისუფლების ერთგული საარჩევნო საბჭოს გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მაისის დასაწყისში მან საშუალება მისცა ამომრჩევლებს, ხუთი დღის განმავლობაში დაეფიქსირებინათ თავიანთი ხელმოწერის ნამდვილობა, რამაც საბოლოოდ შედეგი გამოიღო და 15 აგვისტოს რეფერენდუმამდე მიგვიყვანა. ახლა ყველაფერი ხალხის აქტიურობაზეა დამოკიდებული. გადაწყვეტილების მიღების დღიდან უამრავი ადამიანი ქუჩაშია გამოსული და ასე გამოხატავს აღტაცებას. მათ ბოლოს და ბოლოს ეძლევათ საშუალება, დააფიქსირონ თავიანთი პოზიცია და გადაირჩიონ ბატონი ჩავესი, რომელმაც ნამვილად ვერ გაამართლა ვენესუელას მოსახლეობის იმედები. ახალი საპრეზიდენტო არჩევნები კი რეფერენდუმიდან 30 დღის განმავლობაში ჩატარდება, მაგრამ ეს იმ შემთხვევაში, თუკი მოქმედი პრეზიდენტი ახალ სიურპრიზს არ უმზადებს ოპოზიციურად განწყობილ მოსახლეობას და პოლიტიკოსებს.

შეიძლება ითქვას, რომ რეფერენდუმის ჩატარების დღედ 15 აგისტოს არჩევა ოპოზიციის მნიშვნელოვანი წარმატებაა. თუკი რეფერენდუმი გაიმართებოდა 19 აგვისტოს, ოპოზიციის ნებისმიერი წარმატების შემთხვევაში ძალაუფლება გადაეცემოდა ვიცე-პრეზიდენტს და არსებული კანონმდებლობით არც დამატებითი არჩევნები ჩატარდებოდა. ეს კი ნიშნავდა იმას, რომ ხელისუფლება განაგრძობდა იმავე წესებით თამაშს მინიმუმ სამი წლის განმავლობაში, დარჩენილი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვამდე.

უნდა ითქვას, რომ დღევანდელი ოპოზიცია საკმაოდ ჭრელი პოლიტიკური პარტიებისა და სოციალური ჯგუფებისგან შედგება. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებთ, პრეზიდენტ ჩავესის თავიდან მოშორების სურვილია. ის პოლიტიკოსები, რომლებიც შეძლებისდაგვარად ინარჩუნებენ ნეიტრალიტეტს, საბოლოო ჯამში მაინც მოექცევიან მთავრობის გავლენის ქვეშ, რაც მათი გადარჩენის საშუალებაც იქნება, ხოლო ბატონი ჩავესისათვის - დემოკრატიის ნიღაბი. ჯერჯერობით ჰუგო ჩავესი უმკლავდება მტრებს, რომელთაც არა მარტო ვენესუელაში, არამედ კოლუმბიასა და აშშ-შიც ხედავს. პრეზიდენტის "მიკროფონის დიპლომატია" კიდევ უფრო დაძაბავს ვენესუელას ურთიერთობებს ზემოხსენებულ სახელმწიფოებთან. ბევრი მოელოდა, რომ აშშ უფრო აქტიურად ჩაერეოდა სამხრეთ ამერიკული ქვეყნის საქმეებში, რათა ოპეკის წევრ ქვეყანაში დემოკრატიის რაღაც ნიშნები მაინც გადაერჩინა. სინამდვილეში, ბუშის ადმინისტრაციას ნამდვილად არ სურს ურთიერთობების ისეთი გამწვავება, რომელმაც აშშ-ში ნოემბრის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ვენესუელას ნავთობის იმპორტი შეიძლება შეაფერხოს.

ოპოზიციას ორი ძირითადი ამოცანის შესრულება მოუწევს. პირველი, როგორც აღვნიშნეთ, ელექტორატის 25 პროცენტის მონაწილეობაა ხმის მიცემის პროცედურაში. ხოლო მეორე, ბევრად უფრო მძიმე დავალება, საკმარისი რაოდენობის ხმების დაგროვება იქნება. ვენესუელაში მოქმედი კანონმდებლობით, პრეზიდენტის რეფერენდუმით გადარჩევა მაშინ შეიძლება, თუკი შეგროვდება იმ ხმებზე არა ნაკლები, რაც პრეზიდენტმა არჩევნების დროს მოიპოვა. ჰუგო ჩავესს კი მეორედ არჩევისას 2000 წელს 3,76 მილიონმა ამომრჩეველმა მისცა ხმა, რაც ბევრად აღემატება რეფერენდუმის მსურველთა რაოდენობას.

მიუხედავად იმისა, რომ ვენესუელამ ამ პერიოდის მანძილზე გამოიარა არაერთი ეკონომიკური კრიზისი, გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა და შემცირდა სოციალური პროგრამები, ქვეყნის მოქმედ პრეზიდენტს მხარს ამომრჩეველთა 30-40 პროცენტი მაინც უჭერს. თუნდაც ჩავესი დამარცხდეს რეფერენდუმში, არავის არ ეპარება ეჭვი, რომ იგი კვლავ წამოაყენებს თავის კანდიდატურას უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებზე, როგორც კი ქვეყნის კონსტიტუცია მას ამის უფლებას მისცემს. ეს ისევ და ისევ იმას მიანიშნებს, რომ ქვეყნის ოპოზიციური ძალები მხოლოდ ამ ეტაპზე მოქმედებენ კოორდინირებულად და ერთმანეთის აზრს იზიარებენ, ხოლო არავინ იცის, რა მოჰყვება მათი ოპოზიციიდან ხელისუფლებაში გადასვლას.

# ევროკავშირი სუდანში გენოციდს არ ცნობს

სერგი კაპანაძე

უკანასკნელი თვეების განმავლობაში მსოფლიო მასმედია სუდანში განვითარებულ მოვლენებს დაკვირვებით ადევნებდა თვალს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ უკანასკნელ წლებში განვითარებული ერთ-ერთი უმძიმესი ჰუმანიტარული კატასტროფის მოწმენი ვხდებით, რომლის შედეგად უკვე 50 ათასზე მეტი მშვიდობიანი მოსახლეა დაღუპული, ხოლო მილიონზე მეტი კი უსახლკაროდაა დარჩენილი. სამშობლოშივე ლტოლვილებად ქცეული სუდანელები ქვეყნის აღმოსავლეთ საზღვარს მიაწყდნენ. ყველაზე იღბლიანებმა კი ჩადში მოახერხეს თავშესაფრის მიღება. დარფურელები არც ბუნებამ დაინდო და უდაბნოს ქარიშხლებმა და ღამის აუტანელმა სიცივეებმა დაღუპულთა რიცხვი თითქმის გააორმაგა. სუდანში აფრიკელთა კავშირის 80 დამკვირვებლის დასაცავად კი პირველად რუანდის საერთაშორისო სამხედრო კონტინგენტი ჩავიდა.

ყველაფერი 2003 წლის ადრე გაზაფხულზე დაიწყო, როდესაც სუდანის აღმოსავლეთით მდებარე დარფურის პროვინცია ოფიციალური ხართუმის წინააღმდეგ აჯანყდა. ამბოხებულები მოითხოვდნენ დისკრიმინაციის შეწყვეტასა და ქვეყნის ყველა პროვინციაში ბუნებრივი რესურსების თანაბრად განაწილებას. ამბოხების საპასუხოდ სუდანის ისლამისტურმა მილიციამ, რომელიც ჯანჯავიდების სახელითაა ცნობილი, დარფურის პროვინციაში მცხოვრები შავკანიანი მოსახლეობის ეთნიკური წმენდა დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მტკიცებით, ოფიციალური ხართუმი ჯანჯავიდებს აღმოსავლეთ საზღვართან მცხოვრები ქრისტიანული მოსახლეობის გასანადგურებლად იყენებს. ჯანჯავიდები არ წარმოადგენენ სუდანის ოფიციალურ შეიარაღებულ ძალებს და ოფიციალურ ხართუმს არ ემორჩილებიან, თუმცა, არსებული ინფორმაციის თანახმად, ეს უკანასკნელი მათ აქტიურად იყენებს ეთნოწმენდის პოლიტიკის განხორციელებისათვის. სუდანის პრეზიდენტმა ომარ ბაშირმა ამ დაჯგუფების განიარაღების ვალდებულება ოფიციალურად უკვე აიღო, თუმცა, ამ მიზნის მისაღწევად არაფერს აკეთებს.

გაერო და ამერიკის შეერთებული შტატები ამტკიცებენ, რომ სუდანის აღმოსავლეთ პროვინციაში განხორციელებული მკვლელობები სხვა არაფერია, თუ არა გენოციდი. ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა პალატამ ამასთან დაკავშირებით გასული თვის ბოლოს გადაწყვეტილებაც მიიღო. აშშ-ს მსგავსი დამოკიდებულება შეიძლება ითქვას, რომ საერთაშორისო სამართლებრივ ნორმებსაც ეხმაურება და საერთაშორისო სამართლებრივ განსაზღვრებაშიც ჯდება. საერთაშორისო სისხლის სასამართლოს განმარტებით, გენოციდი არის "ეროვნული, რასობრივი, რელიგიური ან ეთნიკური ნიშნით გამორჩეული ჯგუფების სისტემატიური და გეგმაზომიერი განადგურება". სუდანის მოვლენებს თუ გადავავლებთ თვალს, მსხვერპლის ჯანჯავიდების მიერ გამორჩევა სწორედ რასობრივი და რელიგიური ნიშნით ხდება, განადგურებას კი ნამდვილად მასიური, სისტემატური და გეგმაზომიერი ხასიათი აქვს.

მიუხედავად ამისა, ევროკავშირი სუდანის გენოციდის აღიარებას არ ჩქარობს. პიტერ ფეიტი, ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის უმაღლესი წარმომადგენლის ჰავიერ სოლანას მრჩეველი მიიჩნევს, რომ სუდანში განხორციელებულ მკვლელობებს ნამდვილად გააჩნდა მასობრივი, ჩუმი და მიზანმიმართული ხასიათი, თუმცა იგი არ აკმაყოფილებს გენოციდის განსაზღვრებას, რადგან სახეზე არაა ეროვნული, რასობრივი ან ეთნიკური ნიშნით განხორციელებული ქმედებები. ამასთან, ევროკავშირი მოუწოდებს სუდანის მთავრობას, უზრუნველყოს სუდანელი მოქალაქეების დაცვა.

სუდანში ევროკავშირის დელეგაციის ვიზიტის შემდეგ ოფიციალური კომენტარი სუდანის გენოციდის შესახებ მხოლოდ რამდენიმე დღის შემდეგ გაკეთდა. ევროკავშირის მხრიდან მსგავსი დამოკიდებულება მოსალოდნელი იყო, რადგან გაერთიანებული და ახლა უკვე გაფართოებული ევროპა კვლავაც თავს არიდებს საერთაშორისო საკითხებში რადიკალურ ჩარევას. ასეთი პასიურობის მიუხედავად, ევროკავშირის ზოგიერთი სახელმწიფო, განსაკუთრებით კი საფრანგეთი აქტიურად მონაწილეობს დევნილი დარფურელების ჰუმანიტარულ დახმარებებში. ერთი შეხედვით, ევროკავშირი მზადაა, დახმარება აღმოუჩინოს დარფურის მოსახლეობას, თუმცა სხვა სახის ჩარევისგან მაინც თავს იკავებს.

სუდანის პრობლემა ძალზე მტკივნეულია მსოფლიოს წამყვანი ძალებისათვის, რადგან ამ წუთში არ არსებობს მექნიზმი, რომლის მიხედვითაც მოხდება მისი ეფექტური მოგვარება. ბუშის ადმინისტრაცია უკანასკნელი თვეების მანძილზე აქტიურად განიხილავდა სუდანის მთავრობაზე სანქციების დაწესების საკითხს. ივნისის ბოლოს სუდანში ამერიკის სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელიც კი გაემგზავრა. თუმცა, სანქციების დაწესება სუდანის მთავრობაზე დიდ შედეგებს ვერ გამოიღებს, რადგან უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე სუდანი, როგორც ტერორიზმის მფარველი სახელმწიფო, ისედაც სანქცირებული იყო ამერიკის შეერთებული შტატების მიერ. დამატებითი, ე.წ. "მიზანმიმართული სანქციების" წარმატებული იმპლემენტაცია, რაც სუდანის მთავრობისათვის გადაადგილების შეზღუდვას, ანგარიშების გაყინვასა და ვიზების არგაცემას ივალისწინებს, ომარ ბაშირისა და მისი მთავრობის დაშინებას, სავარაუდოდ, ვერ შეძლებს. სამწუხაროდ, "მიზანმიმართული სანქციების" გამოყენების მსოფლიო პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მსგავსი სანქციები არაეფექტურია და მიუხედავად იმისა, რომ დიდ დარტყმას აყენებენ პოლიტიკურ ელიტას, პრობლემის გადაჭრის ეფექტურ გზად მაინც არ გვევლინება.

დარფურის საკითხში გაერო-ც აქტიურად ერევა, თუმცა, საერთაშორისო ორგანიზაციის სისუსტე და წამყვან სახელმწიფოებზე დამოკიდებულება მაინც თვალსაჩინოა. ადამიანის უფლებების დაცვის გაუმჯობესებისა და დარფურის მკვიდრთა უფლებების უზრუნველყოფისთვის გაერო-მ სუდანის მთავრობას აგვისტოს ბოლომდე სამკვირიანი ვადა მისცა. თუმცა, ჯერჯერობით უცნობია, რა მექანიზმებს მიმართავს გაერო სუდანის მთავრობის დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, მით უმეტეს, რომ ოფიციალურმა ხართუმმა უკვე დაგმო ულტიმატუმი.

სუდანის მთავრობა ასევე კატეგორიულად უარყოფს გენოციდის ფაქტს და ამტკიცებს, რომ მას არ ეკისრება პასუხისმგებლობა დარფურში განხორციელებულ ჰუმანიტარულ კატასტროფაზე. ომარ ბაშირი განსაკუთრებით დარფურის მოვლენების რუანდის გენოციდთან შედარების ფაქტმა გააღიზიანა. სუდანის მთავრობის მტკიცებით დარფურში მომხდარი "გაუგებრობა" მხოლოდ ორი ადგილობრივი ტომის ანგარიშსწორების შედეგია და არ შეიძლება მისი გენოციდთან ან ეთნოწმენდასთან გაიგივება. ოფიციალური ხართუმის განცხადებით, რუანდის გენოციდი საერთაშორისო საზოგადოებისაგან ფარულად მოხდა, ხოლო ის, რაც დარფურში ხდება, მთელმა მსოფლიომ იცის. სამხრეთ აფრიკაში სუდანის საელჩოს მიერ გავრცელებული ოფიციალური განცხადების თანახმად, სუდანში საერთაშორისო ორგანიზაციები მოქმედებენ და დარფურში მიმდინარე მოვლენებს აკვირდებიან. ამდენად, სუდანის მთავრობის უდანაშაულობა ეჭვს არ უნდა იწვევდეს. "გენოციდის განხორციელება რომ გვდომოდა, ამ ორგანიზაციებს ხომ, პირველ რიგში, გავაგდებდით ქვეყნიდან," – ასეთია ოფიციალური ხართუმის თავის მართლება.

სუდანს ნამდვილად გაუჭირდება ახსნა, თუ რატომ აფერხებს იგი დარფურის რეგიონში ჰუმანიტარული ტვირთის შეტანას და რატომ ახდენს ისლამისტური მილიციის რეგიონში ძალაუფლების ლეგალიზაციას. ადამიანის უფლებების დამცველი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის Human Rights Watch-ის განცხადებით, სუდანის მთავრობა ჰუმანიტარული კატასტროფის აღმოფხვრაში საერთაშორისო ორგანიზაციებს არათუ არ ეხმარება, არამედ მათ ქვეყანაში შესვლასა და ჰუმანიტარული დახმარების დაბლოკვით საერთოდ ხელსაც კი უშლის.

"სუდანის მთავრობის მტკიცების მიუხედავად, დარფურში მიმდინარე სასტიკი გენოციდი ოფიციალური ხართუმის აშკარა ტყუილზე მიუთითებს," – აცხადებს პიტერ ტაკირამბუდე, Human Rights Watch-ის აფრიკის განყოფილების აღმასრულებელი დირექტორი.

სუდანის გენოციდისადმი მსგავსი განსხვავებული დამოკიდებულება იმ ტენდენციაზე მიანიშნებს, რომელიც მსოფლიოში უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე დამკვიდრდა. საერთაშორისო თანამეგობრობა ყოველთვის ყოყმანობს გენოციდის ფაქტის აღიარებისას, რაც ხშირად უდიდეს ადამიანურ კატასტროფებზე თვალის დახუჭვამდეც კი მიდის. იგივე ათი წლის წინანდელი რუანდის გენოციდი საერთაშორისო საზოგადოებამ უყურადღებოდ დატოვა, რის შედეგადაც მილიონზე მეტი რუანდელი დაიღუპა. ანალოგიური რამ მეორდება სუდანის შემთხვევაშიც. ევროკავშირი ცდილობს, თვალი დახუჭოს ზოგიერთ ასპექტზე. მსგავს მოქმედებას კი მხოლოდ ერთი ახსნა შეიძლება მოეძებნოს, კერძოდ, გენოციდის აღიარების შემთხვევაში ევროკავშირი ვალდებული იქნება, ზომები მიიღოს, რისთვისაც იგი, რა თქმა უნდა, მზად არ არის. ევროკავშირი უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მუდამ ყოყმანობდა არადემოკრატიული რეჟიმების წინააღმდეგ ძალის გამოყენებაზე. ამის დასამტკიცებლად, ყოფილი იუგოსლავიის, ბოსნიის, რუანდისა და ერაყის მაგალითები გამოდგება. იუგოსლავიაში ამერიკის ყოფილი ელჩის რიჩარდ ჰოლბრუკის სიტყვებს თუ მოვიშველიებთ, "ევროპას ღრმა ძილით ძინავს", როდესაც მსოფლიოში ჰუმანიტარული კატასტროფები ხორციელდება.

მეორე მხრივ, ამერიკის შეერთებული შტატები მზადაა, სუდანის მთავრობას ხალხის წინაშე ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხი აგებინოს, თუმცა სუდანის მილიტარისტულ რეჟიმთან მარტო გამკლავების ძალა არც მას შესწევს. ერაყსა და ავღანეთში ჩარევის შემდეგ ამერიკა, სავარაუდოდ, ველარ მოახერხებს მესამე სახელმწიფოში ძალის ეფექტურ გამოყენებას, რადგან მთელი ადამიანური და ფინანსური რესურსები ერაყისა და ავღანეთის ფრონტებზე აქვს გადასროლილი. სწორედ ამიტომ, აშშ ცდილობს, მეტი მორალური პასუხისმგებლობა ევროკავშირს დააკისროს. გენოციდის აღიარების შემთხვევაში მსოფლიო თანამეგობრობა ვალდებული იქნება, სუდანის მთავრობის წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომები მიიღოს, რაც ამერიკას ხელს აძლევს, რადგან სუდანი ათ წელიწადზე მეტია ტერორისტთა მხარდამჭერ ქვეყანად მიიჩნევა. ჯერჯერობით ეს თამაში ამერიკელებისათვის წამგებიანად მიმდინარეობს... მანამდე კი სუდანში ხალხი იხოცება...

### ორი სიტყვით

**მოლდოვა.** მოლდოვის ოპოზიციამ მკაცრად გააკრიტიკა ქვეყნის ხელისუფლება დნესტრისპირეთთან დიალოგის შეწყვეტის გამო. ოპოზიციური ბლოკის "დემოკრატიული მოლდოვა"-ს განცხადებაში ნათქვამია, რომ დნესტრისპირეთის რეგიონის მოლდოვის იურისდიქციაში დაბრუნება მკაცრ, მაგრამ იმავდროულად თანმიმდევრულ, ბრძნულ და სამშვიდობო ღონისძიებებს მოითხოვს. ოპოზიცია გამოდის წინადადებით, მოლაპარაკებების ხუთმხრივ ფორმატს ევროკავშირი, რუმინეთი და აშშ-ც შეუერთდნენ. დოკუმენტში ასევე აღნიშნულია, რომ "აუცილებელია დნესტრისპირეთში მყოფი ძალებისთვის ნეიტრალიტეტის შენარჩუნება და მათი ეუთო-ს, ევროკავშირისა და გაერო-ს მანდატისთვის გადაცემა. რუსეთი გავლენისა და რეგიონში განვითარებულ მოვლენებზე პასუხისმგებლობის გათვალისწინებით ვალდებულია, მოლდოვის ტერიტორიულ გაერთიანებას შეუწყოს ხელი. ამ მიმართულებით კი, აუცილებელ პირობად ეუთო-ს სტამბოლის სამიტზე მიღებული რეზოლუციის შესრულებაა. რეზოლუციის თანახმად, რუსეთმა კონფლიქტის ზონიდან შეიარაღებული ძალები უნდა გაიყვანოს". **იტარ-ტასი**

■ ■ ■

**იტალია.** ერთ-ერთ ისლამურ ინტერნეტგვერდზე განთავსებული განცხადებით, "ალ ქაიდასთან" დაკავშირებულმა დაჯგუფებამ "აბუ ჰაფს ალ-მასრის ბრიგადებმა" ულტიმატუმის ვადის ამოწურვამდე კიდევ ერთხელ გააფრთხილეს იტალია, რომ პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში აუცილებლად განხორციელდებოდა თავდასხმა. ულტიმატუმი, როგორც ცნობილია, "ალ ქაიდას" მხრიდან 1 აგვისტოს იქნა წარდგენილი და იგი ერაყიდან იტალიის სამხედრო კონტინგენტის გაყვანას ისახავდა მიზნად. ულტიმატუმის ვადა კი დღეს იწურება. ზემოაღნიშნულ განცხადებაშივე ნათქვამია, რომ ტერორისტების პირველი სამიზნე სილვიო ბერლუსკონი იქნება, ხოლო ტერაქტები მანამდე არ შეწყდება იტალიაში, სანამ "ერაყის უსაფრთხოება არ იქნება გარანტირებული". **24 საათი**

SWISS AGENCY FOR DEVELOPMENT AND COOPERATION SDC COORDINATION OFFICE FOR THE SOUTH CAUCASUS

**შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში იწვევს ახალგაზრდა სახელმწიფო მოხელეებს სასწავლო კურსზე "ადამიანის უფლებები და ჰუმანიტარული სამართალი".**

კურსი ჩატარდება 2004 წლის 25 სექტემბრიდან 9 ოქტომბრამდე ერევანში ჟენევის "საერთაშორისო ურთიერთობების სწავლების ინსტიტუტის" მიერ. სწავლებაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოდან 6 კანდიდატი შეირჩევა. განაცხადების შემოტანის ბოლო ვადაა 2004 წლის 23 აგვისტო. განაცხადის ფორმები და დამატებითი ინფორმაცია განთავსებულია ვებ-საიტზე: *http://www.gfsis.org/cabir*

ასევე შეგიძლიათ მიმართოთ შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს წარმომადგენლობას თბილისში. მისამართი: რადიანის ქუჩა 12 (გამსახურდიას ძეგლთან, ყოფილი ბარნოვის მეოთხე ჩიხი). ტელ.:25-36-82/83. ელ-ფოსტა: tbilisi@sdc.net

## მოკლედ

### საქმიანი ვიზიტი ბათუმში

საქართველოს განათლების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას ვოიაჟს მთიან აჭარაში შუახევის რაიონის საშუალო სკოლის დირექტორის დავით დავითაძის თანამდებობა შეეწირა. განათლების მინისტრმა მთიანი აჭარის ხულოს, ქედის და შუახევის რაიონების ორ-ორ საშუალო სკოლას მეორე-მეექვსე კლასების სახელმძღვანელოები გადასცა, შუახევის რაიონში მოქმედ ერთ-ერთ საშუალო სკოლას კი კომპიუტერის კლასისთვის აღჭურვილობა ჩაუტანა. როგორც აღმოჩნდა, სკოლის დირექტორს დავით დავითაძეს კომპიუტერული კლასისთვის განსაზღვრული კაბინეტი მოუმზადებელი ჰქონდა და მინისტრმა ეს აღჭურვილობა ბათუმში წაიყოლა. დაფაზე დაწერილი უცენზურო ოხუნჯობის გამო კი, შუახევის საშუალო სკოლის დირექტორს თანამდებობა დაატოვებინა. ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისთვის ოთხ-ოთხი კომპიუტერია გათვალისწინებული. ახლად დაკომპლექტებული კომპიუტერული კლასებით, პერიოდულად, რაიონების სხვა სკოლების მოსწავლეებიც ისარგებლებენ. ამასთან, ხულოს რაიონის სოფელ აგარასა და ღორჯომის, შუახევის რაიონის სოფელ უჩამბას, ბარათაულისა და პაპოშვილების, ქედის რაიონის ახოსა და მახუცეთის სკოლების მე-2 და მე-6 კლასებს აუცილებელი სასკოლო სახელმძღვანელოები გადაეცათ. პირველკლასელები სასწავლო წლის დაწყებამდე პრეზიდენტისგან საჩუქრად მიიღებენ სახელმძღვანელოებს. ბათუმში განათლების მინისტრმა რვა წარჩინებულ მოსწავლეს პრეზიდენტის სიგელები და 500 ლარის ოდენობის ფულადი ჯილდოები გადასცა. დაჯილდოების ცერემონიალს, რომელიც პრეზიდენტის ბათუმის რეზიდენციაში გაიმართა, აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ლევან ვარშალომიძეც ესწრებოდა. ცერემონიალის დასრულების შემდეგ ალექსანდრე ლომაია ბათუმის 26-ე საშუალო სკოლას ეწვევა, სადაც, უკვე ერთი კვირაა, ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული 25 სპორტსმენი მოსწავლე წვრთნებს გადის. **ინტერპრესი, მედია-ნიუსი**

### კიდევ ერთი 170

თბილისის მერიის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის საქალაქო სამსახური დღეს, ინვალიდ ბავშვთა სამკურნალო-სარეაბილიტაციო პროგრამის ფარგლებში, ინვალიდ ბავშვთა მეორე ნაკადს ათი დღით ურეკში გაამგზავრებს დასასვენებლად. ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის საქალაქო სამსახურში მიღებული ინფორმაციით, პირველი - 100-კაციანი ნაკადის მსგავსად, მეორე ნაკადის 170 ინვალიდი ბავშვის ურეკში დასვენების ხარჯებსაც ქალაქის მერია გაიღებს. წელს საქართველოს სხვადასხვა კურორტზე 620 ინვალიდი ბავშვის დასვენების პროგრამის განხორციელებისათვის თბილისის ჯანდაცვისა და სოცუზრუნველყოფის საქალაქო სამსახურმა 175 ათასი ლარი გამოყო. საქალაქო სამსახურში მიღებული ინფორმაციით, კურორტი ურეკი ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა დასასვენებლად, ქვიშის სამკურნალო თვისებების გამო, შეირჩა. ინვალიდ ბავშვთა ურეკში ტრანსპორტირების ხარჯები არასამთავრებო ორგანიზაცია "ანათეამ" გაიღო. **ინტერპრესი**

### სპეციალური კომისია

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს გადაწყვეტილებით, იქმნება სპეციალური კომისია, რომელსაც საქართველოში რადიაქტიულ ნივთიერებათა ნარჩენების განსათავსებლად შესაბამისი პრინციპების ჩამოყალიბება და ტერიტორიის შერჩევა დაევალება. კომისია დაკომპლექტდება სახელმწიფო უწყებებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით. გარემოსდამცველებს რადიაქტიულ ნივთიერებათა ნარჩენების განსათავსებლად ტერიტორიის შერჩევისას რამდენიმე პრინციპის გათვალისწინება მოუწევთ, მათ შორის - დასახლებული პუნქტებიდან მათი დაშორებულობა. ქართველი სპეციალისტები კომისიის დაკომპლექტებისა და პრინციპების შემუშავების საქმეში კონსულტაციებს, სავარაუდოდ, ამერიკელი კოლეგებისგან მიიღებენ. ამ მიზნით, დაგეგმილია ამერიკელთა ვიზიტი საქართველოში. **მედია-ნიუსი**

# მესამე სექტორი კახეთის განვითარებაზე ზრუნავს



საააგენტომ და "ურბანულმა ინსტიტუტმა" გურჯაანსა და ყვარელს თანამედროვე ტექნიკა-აპარატურით აღჭურვილი ნაგვის თვითმცლელი მანქანები გადასცეს.

ზვიად რუაძე
კახეთიდან

*USAID-ის დაფინანსებით, კახეთის რეგიონში არაერთი საგრანტიო პროექტი განხორციელდა. გუშინ კი სააგენტო კავკასიის რეგიონული მისიის, დემოკრატიის და მმართველობის ოფისის წარმომადგენლებმა "ურბანული ინსტიტუტის" მიერ ერთი წლის წინ ამოქმედებული საგარანტიო პროექტის ანგარიში ჩაიბარეს. წლის ნამუშევრის შეფასების შემდეგ გურჯაანისა და ყვარლის საკრებულოებს საჩუქრად უახლესი ტექნიკა-აპარატურით აღჭურვილი ნაგვის თვითმცლელი მანქანები გადაეცათ.*

კახეთის რეგიონის თვითმართველობის ორგანოებში შემავალი სისტემები რევოლუციამდე რომ მწყობრიდან იყო გამოსული, უდავოა. განსაკუთრებით, სავალალო მდგომარეობაში გახლდათ წყალკანალი და კომუნალური სამსახურები. მეტ-ნაკლებად სახარბიელო ვითარება ლაგოდეხის რაიონში აღმოჩნდა. მეტად რთულ პერიოდში თვითმმართველობის ორგანოსთან საერთო ენა გამონახა არასამთავრობო ორგანიზაცია "ურბანულმა ინსტიტუტმა". ორგანიზაციის წყალობით, რაიონში უამრავ სასიკეთო საქმეს ჩაეყარა საფუძველი და შედეგიც არაერთია. შარშან, ანალოგიური პროგრამებით, ამ საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციამ დახმარების ხელი გურჯაანსაც გაუწოდა. 2003 წლის ივლისის თვეში ხელი მოეწერა ურთიერთშეთანხმების მემორანდუმს, რომელიც მიზნად ისახავდა თვითმმართველობის ორგანოში რეფორმის გატარებას. **"ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი სამუშაო მენეჯმენტის შესრულებაა, რომელიც გულისხმობს მოსახლეობის ეფექტურ მომსახურებას",** - განაცახადა "ურბანული ინსტიტუტის" კოორდინატორმა კახეთში ირმა კუპრაშვილმა. კერძოდ, ერთი წლის განმავლობაში ინსტიტუტმა გურჯაანში რაიონის საკერებულოსთან ერთად, USAID-ის დაფინანსებით, შეძლო, შეესრულებინა სამუშაოების მენეჯმენტი წყლისა და დასუფთავების სფეროში და იმავე სფეროს საბიუჯეტო პროგრამის განვითარება. შეიქმნა ახალგაზრდული ასოციაცია, რომლებიც კვარტალში ერთხელ აწყობდა აქციას და ასუფთავებდა ქუჩებს. პარალელურად, ხორციელდებოდა მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვები იმის შესახებ, თუ რა იყო რაიონისთვის იმ დროს პრობლემა და რამდენად დროულად ხდებოდა მათი მოგვარება.

წლიური ანგარიშის ჩაბარებას, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. საგენტოს კავკასიის რეგიონული მისიის დემოკრატიის და მმართველობის ოფისის დირექტორმა ნიკ ჰიგინსმა "ურბანული ინსტიტუტის" მუშაობა ყვარელსა და გურჯაანში დადებითად შეაფასა. **"ძალიან გახარებულები ვართ. ახლა ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ "ურბანული ინსტიტუტი" და ადგილობრივი თვითმმართველობა წლის განმავლობაში ძალიან ბევრს მუშაობდნენ. აქ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, მაგრამ ვიტყვი იმასაც, რომ სააგენტო და ორგანიზაცია ბევრს იმუშავებენ",** - განაცხადა ჰეგინსმა. პროექტის წარმატებით განხორციელებაში "ურბანული ინსტიტუტის" დირექტორი საქართველოში ბილ უილიამ სტრაუზი დიდ მადლობას უხდის რაიონის მმართველობას და კახეთში ორგანიზაციის წარმომადგენელებს. **"პირველ ყოვლისა, მადლობას ვუხდი ამერიკის განვითარების პროგრამას, რომ ფინანსური დახმარება გაგვიწია. რაც შეეხება ჩვენ მუშაობას ყვარელსა და გურჯაანში, ეს სასიამოვნო იყო. ადგილობრივი ხელმძღავნელობა მზად იყო, გზა გაეხსნა ჩვენთვის სათანამშრომლოდ. გარდა ამისა, მოსახლეობაც იყო დაინტერესებული, ემუშავა თვითმმართველობასთან და ცხოვრების პირობები გაეუმჯობესებინა",** - გვითხრა "ურბანული ინსტიტუტის" კმაყოფილმა დირექტორმა.

გაწეული დახმარებისთვის ამერიკული ორაგანიზაციებისადმი მადლიერებას გამოთქვამდა ქართული მხარეც: **"რომ არა ეს ხალხი, ჩვენს საკრებულოს, ალბათ, კვლავ მოძველებული მეთოდით მოუწევდა მუშაობა. მათი დახმარებით, ბევრი რამ ვისწავლეთ და, რაც მთავარია, მივიღეთ საერთაშორისო გამოცდილება",** - გვითხრა ქალაქ ყვარლის საკრებულოს თავმჯდომარემ გოჩა შავგულიძემ. საგულისხმოა ისიც, რომ პროექტის ფრგლებში მომუშავე საკრებულოებს კომპიუტერები და სხვა საჭირო ნივთები გდაეცათ. ბოლოს კი, სიურპრიზად, სააგენტომ და "ურბანულმა ინსტიტუტმა" გურჯაანსა და ყვარელს თანამედროვე ტექნიკააპარატურით აღჭურვილი ნაგვის თვითმცლელი მანქანები გადასცეს. **"ამ დროისთვის მიმდინარეობს 10-მილიონიანი პროექტის დამუშავება და იმედი გვაქვს, რომ კონკურსში გამარჯვებულ ორგანიზაციასთან ერთად სააგენტო ბევრ სხვა საქმეზეც იმუშავებს",** - აცხადებს ნიკ ჰეგინსი.

# ცრემლიანი და იმედიანი შეხვედრა

ლელა მარბიანი

*შაბათს, 14 აგვისტოს აფხაზეთში დაწყებული კონფლიქტის თორმეტ წლისთავზე ომის ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭომ მოაწყო კონფერენცია თემაზე "ომის ვეტერანები 12 წლის შემდეგ". კონფერენცია ომის ვეტერანების სოციალურ მდგომარეობას მიეძღვნა.*

**"ომში დაღუპულთა გახსენების გარდა, ამ შეხვედრით მთავრობისთვის, ომის ვეტერანთა და ინვალიდთა დეპარტამენტის ხელმძღვანელობისთვის გვინდოდა, გვეჩვენებინა ჩვენი ძალა, ჩვენი ერთობა, რათა ამჯერად მაინც მიაქციონ სათანადო ყურადღება ადამიანებს, ვინც ყველაფერი გააკეთა სამშობლოსთვის. ჩვენ მივიღეთ მიმართვა ხელისუფლებისადმი, სადაც ვთხოვთ მთავრობას, შეიმუშაოს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა ამ ადამიანების მიმართ",** - განაცხადა ჩვენთან საუბარში კონფერენციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ომის ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, ქალბატონმა მანანა მებუკემ.

**"შემიძლია, განვაცხადო, რომ ომის ვეტერანებს და მათი ოჯახის წევრებს, ჯანმრთელობის პრობლემა-მკურნალობა, წამლები, ოპერაციის გაკეთება უკვე მოგვარებული აქვთ,** - გვითხრა დეპარტამენტის ახალმა თავმჯდომარემ ნუგზარ ცაგარეიშვილმა, - **თორმეტი წლის განმავლობაში დაღუპულთა ოჯახებს არავინ არ დახმარებია. მე, თავადაც, როგორც ომის მონაწილეს, არასდროს არანაირი დახმარება არ მიმიღია. ახლა ყველაფერი სხვაგვარად იქნება. ჩვენ უკვე შევძელით და 250 ბავშვი დავასვენეთ ცხვარიჭამიაში. სამწუხაროდ, მეტის შესაძლებლობა ამჯერად არ იყო. მზად ვარ თანამშრომლობისათვის, რადგან ყველაზე მეტად სწორედ ჩვენ - ომის ვეტერანებმა ვიცით მშვიდობის ფასი. თუ დღეს ჩვენ წაგებული ომის გმირები ვართ, მალე მოგებული ომის გმირები ვყოფილიყავით"!**

ღონისძიების სტუმრებს შორის იყო საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე კოტე გაბაშვილი, რომელიც თავადაც იბრძოდა აფხაზეთში და დარბაზში მყოფ ბევრ ყოფილ მებრძოლს პირადად იცნობდა. **"საქართველოს პარლამენტმა უკვე ყველაფერს თავისი სახელი დაარქვა,** - აღნიშნა მან, - **რუსეთი კონფლიქტში მონაწილე მხარედ იქნა აღიარებული. სხვანაირად არც შეიძლებოდა. არ შეიძლება რუსეთი იყოს ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში მშვიდობის დამცველი ძალა. დიდი ხანია, რუსების ხელში "ცისფერი ჩაფხუტები" წითლად გადაიღება და, უბრალოდ, სასაცილოა, მათ მშვიდობისმყოფელები ვუწოდოთ. მათ მიერ "დაცული" მშვიდობის დროს გალის რაიონში უფრო მეტი ადამიანი დაიღუპა, ვიდრე საომარი მოქმედებებისას. მე მახსოვს დაზვერვის ჩანაწერები, როდესაც რუსები ასეთ სიტყვებს ამბობდნენ:** "Ну, эти абхазцы! Ничего не знают! Зря теряем мы на них деньги! Надо, самим все сделать!" **ახლა ყველაფერი შეიცვლება. მე სოხუმიდან 28-ში გამოვედი და მჯერა, ისე არ მოვკვდები, რომ იქ თქვენთან ერთად არ ჩავიდე".**

შეხვედრაზე აჩვენეს აფხაზეთის ომის ამსახველი დოკუმენტური კადრები; იყო ბევრი ცრემლი და მოგონება, მაგრამ იყო დიდი იმედიც, რომ, ერთმანეთის თანადგომით, მალე ყველაფერი კარგად იქნება.




# სასექტემბრო სიურპრიზი მძღოლებსა და მგზავრებს

ნანა ქადაგიშვილი

*თბილისის მთავრობა ახალი სასწავლო წლის დასაწყისისათვის სიურპრიზს გვიმზადებს, ოღონდ ეს სიახლე მხოლოდ მოსწავლეთა გულის გასახარად არ არის მოგონილი. იგი ეკუთვნის ყველას, ვისაც ქალაქის ცენტრში ხშირად უწევს მოძრაობა.*

ქალაქის მთავრობამ თბილისის ცენტრალურ ნაწილში სატრანსპორტო მოძარაობის შეცვლა გადაწყვიტა. ერთი შეხედვით, თითქოს დიდი არაფერია, მაგრამ, როგორც მერია გვარწმუნებს, ახალი სატრანსპოტო სქემა, რომელსაც "სამკუთხედი" შეარქვეს, დედაქალაქში ტრანსპორტის გადაადგილებას მნიშვნელოვნად გააადვილებს. შესაბამისად, მძღოლებიც და მგზავრებიც უფრო დაწყნარებული ნერვებით ივლიან. ეს კი უბრალო ამბავი ნამდვილად არ არის.

ე.წ. "სამკუთხედის" იდეა, რომელიც კოსტავას, მელიქიშვილის ქუჩებისა და ვარაზისხევის განტვირთვას ითვალისწინებს, არქიტექტურის საქალაქო სამსახურში ჯერ კიდევ ირაკლი როსტომაშვილის ხელმძღვანელობის დროს გაჩნდა. ქალაქის მაშინდელი მთავრობა ექსპერიმენტის ჩატარებასაც გეგმავდა, მაგრამ ვერ გარისკა. ახალმა მთავრობამ კი გარისკა და შეასრულებს კიდეც.

"სამკუთხედის" გეგმა ასეთია: ვარაზისხევში ავტოტრანსპორტის მოძრაობა ცალმხრივი გახდება. მანქანები გმირთა მოედნიდან ზევით იმოძრავებენ. ავტოტრანსპორტით გადაადგილება შესაძლებელი იქნება მარჯვნივაც - ვაკის მიმართულებით და მარცხნივაც - მელიქიშვილის გამზირისკენ.

ვაკიდან რუსთაველის გამზირის მიმართულებით მოძრავი ტრანსპორტი შეუერთდება ვარაზისხევიდან მელიქიშვილის გამზირისკენ მოძრავ ნაკადს. ვაკიდან გმირთა მოედნისკენ მიმავალი ტრანსპორტი კი მელიქიშვილის ქუჩას გაივლის და ფილარმონიასთან მარცხნივ მოხვევის შემდეგ, კოსტავას ქუჩით, გმირთა მოედანზე მოხვდება.

რუსთაველის გამზირიდან ვაკეში მიმავალი ნაკადი გმირთა მოედანზე დადგმული სპეციალური "კუნძულის" შემოვლის შემდეგ კოსტავას ქუჩას გაივლის და ვაკისკენ გააგრძელებს გზას.

სანაპიროდან, საბურთალოდან ან თამარ მეფის გამზირიდან მიმავალი ტრანსპორტი, რომელიც რუსთაველისკენ მიემართება, ვარაზისხევით იმოძრავებს.

აღნიშნული სქემით, მოძრაობის დარეგულირების მიზნით, ფილარმონიისა და გმირთა მოედნის სატრანსპორტო კვანძებთან უსაფრთხოების სპეციალური გამყოფი ზოლები მოეწყობა. ფილარმონიასთან შუქნიშანი საჭირო აღარ იქნება, რადგან კოსტავას ქუჩიდან გმირთა მოედნის მიმართულებით ტრანსპორტი უწყვეტლივ იმოძრავებს.

აღნიშნული გეგმის ფარგლებში საჭირო ტექნიკური სამუშაოები გუშინ დაიწყო. ქალაქის პრემიერი ბიძინა ბრეგაძე აღნიშნული სამარშრუტო სქემის ამოქმედებას ახალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის გეგმავს.

## სამკურნალო გაერთიანება "ლიგა"

**სექსოპათოლოგიის კლინიკა**
**ტელ: 32 21 21**

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გაუმჯობესება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა ქრონიკული დაავადებების ფონზე.

**ნარკოლოგიის განყოფილება**
**ტელ: 32 21 21**

- ყველა სახის ნარკომანიის მკურნალობა;
- ალკოჰოლური აბსტინენციის მოხსნა;
- თამბაქოსაგან მყარი თავშეკავების მიღწევა;

თბილისი 0186, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11

# საპატრულო პოლიცია მუშაობას შეუდგა

*მართალია, დანაპირები თარიღიდან ზუსტად ერთი თვის დაგვიანებით, მაგრამ საპატრულო პოლიცია მაინც შეუდგა მუშაობას. მეტიც, პირველი სამუშაო დღის დასაწყისში საპატრულო პოლიციელები თავად საქართველოს პრეზიდენტმა დამოძღვრა.*



*სულ მალე საქართველოს მოსახლეობა იგრძნობს, თუ რამდენად განსხვავდება საპატრულო პოლიცია ძველი საგზაო პოლიციისაგან.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

**"ხალხმა პოლიციელის სრულიად ახალი სახე უნდა დაინახოს. თქვენ კორუფციის ჭაობში არ უნდა ჩაერთოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ვეღარ შევძლებთ, ხელფასი გადაგიხადოთ. ბევრი რამ კიდევ გვექნება გადასატანი. თუ გვინდა, რომ საქართველო იყოს სახელმწიფო და არა ტერიტორია, როგორადაც მას ჯერ კიდევ მოიხსენიებენ ხოლმე, თავგანწირვა იქნება საჭირო. მუდმივად ხალხში უნდა იყოთ. თქვენს გამოჩენაზე ბავშვებს უნდა ელიმებოდეთ და ყველა უნდა ამაყობდეს თქვენით,"** - განაცხადა გუშინ მერიის შენობის წინ საპატრულო პოლიციელთა წინაშე გამოსულმა პრეზიდენტმა და სამუშაოს დაწყების პირველივე დღეს მათ დიდი პასუხისმგებლობა დააკისრა: **"ყველას უნდა დავანახოთ, რომ ჩვენს ქალაქში წესრიგის დამყარება შეგვიძლია. ნებისმიერმა მოქალაქემ უნდა იგრძნოს, რომ სახელმწიფო მასზე და მის უსაფრთხოებაზე ზრუნავს და ამაში თქვენ უმნიშვნელოვანესი როლი გაკისრიათ."**

მიხეილ სააკაშვილის თქმით, ხელისუფლებისთვის წესრიგი პრიორიტეტულია და ამისათვის თავდაუდებელი ბრძოლაა საჭირო, რაშიც უმნიშვნელოვანესი როლი სწორედ საპატრულო პოლიციას ეკისრება.

**"პოლიციაში სამსახური პატრიოტული მოვალეობაა, ჩვენ კიდევ გვაქვს თავისუფალი ადგილები. მე მოვუწოდებ ყველა პატიოსან, თავდადებულ და შესაბამისი უნარჩვევების მქონე მოქალაქეს, იმსახუროს ქართულ საპატრულო პოლიციაში,"** - თამამად ამბობს საქართველოს პრეზიდენტი, მით უმეტეს, რომ მას ბევრი რამ შეუძლია დაჰპირდეს იმ ადამიანებს, ვინც ამ მოწოდებას გამოეხმაურება: **"მე ვნახე დილომში საპატრულო პოლიციის ახალი შენობა, ეს აღარ არის ის გომური, რომელში მუშაობაც აქამდე უხდებოდათ პოლიციელებს. პოლიციელთა ხელფასები უკვე 7-8-ჯერ გაიზარდა. გარდა ამისა, შენდება სპეციალური დასასვენებელი ადგილები, სასადილოები და საშხაპეები, რათა პატრულს, რომელიც 24 საათიან რეჟიმში მორიგეობს, 2-3 საათის განმავლობაში კომფორტულად შეეძლოს დასვენება"**.

ამგვარი კომფორტით სარგებლობას კი ჯერჯერობით 900-მდე საპატრულო პოლიციელი შეძლებს. მორიგეობით ისინი 24-საათიან პატრულირებას მოახდენენ. საამისოდ უკვე ჩამოვიდა გერმანიიდან 130 ავტომანქანა "ფოლკსვაგენ პასატი". მათგან 65 თბილისში იმოძრავებს, დანარჩენები კი საქართველოს გზებსა და სხვადასხვა ქალაქებში. უახლოეს მომავალში კი როგორც მანქანების, ასევე საპატრულო პოლიციელთა რიცხვის გაზრდაა გათვალისწინებული. საბოლოოდ, მთელი საქართველოს მასშტაბით პატრულირებას 1600 პოლიციელი მოახდენს. თავად საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც იარაღით, ელექტროშოკით, რეზინის ხელკეტებითა და რადიოგადამცემებით იქნებიან აღჭურვილნი, საკუთარი მუშაობის შედეგებს ოპტიმისტურად აფასებენ: **"სულ მალე საქართველოს მოსახლეობა იგრძნობს, თუ რამდენად განსხვავდება საპატრულო პოლიცია ძველი საგზაო პოლიციისაგან და რამდენად მშვიდად შეიძლება ცხოვრება ქვეყანაში"**.

სანამ ისინი საქმიანობას შეუდგებოდნენ, საპატრულო პოლიციის ახალ მანქანათაგან ერთ-ერთის საჭეს თავად საქართველოს პრეზიდენტი მიუჯდა და საპატრულო მანქანით, შინაგან საქმეთა მინისტრთან ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად სახელმწიფო კანცელარიისკენ კორტეჟის თანხლებით გაემგზავრა.

საზეიმო განწყობით მუშაობის დამწყებ საპატრულო პოლიცელებს კი უსიამოვნება პრეზიდენტის გაცილებიდან რამდენიმე საათის შემდეგ შეემთხვათ: საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს, პოლიციის უფროს ლეიტენანტს ვიაჩესლავ ზუტიკოვს და პოლიციის უმცროს ლეიტენანტს იოსებ მაისურაძეს გენერალ გ. გულუას მოედანზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ორმა არაფხიზელ მდგომარეობაში მყოფმა პიროვნებამ. ორივე მათგანი: დიმიტრი და კობა ფეიქრიშვილები დაკავებულები არიან და მათ საქმეს პროკურატურა იძიებს.

*24 საათი*

# კახეთში ექსპერიმენტულმა სპეცოპერაციამ გაამართლა

*კახეთის რეგიონში კრიმინალების წინაღმდეგ ბრძოლა გრძელდება. შაბათს გამთენიისას კახეთის სამხარეო პოლიციამ და ამავე უწყების სხვადასხვა ქვეგანყოფილებების თანამშრომლებმა ფართომასშტაბიანი უპრეცედენტო სპეცოპერაციები ჩაატარეს ახმეტაში და დედოფლისწყაროში. ათამდე სხვადასხვა დამნაშაულში ეჭვმიტანილთან და კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტებთან ერთად, დაკავებულია აგრეთვე დედოფლისწყაროში ცნობილი "ნარკობარონი" მანდილოსანი და "მხედრიონის" ყოფილი ხელმძღვანელი.*

ზვიად რუაძე
*კახეთიდან*

კახეთის ძალოვანი უწყებების მიერ სპეცოპერაციების დროს შემუშავებული ახალი ექსპერიმენტი, რომელიც ანტიკრიმინალური ღონისძიებების დროს ყველა რაიონის ჩართვას ისახავს მიზნად, როგორც ჩანს, ამართლებს. სწორედ ასეთი მეთოდით ჩატარებული სპეცოპერაციების შედეგად დღეისთვის რეგიონში ორმოცდაათამდე კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტი, ნარკორეალიზატორი და სხვადასხვა დანაშაულში მხილებული ადამიანები არიან დაკავებულნი: **"მე არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, რვავე რაიონის პოლიციის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიებები ყოველთვის წარმატებულია, მარტო ერთი განყოფილების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციები კი ხშირად უშედეგო, რადგან მაშინ იჩენს ხოლმე თავს ნაცნობობა და ახლობლობა"**, - აცხადებს შსს კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსი თეიმურაზ ანჯაფარიძე.

ამჯერად სამართალდამცველების ყურადღების ობიექტი დედოფლისწყარო გახდა. სპეცოპერაცია, რომელსაც თან ხმაურიც ახლდა, გამთენიისას დაიწყო და რამდენიმე საათს გაგრძელდა. განსაკუთრებული აჟიოტაჟი და ლამის ხელჩართული ბრძოლა კი წიკლაურების ოჯახში ატყდა. სპეცრაზმელებს წინააღმდეგობა წარსულში ქურდობისთვის ექვსჯერ ნასამართლევი გიორგი წიკლაურის, იგივე "გიგიჩას" მეუღლემ გაუწია. ბინის ჩხრეკისას სამართლადამცველებმა სხვადასხვა სახეობის იარაღი და 16,5 გრამი ნარკოტიკული ნივთიერება "მარიხუანა" ამოიღეს. ნარკოტიკული საშუალების ყველაზე დიდი პარტია კი დედოფლისწყაროში "ნარკობარონად" ცნობილ 35 წლის ია ნატროშვილს აღმოაჩნდა. როგორც წინასწარი გამოძიების მიერ მოკვლეული მასალებიდან შევიტყვეთ, ნატროშვილს საცხოვრებელ ბინაში სარეალიზაციოდ გამზადებული 22,5 გრამი "მარიხუანა" და 35 აბი ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი მედიკამენტი "დიაზეპამი" ჰქონდა შენახული. გარდა ამისა, პოლიციამ მისი ბინის ჩხრეკის დროს თვითნაკეთი პისტოლეტი, შაშხანები, გაუფორმებელი სანადირო თოფი და ვაზნები ამოიღო. საბრძოლო იარაღები: "აკაემის" სისტემის ავტომატი და ხელყუმბარა პოლიციამ ყაჩაღობისა და ქურდობისთვის მრავალჯერ ნასამართლევი, დედოფლისწყაროს "მხედრიონის" ყოფილი უფროსის, ზურაბ ოზაშვილის, მეტსახელად "ბულკას ბიჭის" ბინაში ნახა. 1972 წელს დაბადებულ არმენა ოგანესიანს კი, ჩხრეკის შედეგად, ტანკსაწინააღმდეგო ჭურვი აღმოაჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დედოფლისწყაროს თავის დროზე რამდენიმე სამხედრო ბაზა ჰქონდა, როგორც რეგიონის პოლიციის შეფი თეიმურაზ ანჯაფარიძე აცახდებს, შიდა ქართლთან შედარებით აქ უმნიშვნელო საბრძოლო იარაღი ინახება: **"დედოფლისწყაროში ჩვენ ძირითადად ვხვდებით საქონლის ქურდებს, თუმცა, ბევრია სხვადასხვა დანაშაულში ეჭვმიტანილი და მრავალჯერ ნასამართლევი ადამიანი, მაგრამ ჩვენ ძირითადად ბრძოლას ისეთ პიროვნებებს ვუცხადებთ, რომელთაც კარგი არ ესმით და მიჩვეულს ვერ ეჩვევიან"**, - ამბობს ანჯაფარიძე.

სპეცოპერაციის დროს დააკავეს, ასევე, სხვადასახვა დანაშაულში მხილებული კიდევ ხუთი პიროვნება, რომელთა ბინების ჩხრეკისიას "ფ–1" სისტემის ხელყუმბარები, გაუფორმებელი სანადირო თოფები და ნარკოტიკული ნივთიერებებია ამოღებული.

უნდა აღინიშნოს, რომ დედოფლისწყაროს მსგავსად სპეცოპერაცია გუშინ ახმეტის რაიონის სოფელ ოჟიოშიც ჩატარდა. ძალოვანებმა აქ ყაჩაღობისთვის ერთხელ ნასამართლევი გურამ თვალიაშვილი დააკავეს, მისი ბინის ჩხრეკისას ამოღებულია "აკაემის" სისტემის ავტომატი.

როგორც თეიმურაზ ანჯაფარიძე აცხადებს, დაკავებულთა უმრავლესობა კრიმინალური სამყაროს ავტორიტეტები არიან. მათი უწყება კი დამნაშავეებთან ბრძოლას კვლავ განაგრძობს.

# GG&MW-ის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე აღიძრა

რამდენიმე დღის წინ გენერალურმა პროკურატურამ GG&MW–ის (საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია) ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა და საქმე გამოსაძიებლად ფინანსურ პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს გადაუგზავნა.

როგორც ფინანასური პოლიციის უფროსის მოადგილემ მერაბ გელოვანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, GG&MW–ის საქმიანობის შესწავლის მიზნით ამ ეტაპზე დანიშნულია ექსპერტიზა, რის შემდეგაც გახდება ცნობილი, აქვს თუ არა ადგილი ფინანსურ მაქინაციებს ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ კომპანიაში. ამ ეტაპზე გელოვანი არ საუბრობს, რა დარღვევებზეა საქმე აღძრული და აქედან გამომდინარე, არც კონკრეტულ თანხას ასახელებს, რაც შესაძლოა, გამოძიების მხრიდან სადავო გახდეს. სამაგიეროდ, ამ საკითხზე შედარებით თამამად საუბრობს ბორჯომის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მურთაზ ღონლაძე. მისი განცხადებით, GG&MW–ის ხელმძღვანელობამ ბიუჯეტს 4 მილიონ 300 ათასი ლარის ოდენობის გადასახადები დაუმალა და საგამოძიებო ორგანო სწორედ ამ თანხას ეძებს. როგორც ღონლაძე ირწმუნება, პროკურატურის მოკვლევით, კომპანიის მიერ გადაუხდელი წყლით სარგებლობის გადასახადი საურავებთან ერთად 12 მილიონ ლარს შეადგენს. GG&MW–ის საქმესთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ფაქტი კომპანიის წარმომადგენლებისთვის აქამდე ცნობილი არ იყო. მათი განცხადებით, ბორჯომის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე მურთაზ ღონლაძე დაინტერესებულია GG&MW–ის რეპუტაციის შელახვით, რადგან იგი წარსულში თავად იყო რამდენჯერმე დაჯარიმებული ბორჯომის წყლის უკანონო წარმოებისთვის.

**"სწორედ ღონლაძემ მიმართა პროკურატურას კომპანიის წინააღმდეგ. ამ გზით სურს ბორჯომის წყლის ძირითადი ჩამომსხმელისთვის რეპუტაციის შელახვა და ზარალის მიყენება,"** - ამბობენ GG&MW–ს წარმომადგენლები, რომლებიც დარწმუნებულები არიან, რომ კომპანიაში არანაირი ფინანსური დარღვევა არ არსებობს.

*24 საათი*

btc

SCP
South Caucasus Pipeline

**განცხადება წინადადებების მიღებაზე (RFP)**

**გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის ფარგლებში კავკასიის რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის თემაზე**

კომპანია "ბი-პი"-ს მიერ ოპერირებული ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა (BTC Co.)
და სამხრეთ კავკასიური გაზსადენისთვის (SCP)

**ოპერატორი - კომპანია BP**
*გამოშვების თარიღი:* **2004 წლის 26 ივლისი, ორშაბათი**
*წინადადებების მიღების ბოლო დღე და საათი:* **10 სექტემბერი, პარასკევი, გაერთიანებული სამეფოს (UK) ადგილობრივი დროით 17:00 სთ.**

"ბი-პი", როგორც "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანიის" (BTC) და "სამხრეთ კავკასიური გაზსადენის კომპანიის" (SCP) ოპერატორი და მათი სახელით მოქმედი ორგანიზაცია, აცხადებს კონკურსს განაცხადების მიღებაზე შესაბამისი ორგანიზაციებიდან, რომელთაც დაევალებათ პროექტის შედგენა და განხორციელება გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამის (EIP) ფარგლებში BTC-ის და SCP-ის მიერ განსაზღვრულ ერთ-ერთ პრიორიტეტულ თემაზე.

გარემოსდაცვითი ინვესტირების პროგრამა მთელი რიგი სხვადასხვა თემებისგან შედგება, რომლებიც პროექტში მონაწილე ეროვნულ და საერთაშორისო მხარეებთან კონსულტაციების შედეგად განისაზღვრა.

წინადადებების მიღება ცხადდება ექსკლუზიურად იმ პროექტებზე, რომლებიც EIP-ის პრიორიტეტულ თემას, **კავკასიის რეგიონალურ ბიომრავალფეროვნების პროექტს,** ეძღვნება. აღნიშნული თემის ამოცანაა რეგიონალური ბიომრავალფეროვნების პროექტის შედგენა და განხორციელება აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ჩართვით, რათა გატარებულ იქნას ბიომრავალფეროვნების ხელშეწყობისა და კონსერვაციისკენ მიმართული ღონისძიებები. პროექტით გათვალისწინებულ უნდა იქნას რეგიონში ბიომრავალფეროვნების წინაშე მდგარი საფრთხის სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და ინსტიტუციონალური წყაროები და ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის შესაძლებლობები. პროექტი უნდა წარიმართოს ეროვნული ბიომრავალფეროვნების სტრატეგიის და სამოქმედო გეგმების ფარგლებში, ასევე იმ საერთაშორისო კონვენციების ჩარჩოებში, რომელთა ხელმომწერ მხარეებად აღნიშნული ქვეყნების მთავრობები გვევლინებიან.

განმცხადებლებს უნდა შეეძლოთ აზერბაიჯანში, საქართველოსა და თურქეთში მუშაობა საკუთარი სტრუქტურების ან სხვა შემსრულებელი პარტნიორების მეშვეობით, უნდა შეეძლოთ თანხების მიღება BTC-დან და SCP-დან, ანგარიშ-ფაქტურებისა და ქვითრების გაცემა და უნდა იყვნენ რეგისტრირებულნი როგორც გადამხდელი შესაბამის საგადასახადო ორგანოში. მათ მოეთხოვებათ ყველა შესაბამისი ადგილობრივი იურიდიული, სამოქალაქო და ფისკალური წესების დაცვა.

წინადადებები EIP-ს აღნიშნულ თემაზე მიიღება წინადადებების მიღების განცხადების (RFP) დოკუმენტის მეშვეობით. RFP-ი მიზნად ისახავს განმცხადებლებისთვის ინსტრუქციებისა და განმარტებების მიცემას.

წინადადებების მიღების განცხადების - RFP -ის დოკუმენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე:
www.caspiandevelopmentandexport.com

## ორი სიტყვით

**თბილისი.** შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, დაბა ურეკის პოლიციის განყოფილებაში 14 აგვისტოს ნებაყოფლობით გამოცხადდა ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში მცხოვრები, ნატანების შს ქვეგანყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო სამსახურის უფროსი ინსპექტორი, პოლიციის კაპიტანი, 1974 წელს დაბადებული დავით კალანდაძე. წინასწარი ინფორმაციით, მან 13 აგვისტოს დაბა ურეკში ნინო დავითაშვილის სახლში ტაბელური პისტოლეტიდან შემთხვევით გასროლით გულმკერდში დაჭრა 1982 წელს დაბადებული ანა ვართანიანი. იგი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ყაჩაღობისთვის ძებნილი, 27 წლის ნოდარ ძინძიბაძე, რომელიც 2003 წლის 12 ივლისს ყაჩაღურად თავს დაესხა ჭიათურაში მდებარე ლალი აბესაძის კუთვნილ საიუველირო მაღაზიას. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ახმეტაში მცხოვრები, 39 წლის ბესარიონ ალბუთაშვილი, რომელმაც თელავში, საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ახმეტის რაიონის სოფელ მატანში მცხოვრებ, 46 წლის ოთარ მარუქაშვილს და გასტაცა ავტომანქანა "ფოლკსვაგენ-პასატი". ავტომანქანა ამოღებულია. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის თელავის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**რუსთავი.** სამართალდამცავებმა დააკავეს 28 წლის ირაკლი ყურაშვილი, 29 წლის მამუკა გოგნაძე და ნასამართლევი, 29 წლის ირაკლი ნავროზაშვილი, რომლებმაც რუსთავში სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს 33 წლის დავით საღრიშვილს და წაართვეს 150 ლარი. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის რუსთავის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ განმეორებით მყოფი, ნასამართლევი, ქურდული ტრადიციების მიმდევარი, 47 წლის მერაბ ხარებავა. საქმეს იძიებს საგამოძიებო დეპარტამენტის ზუგდიდის განყოფილება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამართალდამცავებმა დააკავეს ნარკოტიკული ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ მყოფნი, თბილისელი, 32 წლის ხვიჩა ელაშვილი, სოფელ შეერთებაში მცხოვრები, 23 წლის ზურაბ მაჭარაშვილი და ლაგოდეხში მცხოვრები, 24 წლის მალხაზ მაჭარაშვილი, რომლებიც სასამართლომ დააჯარიმა 75-75 ლარით. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიციამ დააკავა ვანის რაიონის სოფელ დიხაშხოში მცხოვრები, 18 წლის ლევან მაღლაკელიძე, რომელმაც მეტროსადგურ „ახმეტელთან" დანით გულმკერდის არეში დაჭრა 32 წლის რომან ბერულავა. მიმდინარეობს მოკვლევა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდელმა შოთა წურწუმიამ სამართალდამცავებს აცნობა, რომ მისმა მეუღლემ თბილისელმა, 22 წლის ლორეტა ლაგვილავამ მარტის თვეში მისი შვილი, ჩვილი ბავშვი ზუგდიდში 500 აშშ დოლარად გაყიდა. ლაგვილავა დაკავებულია. მოკვლეული მასალები გადაეგზავნა სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო შს მთავარ სამმართველოს. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** საგამოძიებო დეპარტამენტის ზუგდიდის ქვეგანყოფილების თანამშრომლებმა, იაპონელი ტურისტის იუსუკე ტომიოკას დაყაჩაღების ფაქტზე, ზუგდიდელი, ხუთჯერ ნასამართლევი, 33 წლის დურმიშხან აბუმავა, 26 წლის ბადრი ალასანია და ოთხჯერ ნასამართლევი, 41 წლის ზურაბ შამუგია დააკავა. შსს-ს ცნობით, დამნაშავეებმა პარასკევს იაპონელ ტურისტს ფული, მობილური ტელეფონი და პირადი ნივთები გასტაცეს. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას საგამოძიებო დეპარტამენტის ზუგდიდის ქვეგანყოფილება აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** შს-სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებროს მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა თბილისში კვირას მკვლელობაში ეჭვმიტანილი, თბილისელი, 17 წლის ლევან ნაგერლიშვილი დააკავეს. შსს-ს ცნობით, დამნაშავემ შაბათს ქობულეთის, ზღვისპირა პარკში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, დანით ადგილზე მოკლა 19 წლის თენგიზ გოგრიჭიანი, ხოლო მისივე ორ თანატოლს, გიორგი ნინიძეს და გოჩა ინასარიძეს მუცლისა და ზურგის არეში მძიმე ჭრილობები მიაყენა. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიებას დედაქალაქის პროკურატურა აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

# ბაზარი - თეთრი ლაქა

## გენმოდიფიცირებული საშიშროება



საქართველოში არ არსებობს კანონი, რომელიც ბაზარზე გენმოდიფიცირებული ორგანიზმების მოძრაობას დაარეგულირებს.

ბესო გულაშვილის ფოტო

მაკა ჭაიანი

*თუ ხორცის, ყველის, თევზისა თუ სხვა საკვები პროდუქტების ვარგისიანობაზე ჩვენს ქვეყანაში ლაპარაკი დიდი ხანია მიდის, გენმოდიფიცირებულ საკვებს იშვიათად თუ ვინმე ეხება. ძირითადად, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები, რომლებიც მისი სახით გარემოსათვის საშიშროებას ხედავენ. ოფიციალური განმარტებით, გენმოდიფიცირებული არის ნებისმიერი ორგანიზმი, რომელიც თანამედროვე ბაქტერიოლოგიის გამოყენებით მიღებულ ახალ გენს ატარებს და აქვს მისი გადაცემისა და რეპლიკაციის უნარი. ყოველმხრივ დადასტურებული დასკვნა იმის შესახებ, საშიშია თუ არა ამგვარი პროდუქცია, არ არსებობს. ამის თაობაზე ნობელიანტი მეცნიერებიც კი განსხვავებულ აზრს ავრცელებენ. მათი ნაწილი მიიჩნევს, რომ ეს XXI საუკუნის დიდი მიღწევა და ეკოლოგიური თვალსაზრისით, მრავალმხრივ გამართლებული ექსპერიმენტია, ნაწილი კი ამ სახის პროდუქციის გამოყენებას კატეგორიულად ეწინააღმდეგება. საინტერესოა, რომ ამ კამათისას ფაქტებსა და ვარაუდებს ორივე მხარე ეყრდნობა.*

პირველი გენმოდიფიცირებული საკვები ორგანიზმი, პომიდორი "ფლავრ-სავრი", აშშ-ს ბაზარზე 1994 წელს გამოჩნდა. ახლა ასეთი სასოფლო-სამეურნეო კულტურები - სოია, სიმიდნი, რაფსი და ბამბა - მსოფლიოში, ძირითადად, აშშ-ში, არგენტინაში, კანადაში, ავსტრალიასა და ჩინეთში ყოველწლიურად მილიონობით ჰექტარზე ითესება. საქართველომ გენმოდიფიცირებული ორგანიზმი პირველად 1997 წელს, ამერიკული ორგანიზაციის მიერ შემოტანილი კარტოფილის სახით გაიცნო. მის შემოტანას ისეთი ხმაური მოჰყვა, 1997 წლის 22 აპრილს აგრარულ საკითხთა და გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტებმა გაფართოებულ სხდომაზე მიიღეს გადაწყვეტილება, შესაბამისი კანონის დამტკიცებამდე, საქართველოში გენური ინჟინერიის პროდუქციის შემოტანის შეჩერების შესახებ. შესაბამისი კანონი ახლა გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში მზადდება და უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში, სავარაუდოდ, წლის ბოლოსთვის შევა.

იქამდე, იმასაც ვერავინ გვეტყვის, გენმოდიფიცირებულია თუ არა პროდუქტი, რომელსაც ბაზრებსა თუ მაღაზიებში ვყიდულობთ. სოფლის მეურნეობისა სამინისტროს ოფიციალური განმარტების მიხედვით, სახელმწიფო ხაზით ამ სახის პროდუქცია საქართველოში არ შემოდის, მაგრამ უცნობია, შემოდის თუ არა იგი კერძო იმპორტიორთა საშუალებით. სამინისტროს სოფლის მეურნეობის განვითარების დეპარტამენტის მელიორაციის სამმართველოს უფროსი მარიკა გელაშვილი ჩვენთან საუბარში აღნიშნავდა, რომ ამის გაგება შეუძლებელი იქნება იქამდე, ვიდრე კანონი არ ამოქმედდება. უარს გენმოდიფიცირებულ პროდუქციაზე სახელმწიფო მაშინაც ვერ იტყვის – მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია ამგვარი უარების დასაბუთებას ითხოვს, ამ სახის პროდუქციის მავნებლობა კი, ოფიციალურ წყაროებს არ დაუდასტურებიათ. სამაგიეროდ, კანონი პროდუქციის მარკირებას მოითხოვს, რაც მოსახლეობას მისცემს საშუალებას, თავად გადაწყვიტოს, უნდა თუ არა გენმოდიფიცირებული საკვების მიღება.

საფიქრელი, ამ თვალსაზრისით, საზოგადოებას ნამდვილად აქვს. გარემოს დამცველი ორგანიზაციები გენმოდიფიცირებულ პროდუქციას არაერთი საშიშროების წყაროდ მიიჩნევენ. საქართველოს მწვანეთა მოძრაობის წარმომადგენელი გიორგი მაღრაძე აცხადებს, რომ, გარდა ბუნებაზე ზემოქმედებისა – ქიმიკატებისადმი მდგრადი ველური სარეველებისა და მცენარეული მუტანტების გაჩენის, მწერების განადგურების გზით ეკოსისტემაში კვებითი ჯაჭვის დარღვევის, გაუდაბნოების საშიშროების და, "შავი პროგნოზებით", ცოცხალი ორგანიზმების ეტაპობრივი მოსპობის საფრთხისა, გენმოდიფიცირებული პროდუქცია ადამიანზე უშუალო გავლენასაც ახდენს. დასტურად მას მოჰყავს ინგლისში მოღვაწე მეცნიერის არბატ კუშტაის კვლევა, რომლის ფარგლებში გენმოდიფიცირებული კარტოფილით ნაკვებ ვირთაგვებში კუჭ-ნაწლავის დაზიანებები დაფიქსირდა. გიორგი მაღრაძის ცნობით, არ არის, გამორიცხული, ამ სახის ორგანიზმებმა ანტიბიოტიკებისადმი ადამიანის ორგანიზმის მდგრადობაც განაპირობოს.

ანტიბიოტიკებისადმი მდგრადობა (რაც იმას ნიშნავს, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ანტიბიოტიკმა, შეიძლება, აღარ იმოქმედოს), როგორც ადამიანის ორგანიზმზე ზემოქმედების ფაქტი, გენმოდიფიცირებული პროდუქციისთვის ჯერ არ დაუმტკიცებიათ, თუმცა, ცნობილია, რომ ამ სახის პროდუქცია იწვევს ალერგიებს და, იმის მიხედვით, თუ რა გენია მასში ჩანერგილი, შეიძლება, რომელიმე დაავადების პროვოცირება გამოიწვიოს. აქედან გამომდინარე, კანონის მიღებას ჯანდაცვის სამინისტროშიც მოუთმენლად ელიან. ვითარებას ამძიმებს ისიც, რომ საქართველოს მოსახლეობა ცუდად არის ინფორმირებული გენმოდიფიცირებულ პროდუქტებთან დაკავშირებით. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ბიომრავალფეროვნების დაცვის სამმართველოს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ სოფლის მცხოვრებლებმა არ იციან, გენმოდიფიცირებულია თუ არა მათ მიერ გამოყენებული სათესლე და სანერგე მასალა, ქალაქელებმა კი – პროდუქტი, რომელსაც საკვებად იღებენ.

გენური ინჟინერიის უკან უზარმაზარი ინდუსტრია დგას. ეს ტექნოლოგიები დიდი კორპორაციების საკუთრებაა. მათი პოლიტიკა კი ეკონომიკური დამოკიდებულების კარგად დამუშავებულ მოდელს წარმოადგენს. თუ გლეხი, მაგალითად, მონსანტოს გენმოდიფიცირებულ კარტოფილს შეიძენს, იძულებული ხდება, იმავე მონსანტოს ქიმიკატიც შეიძინოს, რადგან ეს კარტოფილი რეზისტენტული მხოლოდ მის მიმართაა, სხვა ქიმიკატი კი მას ისევე დააზიანებს, როგორც სარეველებს. ასეთი ორგანიზმების წარმოებაზე ბევრი დაიხარჯა. დღეს მსოფლიოს 85 მილიონ ჰექტარზე სწორედ გენმოდიფიცირებული პროდუქციაა დათესილი, ამერიკის შეერთებული შტატები, არგენტინა, კანადა, ავსტრალია და ჩინეთი კი მისი მწარმოებლები და მსხვილი იმპორტიორები არიან. დღეს საქართველოს მოსახლეობამ არ იცის, რა აწყვია ჩვენს დახლებსა და მაცივრებში. გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ საქართველოს კანონის მიღებამდე, მას წართმეული აქვს უფლება, საკვები საკუთარი შეხედულებისამებრ შეარჩიოს.

## ვეტერინარიის დეპარტამენტი სპეციალურ კანონს ამზადებს

"დღეს ღმერთის ანაბარა ვართ," - აცხადებს მისი ხელმძღვანელი

*ვეტდეპარტამენტი ამზადებს კანონს, რომლის მიხედვითაც, სავაჭრო ობიექტებს, რომელთაც ხორცისა და რძის პროდუქტების ტუბერკულოზსა და ბრუცელოზზე შემოწმება არ შეეძლებათ, ამ პროდუქტებით ვაჭრობას აუკრძალავენ. ასეთი აპარატურა კი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, საკმაოდ ძვირი ღირს.*

ოთარ ქირია

ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობთ პარლამენტთან ერთად, რომ კანონში ცვლილებები შევიტანოთ, - ამბობს საქართველოს ვეტერინარიის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ლევან რამიშვილი, - აუცილებელია, დაწესდეს ბარიერები იმისათვის, რომ მაღაზიებში, სავაჭრო ობიექტებში ხორცი და რძის ნაწარმი ბრუცელოზზე და ტუბერკულოზზე შეუმოწმებელი არ მოხვდეს. ამისთვის დაგეგმილი გვაქვს ლაბორატორიების აკრედიტაციის სისტემის შემუშავება. ობიექტებს, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ აკრედიტებული ლაბორატორიის გამართულ მუშაობას, მხოლოდ ქარხნული წესით დამზადებული პროდუქციით ვაჭრობის საშუალება მიეცემათ.

**ამას, ალბათ, სერიოზული წინააღმდეგობები და ხმაური მოჰყვება.**

გასაგებია, მაგრამ შეიძლება ისეთი საკვების მიღება, რომელიც სრულყოფილად შემოწმებული არ არის? ეს არის სამართლიანი ნაბიჯი და მიგვაჩნია, რომ ამაზე აუცილებლად უნდა იფიქროს საზოგადოებამაც და პარლამენტმაც. კანონის მიღების შემდეგ, ყველა ბაზარი ვალდებული იქნება, იქონიოს საკუთარი ლაბორატორია და გაყიდოს მხოლოდ სრულიად შემოწმებული პროდუქცია. ბაზარი კერძო ორგანიზაციაა და მის ინტერესშიც უნდა იყოს, რომ სუფთა და ხარისხიანი პროდუქცია გაყიდოს.

**როგორც ვიცი, ეს ლაბორატორია ძვირი ღირს.**

ბაზრებს იმხელა შემოსავალი აქვთ, რომ მისი შესყიდვა არ გაუჭირდებათ. რაც შეეხება მაღაზიებს, ისინი პროდუქტს მოიტანენ მხოლოდ შესაბამისი ლაბორატორიის მქონე ბაზრებიდან, საწარმოებიდან, ქარხნებიდან და ა.შ. ამ სფეროს ძალიან კარგად ვიცნობ და გარწმუნებთ, რომ დღეს ღმერთის ანაბარა ვართ. იმ პროდუქტის მიღება, რასაც დღეს ვიღებთ, გარდა ქარხნული რძისა და ხორცპროდუქტებისა, არ შეიძლება. ოდესღაც ეს პრობლემა უნდა მოგვარდეს. საერთოდაც, რეფორმა, რომელიც ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ უნდა დაწყებულიყო, ახლა მაინც უნდა დაიწყოს. ის დამოკიდებულება, რაც აქამდე იყო, უნდა შეიცვალოს. წელს თანამდებობიდან ბევრი გავათავისუფლეთ. თუმცა, ეს დროებითი ეფექტის მომცემია. დაგეგმილია სისტემური ცვლილებები, რომელიც მომავალი წლიდან განხორციელდება. საკანონმდებლო ცვლილებებზე პარლამენტი მუშაობს. ამ გარდამავალ პერიოდში კი ვცდილობთ, ეპიზოოტიის საწინააღმდეგო ყველა ღონისძიება მაქსიმალურად გატარდეს.

**- საშიშროებას ცოფი, ჯილეხი და თურქულიც წარმოადგენს.**

- თუ სტატისტიკურ მონაცემებს მოვიშველიებთ, წინა წლებთან შედარებით ცოფის შემთხვევათა რაოდენობა არ გაზრდილა, მაგრამ თვით ის ფაქტი, რომ წელს ცოფისგან შვიდი ადამიანი დაავადდა და გარდაიცვალა, ძალზე შემაშფოთებელია. მეტად დამაფიქრებელი და არასასიამოვნოა, რომ ცოფზე მოსახლეობის იძულებითი აცრების მხრივ მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე ვართ. წელს ამ მძიმე სურათს ახალი ტენდენციაც შეემატა - მსხვილფეხა პირუტყვში დაავადების არაერთი შემთხვევა გამოვლინდა, რაც ძალზე დამაფიქრებელია. ამ კონტექსტში ყველაზე მნიშვნელოვნად ორალური ვაქცინაციის ჩატარება მიმაჩნია.

**მასზე არაერთხელ გვსმენია, როგორც ფულის კეთების შესანიშნავ მექანიზმზე.**

- ეს მწარე გამოცდილება მართლაც ყველას ახსოვს. ცოფის ორალური ვაქცინაცია გარკვეული მაქინაციებისთვის გამოიყენეს, მაგრამ დღეს ამ მიზეზით ვაქცინაციაზე უარის თქმა მიზანშეწონილი არ იქნება. ასეთი უარის შედეგი უკვე გვაქვს - მაღალმთიან სოფლებში, სადაც ცხოველებთან საქონლის კონტაქტის მაღალი ალბათობაა, ცოფის არაერთი შემთხვევა გამოვლინდა. თუ ამ გზას არ გამოვიყენებთ, რა პასუხი გავცეთ ფერმერებს, ვისაც ერთი ან ორი მსხვილფეხა საქონელი ჰყავს და, გარეული ცხოველის დაკბენის გამო, ამ ერთადერთი შემოსავლის წყაროსაც კარგავს? გარდა ამისა, როცა ორალურ ვაქცინაციას არ იყენებ, იზრდება ვაქცინაცია მსხვილფეხა რქოსან პირუტყვში. ეს კი დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული, თანაც ისინი გაცილებით მეტია, ვიდრე ორალური ვაქცინაციისთვის საჭირო თანხა. მაღალი რისკის ზონებში - მცხეთა-მთიანეთში, იმერეთში, ქვემო ქართლში, აჭარაში, სადაც პირუტყვში ცოფის შემთხვევები გამოვლინდა. იძულებული გავხდით, ვაქცინაცია ჩაგვეტარებინა. ეს არ გახდებოდა საჭირო, თუ წინა წელს ორალური ვაქცინაცია ყველა წესის დაცვით ჩატარდებოდა. ფერმერებს დაავადებული პირუტყვის განადგურება მოუხდათ. ვინ აუნაზღაურებს მათ ზარალს? ამასთან, ორალური ვაქცინაცია დიდ ხარჯებთან არ არის დაკავშირებული. საწყის ეტაპზე 50 ათასი დოზა ვაქცინა საკმარისი იქნება მაღალი რისკის ზონებში გადასანაწილებლად. ეს, დაახლოებით, 60 ათას ლარს ნიშნავს. გვინდა ვაქცინების გადანაწილებაში აქტიურად ჩავრთოთ არასამთავრობოები, მასმედია. ვაქცინების დაწყობა-გადანაწილება სხვადასხვა უწყების კონტროლქვეშ მოხდება. დიდი სურვილი მაქვს, ამ საქმეში გარემოს დაცვის სამინისტრო ჩაერთოს.

**რაც შეეხება ჯილეხს და თურქულს?**

- აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი: ერთი ის, რომ საქართველოში ჯილეხის ბევრი - 1500-მდე - კერაა. ეს ძალზე დიდ რისკს ქმნის პირუტყვის დაავადების თვალსაზრისით, პირუტყვის სულადობის 100 პროცენტიანი აცრა კი ვერ ხერხდება. მიზეზებს შორისაა ვეტექიმების ძალზე დაბალი - 30-ლარიანი ხელფასი, შემცირებული კადრები, რომელთაც აცრების ჩასატარებლად 30-50 კილომეტრზე უხდებათ გადაადგილება. ამის გამო, ისინი ხშირად მოსახლეობას თხოვენ თანხას აცრაში, რის გამოც ხალხი აცრაზე უარს ამბობს. ძალზე ხშირად კი უარის მიზეზი ის გახლავთ, რომ მოსახლეობას გაცნობიერებული არა აქვს საფრთხე, რაც აუცრელობის შემთხვევაში თავად მათ და გარშემომყოფებს ემუქრებათ. უარს ამბობენ იმის გამო, რომ ჯილეხზე ვაქცინაციის შემდეგ სამი-ოთხი დღის განმავლობაში მეწველი საქონლის წველადობა შესაძლოა, შემცირდეს. რაც შეეხება თურქულს, მისი ამთვისებელი პირუტყვი ოპერატიულად აიცრა საგაზაფხულო გადარეკვამდე. თურქულის მასობრივი გავრცელება წელს არ გვქონია. საერთოდ, ეს დაავადება მოსახლეობისთვის დიდ საშიშროებას არ წარმოადგენს, მაგრამ დიდი ეკონომიური ზარალის მოტანა შეუძლია. საქართველო სატრანსპორტო დერეფანი, სატრანზიტო ქვეყანაა. ამიტომ მაქსიმალურად ვცდილობთ, საქართველო თავისუფალი იყოს ამ დაავადებისგან. მიღწეულია შეთანხმებაა FAO-სთან (გაერო-ს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია), ეპიზოოტიის საერთაშორისო ბიუროსთან და ევროგაერთიანებასთან საქართველოში, სომხეთსა და აზერბაიჯანში თურქულის მიმართ ბუფერული ზონის შექმნაზე. პროექტის სათავო ოფისი საქართველოში იქნება. ეს ნიშნავს დახმარებას ვეტერინარიული კონტროლის უზრუნველსაყოფად და ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფას სასაზღვრო გასასვლელებში.

## ექსპერტები კვებითი მოწამვლების შესახებ

მაკა ჭაიანი

*სამწუხაროდ, ისინი მხოლოდ ზოგადი ინფორმაციით შემოიფარგლებიან. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორის პაატა იმნაძის განცხადებით, ამ კუთხით სტატისტიკა, ძირითადად, კვებითი აფეთქებების შემთხვევებზე დაყრდნობით დგება, ცალკეული შემთხვევები კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ყურადღების მიღმა რჩება. მისივე ცნობით, ცოფით დასნებოვნებული საქონლის ხორცის ჭამა (საუბარი არ არის დაავადების იმ სახეობაზე, რომელიც საზღვარგარეთის ქვეყნებში გასულ წლებში დაფიქსირდა) მოსახლეობისთვის სასურველი, რაღა თქმა უნდა, არ არის, თუმცა მისგან ადამიანის დაავადების მექანიზმი, ფაქტობრივად, არ არსებობს. იგივეს ამბობს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დირექტორი ცხოველის ტუბერკულოზზეც. მისი გადადება საქონლიდან ადამიანზე, პაატა იმნაძის განცხადებით, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ადამიანს იმუნიტეტი კატასტროფულად აქვს დაქვეითებული. ცალკე თემაა კვების პროდუქტების ქიმიური ნივთიერებებით დაბინძურება. შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ისტიტუტის ტოქსიკოლოგიური განყოფილების გამგის, საქართველოს პროფილაქტიკოს-ტოქსიკოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარის ინგა ღვინერიას განცხადებით, ზუსტი სტატისტიკა არც ამ შემთხვევაში არსებობს.*



კითხვა: რამდენად ტოქსიკურია საკვები, რომელსაც ვყიდულობთ, საქართველოში პასუხგაუცემელი რჩება.

ბესო გულაშვილის ფოტო

- დიახ, ჩვენ არა გვაქვს კვებითი ინტოქსიკაციების ზუსტი სტატისტიკა, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამ მხრივ პრობლემა არა გვაქვს, - **ამბობს ინგა ღვინერია,** - ჩვენთან მოწამვლებით ნაკლებად მოდიანო, - ამბობენ ინფექციონისტები. მე ვიტყოდი, რომ ასეთი მოწამვლები ინფექციურში არ მიდის. ისინი ან ოჯახში მთავრდება, ან საავადმყოფოების ტოქსიკოლოგიურ განყოფილებებში. ამ შემთხვევებში არც ბიოლოგიური მასის გამოკვლევა ხდება. შესაბამისად, სტატისტიკა არ არსებობს. ჩვენ გვიფარავს ღმერთი, ის ექიმები, რომლებიც არაჩვეულებრივი ინტუიცია აქვთ, რომ მკურნალობა სიკვდილიანობას, ხშირ შემთხვევაში, თავიდან გვაცილებს.

**- ვარაუდობთ, რომ ასეთი შემთხვევა ბევრია?**

- ვერაფერს გამოვრიცხავ, რადგან საკვებ პროდუქტებში ქიმიური ნივთიერებების შემცველობის კონტროლი საქართველოში, პრაქტიკულად, არ არსებობს. 2001 წელს ძალაში შევიდა სანიტარიული წესები და ნორმები - "ჰიგიენური მთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქციის ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი", სადაც წერია, რა რაოდენობით ტყვია, კადმიუმი, თუთია, სპილენძი შეიძლება იყოს საკვებში, რომ იგი უსაფრთხო იყოს. ამ ჩამონათვალში შედის პესტიციდებიც. დოზები მინიმალურია და ისინი ექსპერტული მუშაობის შედეგად არის მიღებული. დოკუმენტი არსებობს, მაგრამ მისი მოთხოვნები არ სრულდება.

**- რატომ?**

- კონტროლს სჭირდება აკრედიტებული ლაბორატორიები, შესაფერი პერსონალით. ქიმია, საერთოდ, რთული აღმოსაჩენია, მეთოდი უამრავია, ზოგი – რთული, ზოგი – ადვილი. დღეს ჩვენ არც ერთს არ ვიცენებთ. რა პროდუქციაც უნდა შემოდიოდეს ან იწარმოებოდეს ჩვენთან, მასში ქიმიური ნივთიერებების შემცველობის განსაზღვრა არ ხდება. არადა, ბაზრის დახლზე დაიდება პროდუქტი, თუ სუპერმარკეტში, ყველას უნდა ჰქონდეს გავლილი ლაბორატორიული შემოწმება და უნდა ჰქონდეს სერთიფიკატი. სეთიფიკატი უნდა მოყვებოდეს უცხოეთიდან შემოტანილ პროდუქციასაც, ჩვენ კი - ქვეყანა, ამორჩევითად უნდა ვამოწმებდეთ მას ხარისხსა და უსაფრთხოებაზე. როცა თანხმობა ქვეყანაში პესტიციდის შემოსვლასა და რეგისტრირებაზე გაიცემა, იგი სრულყოფილად უნდა იყოს შესწავლილი. მეტიც, ფირმა ვალდებულია, პროდუქტში მისი აღმოჩენის მეთოდი მიანიშნოს. ყველაფერ ამას საქართველოში ყურადღება, სამწუხაროდ, არ ექცევა.

**- თქვენ კვებითი ინტოქსიკაციები ახსენეთ. რა ხდება მაშინ, როცა პროდუქტში ზედმეტი დოზითაა ქიმიური ნივთიერება, მაგრამ სწრაფ მოწამვლას არ იწვევს? რა საშიშროება იმალება ქიმიური ნივთიერებების ორგანიზმში აკუმულირების უკან?**

- ეს უკვე ქრონიკული ზემოქმედებაა. უნდა გითხრათ, რომ ჩვენ, ყველანი, განურჩევლად ეროვნებისა და ქონებრივი ცენზისა, ამ ქრონიკული ზემოქმედების ქვეშ ვართ. მისი შედეგია ის, რომ მოიმატა სხვადასხვა ხასიათის დაავადებებმა. მათ ინდიკატორულ დაავადებებს ეძახიან, რადგან გარემო ფაქტორებით არის გამოწვეული. ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ზემოქმედება რეპროდუქციულ ფუნქციაზე, რომელიც თაობებს ალერგიებით, ავთვისებიანი სიმსივნეებითა და დაავადების სხვა სახეობებით გადაეცემა. ძირითადი მდგრადი დამაბინძურებლები, რომელიც ორგანიზმში აკუმულირდება, არის ქლორორგანული ნაერთები, ასევე პესტიციდები - ჰორციკლჰექსანი, დდტ და მისი მეტაბოლიტები. მათზე პროდუქტები აუცილებლად უნდა იყოს შემოწმებული. მეტსაც გეტყვით, უნდა შემოწმდეს შესაფუთი მასალები პლასტიკური, ხელოვნური სინთეზით მიღებული მასალები, რადგან ისინი შეიცავს ისეთ ქლორორგანულ მასალებს, რომელსაც მიგრაციის უნარი აქვს და შეუძლია, პროდუქტში გადავიდეს.

## ფესტივალი შავ ზღვაზე გრძელდება



ფესტივალი "პონტო" 19 აგვისტომდე გასტანს.

B2

## სველ-სველი რეკორდები



*ფელპსი მედლების გროვებას იწყებს.*

B5

## აგვისტოს მოსაწყენი, ცხელი დღეები



B7



ომბუდსმენს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შაბათობით. ტელ.: 20 24 24 ან ნებისმიერ დროს ელ-ფოსტით: nladaria@24hours.ge




მძიმე დრო დაგვიდგა. თუმცა ერთ რამეში კი აუცილებლად უნდა დავეთანხმოთ მათ, ვისზედაც ჩვენი ნდობა დავამყარეთ: ჩვენ უკვე ის აღარა ვართ, რაც ვიყავით — გაცილებით უკეთესები ვართ. და მაინც, არც მოცემული ისტორიული მომენტის სიმძიმემ და არც შინაგანი გაუმჯობესების აშკარა ნიშნებმა არ უნდა დაგვავიწყოს გამარჯვების მთავარი პირობა: საკუთარ ძალთა და გარეგანი ვითარების ადეკვატური შეფასების უნარი.

დღეს ტრადიციას მცირედ უნდა გადავუხვიო და ჩემი ყოველკვირეული მიმოხილვა "24 საათით" კი არა, სულ სხვა გამოცემით დავიწყო. ვგულისხმობ რუსულ ჟურნალს "დრუჟბა ნაროდოვ", რომლის წლევანდელ მესამე ნომერში დაიბეჭდა ცნობილი პოლიტოლოგის, **ემილ პაინის** სტატია "საჭიროა ახალი მიდგომები". სტატიაში დასმულია შემდეგი შეკითხვა: რატომ არ მოუდის თვალში საქართველო რუსული პოლიტიკური ისტებლიშმენტის უმრავლესობას? შეკითხვა შეიძლება განვაზოგადოთ და უფრო ხალხური ფორმით დავსვათ: რატომ არ ვევასებით რუსებს?

ისტორიული თვალსაწიერიდან ამგვარი დამოკიდებულება საკვირველია თუნდაც იმავე მიზეზით, რომელმაც "მგზავრის წერილების" ერთი პერსონაჟის გაკვირვება გამოიწვია: ქართველი გენერლების რიცხვი რუსეთის იმპერიის სამსახურში მართლაც საკვირველი იყო. ვერც ერთი სხვა ერი (რუსთა სლავი ნათესავების ჩათვლით) უმაღლეს ელიტაში ასეთი წილით ვერ დაიკვეხნის. საქმე, რა თქმა უნდა, თანამედროვეობაშია. ემილ პაინი რიგ-რიგობით განიხილავს სხვადასხვა არგუმენტებს და ერთმანეთის მიყოლებითვე უარყოფს:

1. **საქართველოს "პროდასავლურობა"**: დასავლეთის სამხედრო ბაზები განლაგებულია ტაჯიკეთში, უზბეკეთსა და ყირგიზეთში, ინვესტიციათა ლომის წილი კი აზერბაიჯანსა და ყაზახეთს ერგო. რუსეთს ეს ყველაფერი მაინცდამაინც არ ადარდებს — სხვები მეტს "აშავებენ", ქოქოლას კი ისევ ჩვენ გვაყრიან თავზე.

2. **საქართველო — ტერორიზმის მხარდამჭერი**: საქმე ეხება ყბადაღებულ "პანკისის ფაქტორს". მაგრამ სტავროპოლის მხარეში, ინგუშეთსა და დაღესტანში ჩეჩენ ტერორისტთა რიცხვი უეჭველად და განუზომლად უფრო დიდია, ვიდრე პანკისის ხეობაში იყო ოდესმე. გარდა ამისა, 1996 წლამდე საზღვარს რუსეთის სასაზღვრო ჯარები აკონტროლებდნენ, საქართველოსადმი დამოკიდებულება კი, ამ მხრივ, მაინც არ ყოფილა უფრო რბილი.

ემილ პაინის ვერსია შემდეგია: დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში მოსული ყველა მთავრობა თავის პოლიტიკას დეკლარირებულად ამყარებს დემოკრატიულ ღირებულებებზე. სწორედ ეს იწვევს რუსეთის უკმაყოფილებას, რადგან 1994 წლიდან (თუ უფრო ადრე არა) რუსეთში "დემოკრატია" და "ქაოსი" სინონიმებადაა ქცეული. რა თქმა უნდა, ყველა ქართული მთავრობა ერთნაირად დემოკრატიული არ ყოფილა და არც ახლა შეგვიძლია დავიკვეხნოთ, რომ დემოკრატიული ღირებულებები ყოველი ჩვენგანის სისხლში შევიდა და უმათოდ არსებობას გმირული სიკვდილი გვირჩევნია. აქ საქმე დეკლარირებას ეხება და რუსეთი უკვე თვით დეკლარირებაში ხედავს იმის მთავარ პირობას, რომ საქართველო მალე დაუძვრება მის პოლიტიკურ კონტროლს.

ამასთან ერთად ემილ პაინი ერთ მეტად მნიშვნელოვან აზრს გამოთქვამს, რომლის გამოქვეყნება განსაკუთრებით საჭიროდ მეჩვენება დღევანდელ პირობებში: **რუსეთმა უკვე კარგა ხანია ამოწურა სეპარატიზმის ყველა რესურსი საქართველოში**. ჩვენი მხრიდან ასე განვმარტავთ ამ ფრაზას: როგორც არ უნდა გამწვავდეს ვითარება, პრინციპულად ახალი აღარაფერი მოხდება და რუსულ ტრიუმფალიზმს (**шапками закидаем!**) კაპიტულანტობის მნიშვნელოვანი დოზა შეერია და ეს იმაში გამოიხატება, რომ ერთადერთ სასურველ გამარჯვებად უკვე მხოლოდ არსებული მდგომარეობის რაც შეიძლება ხანგრძლივი შენარჩუნება მიიჩნევა. ამ თვალსაზრისს ქვემოთ კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით, ახლა კი პაინის მიერ წამოყენებული ვერსიის ზოგიერთ სერიოზულ შედეგს გადავხედოთ...

ლოგიკა მარტივია: თუ მთავარი მტერი დემოკრატიული ღირებულებების აღიარებაა, მთავარი მეთოდიკა საზოგადოებაში ამ ღირებულებათა დისკრედიტაცია უნდა იყოს. ამის მცდელობა კი საქართველოში არა და არ წყდება. ჩემს პუბლიკაციებში მრავალჯერ შევხებივარ, მაგალითად, საეკლესიო პრესაში დემოკრატიული ღირებულებების განქიქების პრობლემას. გაცილებით უფრო საგრძნობი შედეგი მოჰყვება ხოლმე მრევლთან უშუალო მუშაობას, მაგრამ ახლა იგივე სიძნელის სულ სხვა მხარეს მინდა შევეხო...

აქაც მარტივი ლოგიკაა: **პუტინის ინტერესებს უფრო ადვილად ის დაემორჩილება, ვინც თვითონ ჰგავს პუტინს**.

ახლა კი მოვიდა დრო ჩემს ძირითად მოვალეობას დავუბრუნდე და "24 საათის" 9 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული ერთი სტატია განვიხილო. სტატიის სათაურია *ვირტუალური ომი*, მისი ავტორი კი — **ნიკა იმნაიშვილი**. სათაურიდან გამომდინარე, ტექსტის დასაწყისში სტატიის მთავარ არგუმენტად რუსეთსა და საქართველოს შორის ბოლო დროს გამართული მედია-პაექრობაა გამოცხადებული: "**თანამედროვე მსოფლიოში დიდი პოლიტიკა საინფორმაციო ტექნოლოგიების, პროპაგანდისტული დივერსიების, ვირტუალურ სივრცეში უმოწყალო მაღალპროფესიული შეჯახებების გარეშე წარმოუდგენელიცაა**". ეს ალბათ ასე უნდა გავიგოთ: მედია, უეჭველია, ადამიანის ინფორმირებას ემსახურება, მაგრამ არსებობს საშიშროება, იგი კერძო პოლიტიკური ინტერესების იარაღად, მასებზე ფსიქოლოგიური ზემოქმედების ინსტრუმენტად იქცეს. ეს, რა თქმა უნდა, ცუდია და ყოველ დემოკრატიულ სახელმწიფოში უნდა იქნეს შემუშავებული ბუნებრივი თავდაცვითი მექანიზმები. ახლა ამ მექანიზმების რაობაზე შეჩერების დრო არა გვაქვს, მაგრამ თუ სტატიის ტექსტს ყურადღებით წავიკითხავთ, აღმოჩნდება, რომ ავტორი თავიდანვე უპირობოდ ეთანხმება იმას, რომ მედია მხოლოდ პროპაგანდისტული ბრძოლის იარაღია (გაფრთხილება პირველი: **ასე მედიას სწორედ პუტინის ხელისუფლება უყურებს და ამიტომაც შეკვეთილი მკვლელობები პანტა-პუნტით სწორედ რუსეთში ცელავს ჟურნალისტებს**). ამითაა განპირობებული ნიკა იმნაიშვილის აზრი, თითქოს რუსეთი გენერალ **ნაბზდოროვს** მედიაპერსონაჟად განიხილავს, ხოლო მისი გადაყენების განზრახვას — მისი მედია-წარუმატებლობით ხსნის. მეორე მხრივ, თურმე "**ქართული მხრიდან არანაკლებ მძიმე შეცდომა იყო კონფლიქტის ზონაში ისეთი ძლიერი მოწინააღმდეგის შეშვება, როგორიც ანდრეი კოკოშინია**". კი მაგრამ, ძლიერი მოწინააღმდეგის არშეშვება ასეთივე შეცდომა არ იქნებოდა? გამოდის, ნიკა იმნაიშვილი ფიქრობს, რომ კონფლიქტის ზონაში ჩვენ რაღაც გვაქვს დასამალი. ავტორი დაწვრილებით განიხილავს კოკოშინის ეპიზოდსა და პრეზიდენტ **სააკაშვილის** ცნობილ განცხადებას აფხაზეთის აკვატორიაში უცხო მცურავი საშუალებების შესახებ. მისი აზრით, პირველი უპირობო შეცდომაა, მეორე — უპირობო გამარჯვება (გაფრთხილება მეორე: **ფაქტი და ინტერპრეტაცია არასოდეს უკავშირდება ერთმანეთს ცალსახად, ამიტომ მედია-ომი მედია-სივრცეს არ უნდა გასცილდეს, პოლიტიკურ ნაბიჯებს კი გარდა მათი ინტერპრეტაციის საზოგადოებრივი რეზონანსისა, უშუალო შედეგებიც მოჰყვება ხოლმე**). სტატიაში ამას ბუნებრივად მოსდევს სააკაშვილის ძალაუფლების დახასიათება, მაგრამ ავტორი მიიჩნევს, რომ ამისათვის ნიადაგი ჯერ საკმარისად არ მომზადებულა და ასეთ რამეს გვეუბნება: "**დღეს მსოფლიოს (მათ შორის, უპირველესად, დასავლეთს) არა რომანტიკოსები, არამედ უმოწყალო ცინიკოსები მართავენ**". კი მაგრამ, ამ ცინიკოსებს რაიმე მიზანი აქვთ, თუ მათი "ცინიზმი" თვითკმარია? ერთი სიტყვით, რის გულისთვის ცინიკოსობენ? ავტორი გვიმტკიცებს, რომ დასავლეთს "**საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, პრაგმატული მოსაზრებებით, კიდევ უფრო ნაკლებად უჩუყებს გულს, ვიდრე რუსეთს**". ამის შემდეგ კიდევ ერთხელ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ეკვეთება რუსეთს და ერთი გვარიანად გამოლანძღავს მას იმისთვის, რომ ჯერ კიდევ არსებობს რუსეთის ჯარების "თბილისის გარნიზონი".

ერთი სიტყვით, ხორციელდება უკვე ლამის კლასიკურად ქცეული მოდელი: "არც პრორუსული, არც პროდასავლური, არამედ პროქართული". ამავე დროს, მსოფლიო თანამეგობრობა უკვე წარმოდგენილია "უმოწყალო ცინიკოსების" ხროვად (გაფრთხილება მესამე: **ცინიზმი თავისთავად არ არსებობს, ის ყოველთვის მიბმულია ღირებულებათა რომელიმე სისტემასთან და მის წინააღმდეგ გამოდის; ასე რომ, ავტორი, იმედია, უნებლიედ გვიმტკიცებს შემდეგს: დემოკრატიული ღირებულებები მხოლოდ ფარსია, მოტყუების ისეთივე იარაღია, როგორც მედია**). ღირებულებების ადგილი ავტორის მიერ აღწერილ ვითარებაში საერთოდ აღარ შეინიშნება და საქართველოს პრეზიდენტს ისღა რჩება, იზოლირებული, ძლიერი და უპრინციპო მმართველობა დააწესოს, ანუ **ვლადიმერ პუტინს დაემსგავსოს**. და რადგანაც ამას ვერც ეკონომიკის სფეროში გაწვდება, ვერც საგარეო პოლიტიკაში და ვერც სამხედრო ასპარეზზე, სააკაშვილის "პუტინიზაციის" ერთადერთ სავარაუდო სფეროდ მედიასა და სამოქალაქო საზოადოების მიმართ მისი დამოკიდებულება რჩება. ამას ეძღვნება სტატიის ბოლო ქვესათაური — "ხელისუფლების გადარდუბალება".

ავტორმა საფლავიდან ამოთხარა და მიზანში ამოიღო მულტსერიალი "დარდუბალა": "**დღევანდელმა პრეზიდენტმა შესანიშნავად იცის: მის წინამორბედს სახელისუფლებო სტრუქტურები სწორედ იმიტომ დაემხო თავზე, რომ შევარდნაძემ მათი "გადარდუბლება" დაუშვა**". აი, პუტინი კი წარმატებით ხურავს თავისუფალ არხებს, ამიტომაც უდგას სული! მერე მულტსერიალის ესთეტურ მხარეზე მახვილდება ყურადღება: აბა, რომელ ქვეყანაში დაუშვებენ, პრეზიდენტის ამსახველი მულტ-პერსონაჟი ტიტლიკანა დარბოდეს? ეს სიტყვის თავისუფლების პრობლემა კი არა, გემოვნების პრობლემაა. მე, მაგალითად, მიმაჩნია, რომ რადიო "არ დაიდარდო" გაცილებით უფრო მძიმე კულტურული დივერსიაა ქართველი ერის წინააღმდეგ.

ნიკა იმნაიშვილს მოჰყავს რადიო-თავისუფლების ქართული რედაქციის ხელმძღვანელის, გულნარა უროტაძის სიტყვები: "**თუ ვინმეს ჰგონია, სიტყვის თავისუფლება ის არის, რასაც გინდა იმას იტყვი და რასაც გინდა იმას დაწერ, ეს არის არა სიტყვის თავისუფლება, არამედ მისი დისკრედიტაცია**". მართალია, მაგრამ ამ შემთხვევაში კრიტერიუმი გემოვნებაა და არა სამთავრობო დირექტივა. სწორედ თავისუფალი სიტყვის ქვეყანაში მოიგონეს გამოთქმა "ორალური კაბინეტი", რომელიც ტიტლიკანა დახატულ პერსონაჟზე გაცილებით უფრო მწვავე და შეურაცხმყოფელი იყო, სამაგიეროდ — უფრო ნიჭიერულიც. ჰოდა, "უმოწყალო ცინიკოსმა" კლინტონმაც ვერაფერი გააწყო!

სამოქალაქო სექტორსაც მოხვდა ნიკა იმნაიშვილისაგან: "ხალხის გაზეთის" რედაქტორთან დაკავშირებული საქმის ქვეტექსტი თურმე "**ყველას შესანიშნავად გვესმის**". მაინც რა გვესმის? ჯერ ერთი, არასამთავრობოები სულაც არ ცდილობდნენ "ჯოხის გადატეხას" პოლიციის უფროსზე, **ალექსანდრე სუხიტაშვილზე** — მათი მხრიდან ლაპარაკი იყო აშკარად დაშვებულ პროცესუალურ ცდომილებებზე, რომლებიც არავის უარუყვია. მეორე, არც შინაგან საქმეთა მინისტრი გამოიყურებოდა გმირივით: არგუმენტი "გორი პატარა ქალაქია და ყველამ ყველაფერი იცის" არა მარტო უსუსური იყო, არამედ სამარცხვინოც. მესამე, გაუგებარია სტატიის შემდეგი ადგილი: "**რეზო ოქრუაშვილმა ბრალი აღიარა. რაც იმას ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უკან ერთი ნაბიჯითაც არ დაუხევია და საქმე ბოლომდე მიიყვანა**". დიახ, მართლაც მოხდა საპროცესო შეთანხმება (თანაც არა პროკურორსა და ადვოკატს, როგორც საჭიროა, არამედ პროკურორსა და ბრალდებულს შორის!), მაგრამ ბრალდება, რომელიც თავიდან რამდენიმე წლის პატიმრობას გულისხმობდა, მოულოდნელად შეიცვალა 50 ლარის ჯარიმით! ერთი სიტყვით, ეს აღიარება საქმის ბოლომდე მიყვანა კი არ იყო, არამედ ლეღვის ფოთოლი, რომლითაც ხელისუფლებამ სირცხვილის დაფარვა სცადა.

აქამდე ნიკა იმნაიშვილი მხოლოდ შეფარვით ებრძოდა დემოკრატიულ ღირებულებებს. სტატიის ბოლოს კი აშკარა იერიში წამოიწყო. მას შემდეგ, რაც სააკაშვილს ურჩევს, მედიის მიმართ "შესაფერი" სიმკაცრე გამოიჩინოს, გვეუბნება: "**ზოგიერთი ამას ავტორიტარიზმს უწოდებს, სხვები ძლიერ ხელისუფლებას — ტერმინოლოგიური გემოვნების საკითხია**". ყოველგვარი ტერმინოლოგიური მიკიბ-მოკიბვის გარეშე ვიტყვი, რომ აზრი აშკარად ფაშისტურია. შემდეგ კიდევ უკეთესი: "**შევარდნაძის სისტემა კი მართებულად შეიძლება შეფასდეს როგორც უღონო პლიურალისტური რეჟიმი**". აქ დემონიზირებულია დემოკრატიული ღირებულებების ერთ-ერთი საკვანძო პირობა — პლურალიზმი. მაგრამ ბოლოს კიდევ უფრო ძლიერი დარტყმა გველოდება: "**ნოემბერში საზოგადოებამ გააკეთა არჩევანი ქმედით ხელისუფლებასა და უღონო, პლიურალისტურ რეჟიმს შორის**". ორ განსაზღვრებას შორის დასმული მძიმე აშკარად მიგვანიშნებს, რომ ავტორს "უღონო" და "პლურალისტური" სინონიმები ჰგონია. სხვისი არ ვიცი, მე კი ნოემბერში "რკინის ხელი" არ ამირჩევია, არც პარლამენტის დარბაზში ჩაის დალევა მიმიჩნევია "ლუდის პუტჩად" და არც კილომეტრებზე გაჭიმული მსვლელობა მგონებია "რომაული მარში"!

ქართველ ხალხს "ძლიერი" კი არა, უნარიანი ხელისუფლება სჭირდება, უნარიანობა კი განუკითხაობაში რომ არ გადაიზარდოს ერთადერთი საშუალება სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან ხელისუფლებაზე მუდმივი კონტროლია. კიდევ ერთხელ გავიმეორებ ძირითად აზრს: ერთადერთი, რაც ჩვენს ერს უცხო ბატონობისაგან გვიხსნის, დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებაა.

ამას ის გააფთრებაც ამტკიცებს, რომლითაც სწორედ ამ ღირებულებებს ესხმიან თავს ყველგან და ყველანაირად. მეორე მაგალითი მოცემულია 13 აგვისტოს გამოქვეყნებულ **ზაზა ფაჩუაშვილის** პატარა მასალაში *კერძო პირის კერძო ინიციატივის* ანატომია. ტექსტში ვკითხულობთ: "**ამ რამდენიმე დღის წინათ საქართველოს უშიშროების სამინისტროს თანამშრომელი ნიკა კალაძე რამდენიმე ტაძარში მივიდა და სამი ცნობილი მღვდელი დაკითხა. ესენი იყვნენ — დეკანოზი თეიმურაზ ჩაჩიბაია, დეკანოზი დავით ისაკაძე და მღვდელი დავით ქვლივიძე**". რახან ავტორი ანატომიას შეგვპირდა, ვითავოთ მისი დაპირების შესრულება და ვნახოთ, რითია ცნობილი ეს სამი სასულიერო პირი. დავიწყოთ ბოლოდან: მღვდელი **დავით ქვლივიძე**: "დავით აღმაშენებლის სახელობის კავშირის" წევრთან, **დიმიტრი ჩიტაიასთან** ერთად "რუსთავი-2"-ის ოფისთან ჩხუბი აუტეხა მღვდელს, **გიორგი ჩაჩავას**, რის გამოც მის წინააღმდეგ აღძრულია ადმინისტრაციული საქმე. დეკანოზი **დავით ისაკაძე**: დიღმის სკოლების ეზოებში დირექტორების, მასწავლებლებისა და ბავშვების თანდასწრებით აწყობდა კოცონზე წიგნების დაწვას, მისი სახელი არაერთხელ გაჟღერებულა თბილისში რუსულენოვანი ორმოცდაათიანელების ძალადობრივ დევნასთან დაკავშირებით. დეკანოზი **თეიმურაზ ჩაჩიბაია**: ქართული სამხმიანი გალობის წინააღმდეგ მისი გააფთრებული ბრძოლა იმდენად აუტანელი გახდა, რომ კათოლიკოს-პატრიარქის განკარგულებით თბილისს მოაშორეს და გადაიყვანეს სადმე მოუსავლეთში კი არა, სვეტიცხოვლის საკათედრო ტაძარში — ჩაჩიბაიამ ეს განკარგულება არ შეასრულა და ორი დღის განმავლობაში აქციებს მართავდა საპატრიარქოს შენობასთან. ამის შესახებ გვამცნობს ფოთისა და ხობის მთავარეპისკოპოსის, გრიგოლის წერილიც, რომელიც "24 საათმა" გამოაქვეყნა.

შემდეგ ზაზა ფაჩუაშვილის მასალა გვამცნობს, რომ უშიშროების სამინისტროს თანამშრომლის ხსენებულ ქმედებას "**გამოეხმაურა წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის მართლმადიდებელი მრევლის კავშირი**". მიუხედავად მასალის "ანატომიურობისა", ტექსტიდან ვერ ვიგებთ, სად მოხდა ეს გამოხმაურება. ვაზუსტებთ: სასტუმრო "მერიოტში", სადაც პრეს-კონფერენციის გამართვა, სულ მცირე, 500 (ხუთასი) ლარი ღირს...

უშიშროების სამინისტრო თვითონ უპასუხებს მისთვის მიცემულ კითხვებზე, ჩვენ კი საკითხის ანატომიაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ. სულ ორ საკითხს ვგულისხმობ:

პირველის შესახებ ციტირებულ სტატიაში არაფერი წერია, მაგრამ მრევლის კავშირის წევრები ხშირად იმეორებენ, რომ მათი მოღვაწეობის უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ საქართველოში ირღვევა "მართლმადიდებელი უმრავლესობის უფლებები". საზოგადოებას განვუმარტავთ, რომ ამ "კონცეფციას" ყველაზე ხშირად იმეორებს რუსი რეაქციული პოლიტოლოგი, **სტანისლავ ბელკოვსკი**. მე თავდაპირველად ვერ მივხვდი, სახელდობრ ვისი უფლებები ირღვევა და იმ დასკვნამდე მივედი, რომ საზოგადოების ის ნაწილი იგულისხმება, ვისაც ჰგონია, რომ ჯორჯ სოროსი, ალექსანდრე ლომაია და გიგა ბოკერია "იეღოველები" არიან. რას იზამ, მათი უფლებები მართლაც ირღვევა — ძირითადად, განათლების უფლება.

მეორეც — სტატიაში ვკითხულობთ: "**გამოითქვა სურვილი და მზადყოფნა იმისთვის, რომ ხსენებული მღვდლები და მრევლი სამაჩაბლოში ღვთისმსახურების ჩასატარებლად ჩავიდნენ**". ხედავთ, რა პატრიოტები ყოფილან? საინტერესოა, ნიქოზისა და ცხინვალის ეპისკოპოსი **ისაია**, რომლის ლოცვა-კურთხევით რეგიონში ღვთისმსახურება არასოდეს შეწყვეტილა, როგორ უნდა შეხვდეს მის მიერ მართულ ეპარქიაში ამ სულიერ დესანტს? ეს ხომ საეკლესიო განაწესის დარღვევაა! აქაც გვჭირდება ანატომია: ახლახან გამოქვეყნდა მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქის, ალექსი II-ის განცხადება სამხრეთ ოსეთში მიმდინარე კონფლიქტის შესახებ, რომელიც თავისი ორაზროვნებით ძალიან წააგავს აჭარის შესახებ ჩვენი სინოდის დადგენილებას. მოსკოვის პატრიარქის დეკლარაციაში ვკითხულობთ: "**ჩემი ღრმა რწმენით, საჭიროა ყველა სამხედრო მოქმედების დაუყონებლივი შეჩერება და პასუხისმგებელ დიალოგთან დაბრუნება, ხომ ცნობილია, რომ მიღწეული შეთანხმებების საფუძველზე თორმეტი წლის განმავლობაში შესაძლებელი იყო ამ რეგიონში მშვიდობისა და სიწყნარის შენარჩუნება**" — ახლა ხომ გასაგებია, რუსეთის ხმაში გაჩენილ რომელ კაპიტულანტურ ბზარზე ვსაუბრობდი პუბლიკაციის დასაწყისში? რაც შეეხება ღვთის მიმართ ლოცვას და მის შესაძლო ვარიანტებს (ანატომიას), პატრიარქი ალექსი განაგრძობს: "**ღვთის მიმართ აღვავლენ დაპირისპირების რეგიონში მშვიდობის განმტკიცებისთვის ლოცვას. დაე, ღმერთმა სიბრძნე მოჰმადლოს კონფლიქტის ორივე მხარეს ... ვაფასებ სამართალდამცავთა და სამშვიდობო ძალთა ღვაწლს, რომლებმაც არ დაუშვეს კიდევ უფრო დიდი მსხვერპლი**". ესეც ასე: არ გაბედოთ ფიქრი, რომ კონფლიქტში მესამე მხარეც არის — რუსეთი; იცოდეთ, რომ სიბრძნე ყველას ერთნაირად გაკლიათ; ნაბდზოროვის მიმართ კი მადლობის მეტი არაფერი გეთქმით.

ერთი სიტყვით, დემოკრატიულ ღირებულებებზე შეტევა ფართო ფრონტით მიმდინარეობს. საკითხავი ისაა, მოიცავს თუ არა ის ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებს. სამწუხაროდ, საფრთხე არსებობს. რამდენიმე დღის წინათ საქართველოში თავისი ვიზიტის დროს უიკლიფის ეპისკოპოსმა, ინგლისის დედოფლისა და ანგლიკანური ეკლესიის პრიმასის დესპანმა, ლორდმა **სტივენ პლატენმა** გაკვირვება გამოთქვა: "**გაოცებული ვარ, რომ თქვენი ხელისუფლების მაღალი პირები ყველაზე პროგრესულ რესურსებს ხანდახან მარგინალებად მოიხსენიებენ**". ნუთუ რეალობის გრძნობა დღესაც დეფიციტია?

# ფესტივალი შავ ზღვაზე გრძელდება

თამარ სუხიშვილი

თბილისიდან დავიძარით. ჩვენმა გასვლამ 2000 წლის “მატარებლის” აქცია გამახსენა. მაშინდელივით ახლაც ყველა სადგურში ვჩერდებოდით - ოღონდ არა კონცერტებისა და პოეზიის საღამოების ჩასატარებლად, არამედ იმიტომ, რომ ჩვეულებრივი ჩქაროსნული მატარებლით ვმგზავრობდით და კიდევ იმიტომ, რომ მთელ საქართველოში ელექტროენერგია გაითიშა და ძალაუნებურად, მატარებელში მოგვიწია ლოდინი. შუქი რომ მოვიდა, გავიგეთ, რომ ციხისძირში მეწყერი ჩამოწვა და რკინიგზის ლიანდაგები დააზიანა. გამოგვიცხადეს - მატარებელი ქობულეთის იქით ველარ წავაო. ჰოდა, ჩვენც ქობულეთში ჩამოვზარგდით და ავტობუსებით განვაგრძეთ გზა. უკვე დაღლილ ფესტივალის მონაწილეებს ეს გზა ერთი-ორად გრძელი მოეჩვენათ. მით უმეტეს, რომ ციხისძირში ავტომანქანების კოლონის რიგში დგომაც მოგვიწია. სამანქანო გზაზეც მეწყერი იყო ჩამოწოლილი. მუშები გზას წმენდნენ. ყველაზე “გაუგონარი და ჯიუტი” მგზავრი ფოტოგრაფი იური მეჩითოვი გამოდგა. ხან როდის ჩაიპარებოდა ხოლმე ავტობუსიდან და ხან როდის, გადასაღები კი მართლაც ბევრი იყო. ჰოდა, იწყებოდა მერე იურას ძებნა ციხისძირის გზაზე.

გონიოს ციხე რომ გამოჩნდა, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. როგორც იქნა, ჩამოვედით. თუმცა ვერ გეტყვით, რომ უხალისოდ ვიმგზავრეთ. თუ ჩემი არ გჯერათ, შეგიძლიათ ჩვენს თანამგზავრს - ახალგაზრდა პოლონელ მოგზაურს ჰკითხოთ, არ არის გამორიცხული რომ სადმე შეხვდეთ, პატარა გამხდარი ტიპია “იოჟიკი” ვარცხნილობით და ორი თავისხელა ზურგჩანთა აქვს აკიდებული. ყველგან მოგზაურობს. ჩვენც ასე დაგვემშვიდობა: აბა, დროებით, კიდევ შევხვდებითო. ჰოდა, ის ამბობდა, რა კარგია, ამ მატარებელში რომ მოვხვდი, ასეთი მხიარული მატარებლით არასოდეს მიმგზავრიაო. უცნაური ადამიანი კი იყო, ჯერ ანარქისტი ყოფილა, მერე - მონარქისტი. თუმცა, ახლა ამას რა მნიშვნელობა აქვს. ისე მომივიდა, სელინჯერის გმირს გამოცდაზე რომ შეუძახებენ, გადაუხვია, გადაუხვიაო.

მოკლედ, უკვე გონიოში ვართ. და სანამ აქამდე მოვაწევდით, და ფესტივალი დაიწყებოდა, ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამ მოხდა. პოლიტიკური სიტუაცია ძალიან დაიძაბა. აუცილებლად იტყვის ვიღაც, რა გვეფესტივალებაო. მაგრამ, ამ რიგის შეკრებები არასდროს არ არის ზედმეტი...



ფესტივალი მატარებლიდან დაიწყო.

შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი “პონტო”, რომლის ორგანიზატორები არიან საქართველოს ბიზნესის განვითარების ცენტრი “კავკასია”, კულტურული ოლიმპიადის საქართველოს ეროვნული კომიტეტი და კულტურის სამინისტროს რეგიონალური დეპარტამენტი, 13 აგვისტოს საღამოს გაიხსნა გონიოს ციხეში. წელს ქართველმა მწერლებმა გონიოს ციხე აქტიურად აითვისეს. ჯერ იყო და “პენ-მარათონი” ჩატარდა, ახლა ფესტივალი გაიხსნა. რატომღაც მასმედიამ ძირითადად ყურადღება სანაპიროზე გამართულ ე.წ. “პახმელია-შოუზე” გაამახვილა (თუმცა, ეს “პახმელია-შოუ” სხვა არაფერი იყო, თუ არა ჩვეულებრივი დილის გამამხნევებელი ლუდის სმა, რომელიც მერე პირადი ინიციატივების საფუძველზე, არყის სმაში გადაიზარდა და ის შედეგი გამოიღო, რომ მონაწილეთა გამოფხიზლების პროცესი გათვალისწინებულზე მეტად გაიწელა და გახსნაც ცოტა არ იყოს, დაგვიანდა). თუმცა, რა თქმა უნდა, სხვა ღონისძიებები გაცილებით მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო (ბუნებრივია, ეს ხომ ხელოვნების ფესტივალია და არა ლუდის). თუნდაც, ფესტივალის გახსნა. გონიოს ციხის ტერიტორიაზე ფოტო და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების ექსპოზიცია გამოიფინა. აქ შეგიძლიათ ნახოთ ირინა აბჟანდაძის ცნობილი სერია უსახლკარო ბავშვებზე; გურამ წიბახაშვილის, იური მეჩითოვის, ირმა შარიქაძისა და სხვათა ნამუშევრები. გალავნის შიგნით პატარა პრეზენტაცია მოაწყო “ლიტერატურულმა კაფემ”. წიგნებიც საკმოდ გაიყიდა. გაყიდული წიგნების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზღვის ნაპირზე წასაკითხი რომანების “ნომინაციაში” აკა მორჩილაძემ გაიმარჯვა; მისი წიგნები დამსვენებლებმა საზაფხულოდ უხვად მოიმარაგეს. ლიტერატურული საღამოს დაწყებამდე კარგა ხნით ადრე კი თვალსა და ხელს შუა გაქრა რატი ამაღლობელის ლექსების კრებული. წიგნი ისე სწრაფად გაიყიდა, ბევრი მომსვლელი ნაწყენიც კი დარჩა - ასე მალე როგორ გათავდა, მაგის საყიდლად მოვედითო. თუმცა საბოლოოდ მაინც კმაყოფილები დარჩნენ. რატი ამაღლობელის ლექსები ავტორისეული შესრულებით ცოტა მოგვიანებით, გონიოს ციხეში გამართულ ლიტერატურულ საღამოზე მოისმინეს. ეს საღამო, რომელიც ლაშა ბუღაძეს მიჰყავდა, ზურა რთველიაშვილმა გახსნა თავისი რევოლუციური ლექსებით. მას მოჰყვა კოტე ყუბანეიშვილი, დეფი გოგიბედაშვილი და სხვები. ლიტერატურული საღამო ბესო ხვედელიძემ ოლიმპიური თემატიკით დაასრულა. გვამცნო, რომ ჩვენმა ფალავანმა ოლიმპიადაზე ვერცხლის მედალი აიღო. იყო ტაში. ფესტივალის მონაწილეები საზეიმო ნოტაზე დაიშალნენ. თუმცა ოქრო უკეთესი იქნებოდა...

შავი ზღვის ხელოვნების ფესტივალი “პონტო” დაიწყო, გრძელდება და იმედია, მომავალშიც გაგრძელდება. პროგრამა მრავალფეროვანია: პოეზიისა და რომანსის საღამოები, სპორტულ-გასართობი თამაშები, თეატრალური წარმოდგენები, კინოჩვენებები და სხვა ღონისძიებები. ეს დასაწყისია და იმის იმედსაც ვიტოვებთ, რომ მერე და მერე ღონისძიების ორგანიზების თვალსაზრისით, ყველაფერი დაიხვეწება. მთავარია, ჩანაფიქრი იყოს კარგი. ჩანაფიქრი კი ნამდვილად კარგია.

ფესტივალი “პონტო” 19 აგვისტომდე გასტანს.

# როცა ნეკროლოგები გძულს

## გარდაიცვალა ნობელის ლაურეატი პოლონელი პოეტი

ჩესლავ მილოშს ძალზედ არ უყვარდა ნეკროლოგები და მკვდარ პოეტებზე საუბარი. “მას, ვინც მოიხმობს ისტორიას, იშვიათად აწყვეტინებენ, მიცვალებულები არ აღდგებიან საწინააღმდეგოს დასამტკიცებლად. მათ შეიძლება ყველაფერი დააბრალო, რაც მოგესურვება და მათი რეაქცია მხოლოდ დუმილი იქნება” (“ევროპის შვილი”). ჩეშლავ მილოშსაც ბევრი რამ შეიძლება დააბრალო, მაგალითად, რუსოფილია და დასამტკიცებლად მისივე სიტყვები მოიხმო, როდესაც ერთ-ერთ საბჭოთა ჟურნალთან ინტერვიუში აღნიშნავდა, რომ არც ერთ კრიტიკოსს არ შეუფასებია მის შემოქმედებაზე რუსული ლიტერატურის გავლენა. მილოშს ხშირად საყვედურობდნენ გადაჭარბებული პოლიტიზაციის გამო. მის პოეტურ კრებულებს პოლიტიკურ ტრაქტატებს ეძახდნენ. 1980 წელს კი, როცა მას ნობელის პრემია გადასცეს, ეს ჟესტი შეაფასეს, როგორც “აპოლიტიკური ნობელის პრემიის პოლიტიკური კომპრომისი”.

თავად მილოშიც ადასტურებდა, რომ ადამიანისა და ძალაუფლების ურთიერთობა წამყვანი იყო მის შემოქმედებაში. მიუხედავად ამისა, ჩესლავ მილოშს ვერავინ ვერასოდეს დააბრალებდა ცუდ პოეტობას. იოსიფ ბროდსკი მას “ჩვენი დროის ყველაზე დიდ პოეტს” უწოდებდა. თავად ნობელიანტი ბროდსკი იმასაც დასძენდა, რომ მილოშის პოეზიის უდიდესი ძალა ტრაგიკულ ინტონაციაში მდგომარეობს. “საუკუნის ტრაგედია კი იმაში მდგომარეობს, რომ მან პოეტს ტრაგედიის გამოხატვის საშუალებები უხვად მისცა”.

ჩესლავ მილოში 1911 წელს, ლიტვაში დაიბადა. ვილნიუსს იგი მოგვიანებითაც თავის მშობლიურ ქალაქს უწოდებდა - “მითებისა და პოეზიის ქალაქს”. თუმცა მილოში მაინც პოლონელი იყო. როდესაც პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიამ პოლონეთი დაიპყრო, მილოშების ოჯახი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდა. თავისუფალ პოლონეთში მას მხოლოდ რამდენიმე წელი მოუწია ცხოვრება. იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა პირველი წიგნი 1933 წელს გამოსცა - “პოემა გაყინულ დროზე”. 1939 წლიდან კი, როცა პოლონეთი ხელახლა გაიყო ორად, მილოში გერმანიის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. აქედან მოყოლებული ჩესლავ მილოში აქტიურად ერთვება პოლიტიკურ პროცესებში. იგი ჯერ პოლონეთის წინააღმდეგობის ორგანიზაციის აქტივისტია, შემდეგ კი ვაშინგტონსა და პარიზში პოლონეთის დიპლომატიური კორპუსის წევრი იყო. კიდევ ერთი გარდატეხა მილოშის ბიოგრაფიაში მაშინ მოხდა, როცა პოლონეთში კომუნისტური ხელისუფლება მოვიდა. მილოში ემიგრაციაში დარჩა და კომუნისტურ პოლონეთში აღარ დაბრუნდა. ჯერ საფრანგეთში ცხოვრობდა, შემდეგ კი შეერთებულ შტატებში გადავიდა. ამ პერიოდში მილოში ხან ფრანგულად ცდილობს წერას, ხან ინგლისურად, ეწევა აქტიურ პუბლიცისტურ მოღვაწეობას, ბოლოს კი ამ წლებს “უნაყოფობისა და უმოქმედობის” წლებს უწოდებს.



ჩესლავ მილოშს ძალზედ არ უყვარდა ნეკროლოგები და მკვდარ პოეტებზე საუბარი.

საბოლოოდ მილოშმა ეს კრიზისიც დასძლია და ემიგაციაშიც მოახერხა პოლონეთის “ყველაზე ცოცხალ და დიდ პოეტად” დარჩენილიყო. სწორედ მისი შემოქმედებით დაიწყო ე.წ. პოლონეთის პოეტური აღორძინება, რომელიც 1996 წელს ვისლავა შიმბორსკასთვის ნობელის პრემიის მინიჭებით დაგვირგვინდა. 90-იან წლებში მილოში პოლონეთში დაბრუნდა და კრაკოვის მახლობლად დაბინავდა. იგი ცოცხალ ლეგენდად იქცა. მის 90 წლის იუბილეს მთელი პოლონეთი აღნიშნავდა.

ჩესლავ მილოში 93 წლის ასაკში, 14 აგვისტოს გარდაიცვალა. “რა თქმა უნდა, ბოლოს და ბოლოს, ყველანი უნდა დავიხოცოთ, სიკვდილს არც საზღვრები აქვს და არც ახსნა მოეძებნება” - აღნიშნავდა სიკვდილამდე ცოტა ადრე დიდი პოლონელი პოეტი.

# გემოვნებაზე არ დავობენ?

1896 წელს პოეტმა კოსტას პალამასმა და მუსიკოსმა სპიროს სამარამ ოლიმპიური თამაშებისთვის საზეიმო ჰიმნი დაწერეს. მაგრამ ისევე, როგორც მრავალ სხვა ჩინებულ ნაწარმოებს, ამ ჰიმნს აღიარება მხოლოდ მოგვიანებით ელირსა - ოფიციალური ჰიმნის სტატუსი 1964 წელს, ტოკიოში გამართულ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სამოცდამესამე სხდომაზე მიანიჭეს. მას აქეთია, ამ ჰიმნს ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის და საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხდომების დროს უკრავენ ხოლმე.

წელსაც ასე მოხდა. ოლიმპიური თამაშები დაიწყო, და გახსნის დიდებული ცერემონიის მონაწილეთა ჩაცმულობამ კვლავ ძველი კითხვა აღძრა: ვითომ, რატომ არ დავობენ გემოვნებაზე?

ორგანიზატორს, ქალბატონ ჯანა ანგელოპულოს-დასკალაკის, შარს ვერ მოსდებდით. 3,8 მილიარდ ტელემაყურებლს ის კრემისფერ კაბაში მოევლინა, რომელსაც შესანიშნავი დიზაინერის ხელი ნამდვილად ეტყობოდა. მის ვარცხნილობას ქარიშხალიც ვერაფერს დააკლებდა, სახეზე კი ათასგზის შემოწმებული, გულმოდგინედ შესწავლილი ღიმილი დასთამაშებდა. მსოფლიოს უდიდეს პოდიუმზე ქალბატონ ჯანას უაღრესად ღირსეულად ეჭირა თავი.

აი, 202 ქვეყნის წარმომადგენელ სპორტსმენებს კი უმოწყალო დიზაინერებმა საშინელი რამ დაჰმართეს. “შტერნის” კორესპონდენტის თქმით, “ისინი უფანტაზიოდ შეკერილ კოსტიუმებში ოფლად იღვრებოდნენ. მიწისფერ ტანსაცმელში ოლიმპიადის გერმანელ მონაწილეებს ხომ ზევიდან საერთოდ ვერავინ დაინახავდა. ალბათ, ჩაითვალა, რომ ასეთი ფერის ქსოვილი უფრო გამძლეა და მერეც ჩაიცმევა”. მიუხედავად გერმანელი ჟურნალისტის



სიმაღლეში მხტომელი დანიელა რათი იორგ თრიპენ-ჰილგერსი, მსუბუქი ათლეტიკა

აღშფოთებისა, ბერძნულ ყოველდღიურ გაზეთ “ელეფთეროტიპიაში” ეწერა, რომ გერმანელები “ყველაზე დიდებულად იყვნენ გამოწყობილი” - როგორც მოგახსენეთ, გემოვნებაზე არ დავობენ.

ნეტა, არავის მობეზრდა ის, რომ ყველა ქვეყნის წარმომადგენლებს ტრადიციულად ერთი და იგივე, დიდი-დიდი, ოდნავ სახეცვლილი ტანსაცმლით არჩევენ ერთმანეთისგან? ბერმუდელებს - ამავე სახელწოდების მქონე შორტებით, არაბული ქვეყნების შვილებს - გრძელი თეთრი საბურველით, გრენადელებს - ბანანის ფოთლებისგან დაწნული ქუდებით, ბურუნდიდან ჩამოსულებს - თავში გაჩრილი ბუმბულებით... კარგი, რა!

სპორტსმენების სხეულები შეძლებისდაგვარად დაფარული იყო, სავარჯიშო კოსტიუმები კი ალბათ რეტროდ უნდა აღვიქვათ, თორემ რა უბედურებაა... მოლდაველი ქალების სამოსის ფერი “ვარდისფერ ავაზას” მოგაგონებდათ, რუსი სპორტსმენი გოგონები კი სულაც მაღალ ქუსლებში იყვნენ აყუდებული - რომელი ერთი ჩამოვთვალო.

არადა, რა ლამაზი სხეულები აქვთ სპორტსმენებს! ნუთუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს მშვენიერება უნდა დაფაროს?

# მოდის არქიტექტორი

## ჯანფრანკო ფერე 60 წლისაა

უკვე ოცდახუთი წელია, რაც ჯანფრანკო ფერე იტალიის ყველაზე ცნობილ მოდის დიზაინერთა რიცხვს მიეკუთვნება. გარეგნულად ძალიან სასიამოვნო კაცია: პუტკუნა, ჩამრგვალებული, თეთრი წვერითა და მრგვალი სათვალით. ერთი შეხედვით უნივერსიტეტის პროფესორს უფრო ჰგავს, ვიდრე მოდელიორს. მას არც ჯორჯო არმანის მკაცრი ელეგანტურობა ახასიათებს, არც კარლ ლაგერფელდივით ექსცენტრულია და არც მუდამ გარუჯული ვალენტინოსავით ღიმილი შეუძლია. სამაგიეროდ, ფერე საიმედოა და დახვეწილი, ამიტომაცაა, რომ იტალიელები მისით ასე ამაყობენ. თვალშისაცემად ფუჭი, ერთდღიანი და პრაქტიკულად გამოუსადეგარი ნაკეთობების ფონზე, რომლებიც მთელი მსოფლიოს პოდიუმებზსაა მოდებული, მისი ქალური, დახვეწილი მოდელები ყოველთვის გამოირჩევიან ხოლმე.

ჯანფრანკო ფერე 60 წლისა გახდა. დღეს ის თავისი ყოფით ძალიან კმაყოფილია, თუმცა თავის დროზე არქიტექტორობას აპირებდა: სასწავლებელი საუკეთესოდ დაამთავრა, მაგრამ მერე სამსახურის შოვნა გაუჭირდა. მოკლედ, ჯანფრანკოს არ გაუმართლა, მოდის სამყაროს კი - ძალიან.

ფერემ ჯერ ავეჯის დიზაინით დაკავება სცადა, სულ მალე კი სამკაულების დიზაინსაც მიჰყო ხელი. მისი ნამუშევრები პრესამაც აღნიშნა, და მისი თაყვანისმცემელი იტალიური “ვოგის” გამომცემელი, ანა პიაჯი გახდა.

საკუთარ თავზე ფერე ამბობს: “სულ ერთია, კაბის ესკიზს ვაკეთებ, ავეჯს ვიგონებ, სახლს ვაპროექტებ თუ ქალაქს - ჩემთვის ყოველი საქმე დიდი საქმეა”.

ფართო საზოგადოებამ ფერეს შემოქმედება პირველად 1978 იხილა. მისი ნაკეთობების თავისებურება აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი გავლენა იყო. ინდოეთში მოგზაურობები მის ქმნილებებს დღესაც ამჩნევს კვალს. “აღმოსავლეთს რომ არ გავცნობოდი, ალბათ სულ სხვა სტილი მექნებოდა,” ამბობს ოსტატი. მისი თქმით, ინდოეთს “ბრწყინვალე უბრალოება” და “დიდებული მინიმალიზმი” ახასიათებს. ფერეს კოლექციებიც ასეთია - სადა, მკაფიო ხაზი და ფანტასტიკური ფორმები.




“სულ ერთია, კაბის ესკიზს ვაკეთებ, ავეჯს ვიგონებ, სახლს ვაპროექტებ თუ ქალაქს”.

ფერემ მილანში საკუთარი სახელოსნოს დაარსებისთანავე გაითქვა სახელი. მისი კრემისფერი და მარგალიტივით რუხი მოდელები პატიოსანი თვლების ფერებით იყო გამდიდრებული. “მოდის არქიტექტორი” ფერე უძვირფასეს მასალას იყენებს - ხავერდს, აბრეშუმს, ბეწვეულს და ტყავს. “ჩემი მოდელები გონიერი, თავისუფალი, ძლიერი ქალებისთვისაა განკუთვნილი. ქალის სიძლიერე არა მარტო მის ტემპერამენტში, ხასიათსა და ვნებებში, არამედ სტილშიც ვლინდება,” ამბობს ფერე.

ფერეს კარიერისთვის 1989 წელს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა, როცა მან “დიორთან”, ერთ-ერთ ყველაზე მდიდარი ტრადიციების მქონე მოდის სახლთან დაიწყო თანამშრომლობა. მაშინ მის ნამუშევარს დიდი მოწონება ხვდა წილად, მაგრამ 1996-ში ფერემ პარიზი მაინც დატოვა და მთლიანად საკუთარი მოდის იმპერიას მიუძღვნა თავი.

დღეს ფერეს სახელი აქსესუარებს, კოსმეტიკურ საშუალებებს, სათვალეებს, ფეხსაცმელს, ქოლგებსა და ჰალსტუხებსაც ამშვენებს. მას უამრავი ჯილდო აქვს მიღებული - იტალიის ქსოვილის ინდუსტრიის “ოსკარი” თუ მილანის “ოქროს მედალი საზოგადოებრივი დამსახურებისთვის”.

ამერიკული ისტორია

# სიყვარულისა და მშვიდობის სამი დღე

მაგდა ანიკაშვილი



ვუდსტოკის ფესტივალმა უდიდესი გავლენა მოახდინა არა მარტო ამერიკულ კულტურაზე.

60-იანი წლების სიმბოლოდ მსოფლიოს კიდევ ერთი სიტყვა დარჩა - ვუდსტოკი. დღეს ბევრი კლუბი და ფესტივალი არსებობს ამ სახელწოდებით და არავის სჭირდება იმის ახსნა, თუ ვინ იყრის იქ თავს და როგორია მათი განწყობა. 1969 წლის აგვისტოში კი არავინ გეგმავდა გრანდიოზული აქციის ჩატარებას. ნიუ იორკის შტატის პატარა ქალაქ ვუდსტოკში "მუსიკისა და ხელოვნების ბაზრობა" უნდა გამართულიყო. დაგეგმილი იყო ფასიანი კონცერტის ჩატარებაც, მაგრამ ვერავინ იფიქრებდა, რომ იქ 450 ათასი ახალგაზრდა მოიყრიდა თავს.

კონცერტის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე ორგანიზატორები მიხვდნენ, რომ ბილეთების გაყიდვას აზრი აღარ ჰქონდა. ვერც ქალაქი ვუდსტოკი დაიტევდა ამდენ ადამიანს. ამიტომ გადაწყდა ქალაქიდან 100 კილომეტის დაშორებით ვინმე მაქს იასგურის ფერმის ტერიტორიაზე გადაბარგებულიყვნენ. დაიწყო კონცერტი და სამი დღე გაგრძელდა. მთელი ქვეყნიდან ემატებოდა ვუდსტოკს ხალხი. ჩამოდიოდნენ მუსიკოსები ისე, რომ არავინ კითხულობდა გადაუხდიდნენ თუ არა მათ. გაიმართა უდიდესი აქცია მშვიდობისა და სიყვარულისათვის. ამ სამ დღეს სამი სიკვდილის შემთხვევა, ორი მშობიარობა და არც ერთი ჩხუბი არ მოჰყოლია. ამ ადამიანებს "ვუდსტოკის ნაცია" უწოდეს და რას ნიშნავს ეს - ამის ახსნა აღარ არის საჭირო.

მაიკ უოდლი, ახალგაზრდა რეჟისორი შემთხვევით მოხვდა ფესტივალზე. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს არ იქნებოდა ჩვეულებრივი როკ-კონცერტიო, ამბობდა ის შემდეგ. და არც შემცდარა, მან "ოსკარიც" კი მოიპოვა. მთავარი ფილმში მუსიკაა, როკი, რომელიც ყველაფერს განაგებს. სცენაზე გამოდიან ჯიმი ჰენდრიქსი, კარლოს სანტანა, ჯო კოკერი, ჯოან ბაეზი, ჯენის ჯოპლინი, ჯგუფები: Ten Years After, ShaNaNa, The Who, Jefferson Airplane და სხვები. მუსიკის გამაერთიანებელი ძალა კარგად ჩანს დოკუმენტურ კადრებზე.

მაიკ უოდლი ფილმში ინტერვიუებსაც რთავს - საუბრობენ ორგანიზატორები, მუსიკოსები, მსმენელები. ჩანს საიტერესო სცენები იმისა, თუ როგორ უსმენს ხალხი მუსიკას, მის ფონზე სასიყვარულო ურთიერთობებიც მყარდება. კამერა ყველაფერს აფიქსირებს, იმ ნაგავსაც კი, რომელიც რჩება თავყრილობის შემდეგ. მაიკ უოდლი რამდენიმე ოპერატორთან ერთად მუშაობდა, "ვუდსტოკის" ერთ-ერთი მემონტაჟე კი მარტინ სკორსეზეა. ფილმი საუკეთესო ქრონიკაა იმისა, თუ როგორი იყო ამ თაობის განწყობა, რა აერთიანებდათ და რის წინააღმდეგ იბრძოდნენ ახალგაზრდები. თუმცა, არსებობს აზრი, რომ "ვუდსტოკი" ქრონიკა და პასუხია იმისა თუ, როგორც თავად თვლიან, რატომ ვერ მოახდინეს რევოლუცია სამოციანელებმა. თითქოს მუსიკის ნაცვლად ხალხი სექსისა და ნარკოტიკებისათვის მოდიოდა და ნარკოტიკების მიღების შემდეგ აღარ ახსოვდათ აღარც მშვიდობა, აღარც თანასწორობა და არც ის იდეები, რომლებმაც ქუჩაში გამოიყვანა. ვფიქრობ, წინააღმდეგობის გაწევა იმით, რომ არსებობ, რომ ისე არ ფიქრობ, არ ცხოვრობ როგორც სხვები, უკვე პროტესტია. ის, რომ ეს ადამიანები ლოს ანჯელესის გარეუბნის წვეულებების ან უოლ სთრითის კანტორების ნაცვლად მინდორში წვანან, ბევრის მთქმელია. ის, რომ დღეს ყველამ იცის და ყველას ახსოვს "ვუდსტოკის ნაცია" ეს მათი გამარჯვებაა. მაგრამ ხალხის ერთობის ყველაზე დიდი და თვალშისაცემი მონაპოვარი უდავოდ ვიეტნამის ომის შეწყვეტაა და ეს მთლიანად ამ ახალგაზრდების დამსახურებაა. ვუდსტოკი, ხომ ერთ დიდ ანტისაომარ დემონსტრაციად შეიძლება ალვიქვათ.

### MAKE LOVE, NOT WAR!

ეს ფრაზა 60-იანელი ახალგაზრდების დევიზი იყო და ის სწორედ ვიეტნამის ომისადმი პროტესტს გამოხატავდა, მაგრამ შემდეგ განზოგადდა და საერთოდ, სამყაროში ძალადობრივი მოქმედების წინააღმდეგ მოწოდებად იქცა. ვიეტნამის ომი ისედაც რევოლუციურად განწყობილი თაობისათვის გამოწვევის ტოლფასი იყო. მან ბევრი რამ განაპირობა ამ მოვლენებში. ამბობდნენ: რომ არა ვიეტნამი, ვუდსტოკი არ იქნებოდაო. მაინც რას დაუპირისპირდა ასიათასობით ადამიანი? და რატომ დაინახეს მათ სამშობლოში აგრესორი? ამის გასარკვევად კონფლიქტის ისტორია უნდა გავიხსენოთ.

ფრანგი კოლონიზატორების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ, ვიეტნამი ორ ნაწილად, ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამად გაიყო. ტრადიციულად, ჩრდილოეთი საბჭოთა კავშირის გავლენის სფერო გახდა და კომუნისტური მმართველობა შემოიღო, სამხრეთს კი აშშ-მ აღუთქვა დახმარება. ჩრდ. ვიეტნამს სამხრეთის შეერთება სურდა და ქვეყანაში პარტიზანული მოძრაობა წამოიწყო. 1960 წლიდან მღელვარება იწყება. ამერიკის ნებართვით დასმულ მთავრობას გადატრიალება ემუქრება. ერთ-ერთ შეტაკებაში ამერიკის სამხედრო ნაწილი მარცხდება. 1964 წელს აშშ.-ს პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი კონგრესისგან იღებს ნებართვას სამხ. ვიეტნამის მთავრობის დასახმარებლად "გადადგას ნებისმიერი ნაბიჯი სამხედრო ძალის გამოყენების ჩათვლით". იწყება ომი.

ამერიკის მოსახლეობა სამხედრო კონფლიქტებში ქვეყნის მონაწილეობისას ყოველთვის მხარს უჭერდა და გულშემატკივრობდა ჯარს. მეორე მსოფლიო ომსა თუ კორეის დაპირისპირებაში ამერიკის ჩარევას სამართლიანობისათვის ბრძოლად აღიქვამდა და იწონებდა მთავრობის გადაწყვეტილებას. ვიეტნამის ომი პირველი იყო, როდესაც მოსახლეობა გვერდით არ დაუდგა ხელისუფლებას და მეტიც, აიძულა ომი შეეწყვიტა. ლინდონ ჯონსონის გადაწყვეტილება მომდევნო საპრეზიდენტო არჩევნებზე კენჭი აღარ ეყარა, სწორედ ამან გამოიწვია. რიჩარდ ნიქსონი კი, აშშ-ს შემდეგი პრეზიდენტი, იძულებული გახდა 1969 წლის იანვარში გამოეცხადებინა, რომ ომი ახალ ფაზაში გადავიდა. დაიწყო სამხედრო შენაერთების გამოყვანა რეგიონიდან. სრულად სამხედრო მოქმედებები 1972 წლის აგვისტოში შეწყდა. აშშ-ს სამხედრო ძალის დანაკარგი ვიეტნამში 58 ათასი მოკლული ჯარისკაცი, 304 ათასი დაჭრილი და 1 300 დაკარგული იყო.

ვიეტნამის ომი პირველი სატელევიზიო ომია. თითქმის ყველა არხზე ყოველ დღე გადაიცემოდა რეპორტაჟები მოვლენათა განვითარების ადგილიდან. აქამდე არც ერთი საომარი კონფლიქტი არ შუქდებოდა ასეთ დონეზე, ეს გარკვეულწილად ტექნიკური საშუალებების დახვეწამაც განაპირობა. საზოგადოება ჩართული იყო ომის მსვლელობაში. მშვიდობისა და სამართლიანობის იდეებით შეპყრობილი ახალგაზრდებისათვის ომი მიუღებელია. ანტისაომარმა აქციებმა მთელი ამერიკა მოიცვა. 1967 წლიდან თითქმის ყველა ქალაქში დემონსტრაცია ეწყობოდა ომის წინააღმდეგ. 1969 წელს ვაშინგტონში გამართულმა მსვლელობამ 250 ათასი ადამიანი შეაგროვა. საერთო ჯამში კი 1 მილიონზე მეტმა ადამიანმა გამოთქვა პროტესტი ომის მიმართ. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში ამის მიზეზი საომარ შეიარაღებაზე დახარჯული დიდი თანხები იყო. ბევრს ჯარისკაცების სიცოცხლე ენანებოდა. უმრავლესობას კი თავად ძალადობის ფაქტი აღშფოთებდა. ახალგაზრდებს აღარ სჯეროდათ მითებისა მსოფლიოში სამართლიანობისათვის მებრძოლი ამერიკის შესახებ. თითქოს ომი ვიეტნამელი ხალხის საკეთილდღეოდ მიმდინარეობდა. ყველა ხვდებოდა, რომ სინამდვილეში ორი ძლიერი სახელმწიფო, ორი იდეოლოგია ამერიკისა და საბჭოთა კავშირის სახით ერთმანეთს ებრძოდა, ვიეტნამელებს კი სახორცე მასალად იყენებდნენ, ისევე როგორც რიგით ამერიკელ ჯარისკაცებს, რომლებიც პოლიტიკოსთა ინტერესების გამო იღუპებოდნენ, ამის გამო გავრცელდა ფრაზა, რომ ომი ჯარისკაცებმა მოიგეს, პოლიტიკოსებმა კი წააგესო.

პირველად სწორედ ვიეტნამის ომმა შეარყია ამერიკელი ხალხის ნდობა ხელისუფლებისადმი. გაჩნდა ეჭვი, რომ მათ ატყუებენ, ყველაფერს არ ეუბნებიან, უყვებიან ზღაპრებს და ფარული ინტერესებისათვის იყენებენ. ეჭვქვეშ დადგა ამერიკის, როგორც მსოფლიო წესრიგისა და მშვიდობის დამამყარებელი ქვეყნის როლიც. მართლაც შეეძლო მას გაებედნიერებინა, დაეცვა ან სიკეთე მოეტანა სხვა ქვეყნებისთვის? ან იყო კი ამის საჭიროება?

დღეს ხშირად ადარებენ ერთმანეთს ვიეტნამისა და ერაყის ომებს. ეს ბუნებრივიც არის. შეიძლება პირობები განსხვავებულია, მაგრამ ამერიკის ხელისუფლება ისევ ძველი ზღაპრებით და უკვე სასაცილო მოტივით ცდილობს მსოფლიოს მოსახლეობის გაბრუებას. ამერიკის მოსახლეობის დიდი ნაწილი ისევ ობიექტურად აფასებს რეალობას; მართალია, ისეთი მასშტაბური საპროტესტო დემონსტრაციები აღარ იმართება, მაგრამ მნიშვნელოვანია თუნდაც, ხელოვანთა პროტესტი ომის წინააღმდეგ. თუმცა, საბოლოოდ შემოდგომაზე გაირკვევა ძლიერია თუ არა სალი აზრი მსოფლიოში.

60-იანი წლების ამერიკელი ახალგაზრდები ომს მხოლოდ საპროტესტო აქციებით არ დაუპირისპირდნენ. მშვიდობისმოყვარეთა ყველაზე ძლიერი იარაღი, რომელმაც ათწლეულებს გაუძლო როკი გახდა. ეს ის მუსიკა იყო, რომელმაც ყველა პროტესტი გააერთიანა და ის უმაღლეს, ხელოვნების ენაზე გამოხატა. როკი იმ თაობის საომარი ფრონტი იყო მთავრობასთან და ამ ომში მათ ტრიუმფით გაიმარჯვეს.

# ყავა და სიგარეტი

## პაუზების შესახებ

*ნიუ იორკში მოწევა ლამის მხოლოდ ქუჩაში შეიძლება. ოფისებსა თუ ბარებში ეს სასტიკადაა აკრძალული. ღამის კლუბების წინ, ყინვასა თუ ქარში, მწეველები ძაგძაგებენ და გალურჯებული თითებით მიაქვთ პირთან სანუკვარი სიგარეტები. ქვეყანაში, სადაც დამცემინებელთა და ძირგამოთხრილთა უფლებებსაც კი საუკეთესო ადვოკატები იცავენ, მწეველების უფლებები ყოველდღიურად ირღვევა. ნეტა, რატომ არავინ ჩხუბობს? რამ დააბეჩავა მწეველები?*





ჯიმ ჯარმუში საშინლად აღშფოთებულია იმის გამო, რომ ამ ქალაქში დახურულ სივრცეში მოწევა აკრძალულია.

ალბათ იმიტომ, რომ მის ფილმს "ყავა და სიგარეტი" ჰქვია, რეჟისორმა ჯიმ ჯარმუშმა ჟურნალისტს ისტ ვილიჯის ერთ ყავახანაში შეხვედრა შესთავაზა.

"ყავა და სიგარეტი" თერთმეტი ეპიზოდისგან შედგება, რომლებშიც ტომ ვეითსი, რობერტო ბენინი, იგი პოპი, კეიტ ბლანშეტი, ბილ მიურეი, ალფრედ მოლინა, ჯეკ და მეგ ვაითი, ჯოი და კინკ ლიები (სპაიკ ლის და-ძმა) და სხვა მსახიობები ეწევიან, ყავას სვამენ, საუბრობენ და დუმან. საუბარი აუჩქარებელია, ყავა - ბლანტი, და ფილმის დამთავრების შემდეგ კინოდან გამოსულს ტანსაცმლის განიავების სურვილი უჩნდება, რადგან მთელი სეანსის განმავლობაში ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომ გაბოლილ ოთახში იყო გამომწყვდეული.

მაგრამ იმ ყავახანაში, რომელშიც "შპიგელის" ჟურნალისტი და ჯიმ ჯარმუში ერთმანეთს შეხვდნენ, სულ სხვა ვითარებაა. მაგიდებთან მსხდომთ რძიანი ყავა აქვთ შეკვეთილი. ისინი გაზეთებს კითხულობენ ან მსუბუქ ლეპტოპებში აქვთ თავი ჩარგული. საფერფლე არსად არ დგას, აქ არავინ ეწევა, რადგან მოქმედების ადგილი ნიუ იორკია, არამწეველთა ქალაქი. თამბაქოს სუნი აქ მხოლოდ თავად ჯარმუშს უდის, მის ჯინსის პერანგს - ეს-ესაა, ქუჩაში მოსწია.

"ყავა და სიგარეტში" სულ სხვა ვითარებაა. ეს შავ-თეთრი ფილმია, და მშვიდად მწეველი და მობაასე ადამიანები თითქოს სხვა ეპოქის, დიდი ხნის წინათ გარდასულ დროთა შვილები არიან.

ჯიმ ჯარმუში საშინლად აღშფოთებულია იმის გამო, რომ ამ ქალაქში დახურულ სივრცეში მოწევა აკრძალულია. "ნეტა, შემდეგს რას აკრძალავენ ჩვენს ბარებში, დალევას თუ ლაპარაკს?" "შპიგელის" კორესპონდენტი, რომლის წყალობითაც მის საუბარს ყური ჩვენც მოვკარით, კაფეს იდილიურად აღწერს: ჭერში ვენტილატორი ტრიალებს, დაბალ ხმაზე მაილს დევისი ჟღერს, ჯარმუშის უკან მჯდომი ყმაწვილი ბობ დილანის ბიოგრაფიას კითხულობს... ერთხელ ჯარმუშს უთქვამს: "სიგარეტი და ყავა ძლიერი ნარკოტიკებია, ადამიანო! ამას არც უარვყოფ. მე ნარკოტიკებს დიდ პატივს ვცემ".

ჯარმუში ნელა, ხმადაბლა ლაპარაკობს - ზუსტად ისე, როგორც მისი საავტორო ფილმების შემქმნელს ეკადრება. "ერთი სცენაა, სადაც ტომ ვეითსი და იგი პოპი მაგიდაზე დადებული კოლოფიდან თითო ღერ "მალბოროს" იღებენ. ამ ორმა იქვე იმპროვიზაცია დაიწყო. ორივე ამბობს, რომ მოწევას თავი დაანება. მე არ ვიცოდი, რომ მართლა ასე ყოფილა საქმე. ამ პატარა სცენამ ორივეს კვლავ მოწევა დააწყებინა. ტომი საშინელი მწეველი იყო, ღამე მალვიძარას აყენებდა ხოლმე, რომ გაეღვიძა და მოეწია - არ ვხუმრობ. მანაც და იგიმაც მერე ძალიან დაიჩივლეს, რომ მოწევა დაიწყეს. ამის მერე ყველა მსახიობს ვუთხარი, თუ არ ეწევით, არამწეველთა როლებს მოგცემთ-მეთქი. ეგენი ხომ ყველანი ჩემი მეგობრები არიან". საქმე ისაა, რომ "ვითომ მოწევა" რეჟისორს მიუღებლად მიაჩნია: "მძულს, როცა კინოში ვიღაცა ცდილობს, მოწევა ითამაშოს".

ერთი-ორჯერ თავად ჯარმუშსაც უცდია მოწევისთვის თავის დანებება, მაგრამ ამაოდ. ერთხელ ასეთი ექსპერიმენტიც ჩაუტარებია: საკუთარ თავს ყავის, ჩაის, შაქრის, ხორცის, თამბაქოს, ალკოჰოლისა და "სხვა ნარკოტიკების" მიღება აუკრძალა - აინტერესებდა, რა იქნებოდა მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თანმიმდევრობით დაიბრუნებდა თავისი ცხოვრების ამ განუყოფელ ნაწილებს. ერთი თვე კი გაუძლია, მაგრამ მერე კინაღამ გაგიჟდა. "მშიშარა, დეპრესიული და თან აგრესიული კაცი დავდექი. ჩემი შეყვარებული სახლიდან წავიდა". მართალია, ამის მერე ხორცი აღარასოდეს უჭამია და ქიმიურ ნარკოტიკებსაც არ გაჰკარებია, მაგრამ უსასმელობას და უსიგარეტობას ვერ გაუძლო.

ახლა ის ველარ იხსენებს, ამ შესვენების შემდეგ პირველად სიგარეტი მოწია თუ მარიხუანა. საუბრის დროსაც აშკარად უნოდა მოწევა, მაგრამ არ მოუწევია: კაფეში მოწევა, ცხადია, აკრძალულია.

ფილმის ერთ ეპიზოდში ტომ ვეითსი ამბობს, რომ მისი მშობლები სულ ყავასა და ნამცხვარს უსხდნენ, თავად ის კი ყავასა და სიგარეტს ამჯობინებს. ეს სცენა 1993 წელსაა გადაღებული. "ეს ფილმი მოწევასა და ყავის სმაზე არაა. საუბარია ერთ წვრილმანზე - პაუზებზე, იმაზე, რასაც ფილმებში, როგორც წესი, ყურადღებას არავინ ამახვილებს. მე კი სწორედ ეს მაინტერესებს," - ამბობს ჯარმუში.

დასაწყისში რობერტო ბენინი დაძაბული ეწევა, აკანკალებული ხელით მიაქვს პირთან ესპრესოს ჭიქა და კბილის ექიმთან შეხვედრის დროს უცვლის კაცს, რომელსაც კბილის ექიმის ეშინია. ერთ სცენაში ბილ მიურეი რესტორანში ყავადანიდან ხვრეპს ყავას. კეიტ ბლანშეტი ორმაგ როლს ასრულებს: კინოვარსკვლავს და მის უიღბლო ბიძაშვილს თამაშობს. ჯეკ ვაითი თავის ცოლს უხსნის, თუ როგორ მოქმედებს "ტესლა-ტრაფო".

ფილმს თითქოს არც დასაწყისი აქვს და არც დასასრული. ჯარმუში მას 17 წლის განმავლობაში აკეთებდა. ერთი სცენა მემფისშია გადაღებული, ერთი - ჩრდილოეთ კალიფორნიაში, დანარჩენი - ნიუ იორკში. "ფილმი ცოცხალი არსებაა, ის ცოცხლობს. როცა შეუცვლელი, დამტკიცებული სცენარი გაქვს, ფილმი მოსაწყენი და მკვდარი გამოდის," - ამბობს რეჟისორი. პირველი ეპიზოდები ქრონოლოგიურად მეტ-ნაკლებად დალაგებულია, მაგრამ ბოლოს ჯარმუში ამ პრინციპსაც ღალატობს. "როცა თერთმეტი ეპიზოდი გადავიღე, ვიფიქრე, ალბომისთვის საკმარისია-მეთქი," - ჰყვება ჯარმუში. ალბომთან შედარება შემთხვევითი როდია: ჯარმუშს მუსიკა უყვარს და თავის ფილმებში მუსიკოსებს ხშირად ათამაშებს ხოლმე. "უბრალოდ, მუსიკოსებს მსახიობებზე უკეთ ვიცნობ," - ჯარმუში თითქოს თავის გამართლებას ცდილობს. "კინო მუსიკას ძალიან ჰგავს. მას საკუთარი რითმი აქვს".

ამ ფილმის რითმი საუბრის რითმია, "საუბრისა, რომელშიც მრავალი პაუზაა". რეჟისორის თქმით, ყველაფერს თავისი მუსიკა აქვს, თოვლსაც. "მართლა ასეა! როცა სიჩუმეა, თოვლის მუსიკა ისმის".

ადრე ჯარმუშს უთქვამს, რომ 11 სექტემბრის შემდეგ ნიუ იორკი სასიკეთოდ შეიცვალა. ახლა ის სხვა აზრისაა. "ერთადერთი, რაც ქალაქს შერჩა, პარანოიაა," - ამბობს ის. მას პოლიტიკური "მიღწევების" შესახებ ფილმის გადაღების არავითარი სურვილი არ გააჩნია. "მე მინდა, რომ ჩემი ფილმები იდეების შესახებ მოგვითხრობდეს. ვის რა ჯანდაბად უნდა ბახისდროინდელი წარმატებული პოლიტიკოსის ცხოვრების ამბავი? ბახის მუსიკა კი ცოცხალია. ისე კი, თავად დაფიქრდით: ის, რაც ავლანეთში, ერაყში ან პალესტინაში ხდება, საშინელებაა, მაგრამ ეკოლოგიურ პრობლემებთან შედარებით ეს არაფერია; ერაყი არავის გაახსენდება, თუ ერთ დღეს აღმოჩნდება, რომ წყალი აღარ გვაქვს. ახლა ნავთობის გამო გიჟდებიან, მაგრამ უნავთობოდ ცხოვრება შეიძლება, უწყლოდ კი - არა. ალბათ, ისეთი დროც დადგება, როცა წყლის გამო ატყდება ომები".

...ამდენ უსიგარეტობას ჯარმუშმა ველარ გაუძლო. ის ქუჩაში გავიდა და სიგარეტი გააბოლა, American Spirit - ეკოლოგიურად სუფთა გზით მოყვანილი თამბაქოს ნაწარმი.

# ვერცხლი უკვე პროგრესია

პირველი გვერდიდან

ათენში 5500 მარტო მწერალი ჟურნალისტია ჩამოსული. ამ შეზღუდვის გამო, ქართველ ჟურნალისტთა კორპუსი იძულებული გახდა, კენჭი ეყარა და ის ორი უიღბლო გამოევლინა, რომელსაც ოლიმპიური თამაშების გახსნის ცერემონიალისთვის ტელევიზორით უნდა ეცქირა. უიღბლოები აღმოჩნდნენ - "ლელოს" რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე და "მთავარი გაზეთი სპორტის" მიმომხილველი ზურაბ თალაკვაძე. ისინი იმ დისიდენტ ჟურნალისტთა კოჰორტას შეუერთდნენ, რომელიც აპირებს, პასუხი მოსთხოვოს უპასუხისმგებლო ორგკომიტეტის შეფებს. თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში კი ამტკიცებენ, რომ შეზღუდვა მათ არ დაუწესებიათ, ბრძანება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიდან მოდის, რითაც ჟაკ როგემ ტელეკომპანია NBC-ის ასიამოვნა. "ტელეკომპანიამ ოლიმპიური თამაშების გახსნის ჩვენების ექსკლუზიური უფლება იყიდა და მას ხელს არ აძლევს, რომ გახსნა ბევრმა ჟურნალისტმა გააშუქოს, ამიტომაც სოკ-ს შეზღუდვები დააწესებინა", - აგვიხსნეს ორგკომიტეტში.

მეორე, არანაკლებ დიდი პრობლემა ისევ ორგკომიტეტს უკავშირდება და პრესცენტრის ცუდ ორგანიზებას ეხება. ვერ გეტყვით, ბილეთები ბოლომდე რომ არ გაიყიდა, იმიტომ, თუ სხვა მიზეზით - მაგრამ, ყველაფერი ფასიანია, მათ შორის - პრესცენტრში კომპიუტერის მომსახურებაც. ამას კიდევ გადაიტანდა კაცი, მაგრამ ბერძნებმა პრესცენტრში განთავსებულ კომპიუტერებზეც მონოპოლია დააწესეს. მათ პრესცენტრის დაქვემდებარებაში არსებული ყველა კომპიუტერი ერთი თვით გააქირავეს და ახლა, ვისაც ინტერნეტით სარგებლობა მოუნდება, საკუთარი კომპიუტერი უნდა ჰქონდეს. ანალოგიური მდგომარეობაა ყველგან - სასტუმროებსა თუ კოტეჯებში. ამის გამო, ალტერნატიული პრესცენტრი და ინტერნეტ კაფეები, რომლებიც ათენის ცენტრშია განლაგებული, იმდენად გადატვირთულია, რომ მათ იმედზე ყოფნა დროის ფუჭად კარგვაა. ჟურნალისტთა პროტესტის ერთ-ერთი მიზეზი ეს დაუდევრობაც გახდა. ორგკომიტეტში ამბობენ, რომ, სამწუხაროდ, არაფრის შეცვლა არ შეუძლიათ.

ცალკე პრობლემაა ის, რომ ბილეთები სრულად არ გაიყიდა და არავინ იცის, საბერძნეთის მთავრობა ამ ზარალის ასანაზღაურებლად რა ტრიუკს მოიგონებს - ესეც შიშის საბაბია. და ბოლოს ის, რომ ოლიმპიადის შემდეგ ბევრი ადამიანი ქუჩაში აღმოჩნდება. ბევრი ათენელი ოთხი წლის განმავლობაში თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში მუშაობდა. ოლიმპიადის შემდეგ კი ისინი უმუშევრები დარჩებიან. ათენელებმა ამ დავიდარაბას მყუდრო ადგილებზე გასვლა ამჯობინეს და ქალაქი, როგორც გვეუბნებიან, უჩვეულოდ ცარიელია. აქ, ძირითადად, უცხოელ ტურისტებს თუ შეხვდებით.

### 12 აგვისტო
### თბილისი - ათენი

საქართველოს დელეგაცია თბილისის აეროპორტში 12 აგვისტოს გამთენიისას შეიკრიბა. ძიუდოისტებმა, ჩოგბურთელმა, ტყვიის მსროლელმა, მოცურავემ, ძალოსნებმა, მძლეოსნებმა, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელებმა, ადმინისტრაციული ჯგუფის წევრებმა, ახალგაზრდული ბანაკის წევრებმა და ჟურნალისტებმა სარეგისტრაციო პუნქტთან მოიყარეს თავი.

ბუნებრივია, ყველას ათენის ოლიმპიური თამაშები და მედლები ეკერა პირზე. რატომღაც, ყველა დარწმუნებულია, რომ ქართველი სპორტსმენები ოქროს აიღებენ. ზოგი ძველ, სვებედნიერ დროსაც იხსენებს, როცა ქართველები ოლიმპიური ჩემპიონები ხდებოდნენ.

- დავით, - ეკითხება კოტე გაბაშვილი დავით გობეჯიშვილს, - რომ იჭიდაო, ოქროს მოიგებ?

- ვერა, - გადაჭრით უპასუხა გობეჯიშვილმა, - თუმცა, ახლა იმდენ ფულს იძლევიან, ვფიქრობ, ვარჯიში დავიწყო თუ არა.

ამასობაში რეგისტრაცია გავიარეთ და თვითმფრინავისკენ ავიღეთ გეზი.

- ნესტორ! უშენოდ ოლიმპიადა არ იწყება.

- რატომ? - უკვირს ძიუდოისტ ნესტორ ხერგიანს.

- იმიტომ, რომ თამაშებს შენ ხსნი.

- რას ამბობ, მე მხოლოდ მეორე ოლიმპიადაზე მივდივარ. აბა, წინათ როგორ იყო?

- დაანებეთ ამ კაცს თავი, მეორე ოლიმპიადაზე მიდის და თამაშებს არ დასწრებია.

- ნესტორ, - საუბარში ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი ჩაერია, - მოდი, ვითომ, ოლიმპიადა კი არა, რაღაც რიგითი ტურნირია. წარმოიდგინე?

- ჰო.

- ჰოდა, თუ წარმოიდგინე, გადი ტატამზე და უბრალოდ იჭიდავე, ოლიმპიადაზე არ იფიქრო.

- მე კი შევეცდები, მაგრამ ვნახოთ. წინა თამაშებზე რაღაც პრობლემები შემექმნა. ახლა, თითქოს, ყველაფერი წესრიგშია. მოკლედ, ვნახოთ.

ამასობაში თვითმფრინავში ჩავსხედით და სამსაათიანი მგზავრობის შემდეგ ათენის აეროპორტში დავეშვით. ყველა თავის საცხოვრებლის მიხედვით განაწილდა.

12 აგვისტო პროგრამულად გადატვირთული დღე იყო, ამიტომ, დავბინავდით თუ არა, მაშინვე მთავარი პრესცენტრისკენ ავიღეთ გეზი, საიდანაც ავტობუსი ნებისმიერი ოლიმპიური ობიექტის მიმართულებით მიემგზავრება. 5 საათზე ოლიმპიურ სოფელში საქართველოს დროშის აღმართვის საზეიმო ცერემონიალი იმართებოდა. საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელს ლერი ხაბელოვს, პატივისცემის ნიშნად, ზეითუნის ზეთში ჩადებული დაფნის ფოთოლი გადასცეს (ძველად ხომ დაფნის გვირგვინი მხოლოდ რჩეულებს გადაეცემოდათ) და ჩვენი ქვეყნის დროშაც საზეიმო ვითარებაში აღმართეს. აჟღერდა საქართველოს ახალი ჰიმნი. ვიმედოვნებთ, რომ არა - უკანასკნელად. ხუთჯვრიანი დროშის გვერდით გრენადის, სეიშელის კუნძულების, სურინამისა და ჩეხეთის სახელმწიფო დროშები აღიმართა.

20:30 საათზე ქართული სახლის გახსნა იყო დაგეგმილი. ამიტომ, საქართველოს დელეგაციის წევრებმა ქართული სახლისკენ გასწიეს. ჟურნალისტები, როგორც ხშირად ხდება, ყველას გადავავიწყდით, და დავრჩით უცხო ქალაქში მარტონი. საქმე ის არის, რომ ოლიმპიური სოფელი ქალაქის ერთ ბოლოში მდებარეობს, ქართული სახლი კი მეორე ბოლოში. სამწუხაროდ, ქართულ სახლთან ახლოს ოლიმპიური ობიექტი არ არის, რომ სპეციალური ტრანსპორტით უპრობლემოდ მივსულიყავით. ამიტომ, საკუთარი ძალებით მოგვიხდა ამ ტერიტორიის დაძლევა.

### მაია და თინათინი

ქართულ სახლამდე ვერ მივაღწევდით, მაია ფუტკარაძე და თინათინ დარახველიძე რომ არ დაგვხვედროდნენ. ორივე ქართველი გოგონა ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტში მოხალისედ მუშაობს, ყოველგავრი ანაზღაურების გარეშე. ასეთი მოხალისე ათენში 160 ათასია. ქართველები საბერძნეთის დედაქალაქში, უკვე 7 წელია, ცხოვრობენ.

"საქართველოდან 1995 წელს წამოვედი. აქ ჩემს პატარა დაიკოსთან ერთად ვცხოვრობ. ბათუმში კი მშობლები მყავს. ცოტა ხნით ათენის უნვიერსიტეტში ვისწავლე, შემდეგ კი თამაშების საორგანიზაციო კომიტეტს გამოვეხმაურე და მოხალისედ ჩავეწერე", - ამბობს მაია ფუტკარაძე.

"ჩვენ გვევალება ყველა მსურველის დახმარება და, ასე ვთქვათ, გზაზე დაყენება. მეც ათენის უნივერსიტეტში ვსწავლობდი. აქ სამჯერ ჩამოვიყვანე გასტროლებზე სუხიშვილების ანსამბლი, ერთხელ კი - თბილისის პანტომიმის თეატრი", - გვეუბნება თინათინ დარახველიძე.

ქართულ სახლში მისასვლელად ყველა შესაძლო ტრანსპორტი გამოვიყენეთ. ათენის ახალ მეტროში ლიფტითაც კი ვიმგზავრეთ და სამსაათიანი გადაადგილების შემდეგ დანიშნულების ადგილს მივაღწიეთ. იქ გაღიმებული სახეებით შეგვეგებნენ. ქართული სახლის პრეზენტაციამ კარგად ჩაიარა და ბოლოს ტრადიციული ფურშეტით დასრულდა. საბედნიეროდ, უკან გზაზე პრობლემა ნაკლები იყო. ჩვენი დაბინავება საბერძნეთში საქართველოს საელჩომ იკისრა და საელჩოს თანამშრომელმა გიგი გიგიაძემ "აგიოს ანდრეასამდე" მანქანით მიგვაცილა. თუმცა, ვიდრე ამ ახალგამომცხვარი სოფლის გზას მივაკვლევდით, 1,40 საათის მგზავრობის შედეგად ღამის ათენიც დავათვალიერეთ.

### დიდი ფიესტა

ოლიმპიური თამაშების საზეიმო გახსნა უზარმაზარი ემოციისა და შთაბეჭდილების ფონზე წარიმართა და ამას ბერძნები, პირველ რიგში, წარმოდგენის რეჟისორს პაპაიოანუს უნდა უმადლოდნენ. მისმა ჩაფიქრებულმა სპეცეფექტებმა ხალხს ცრემლები მოჰგვარა. წარმოდგენის შემდეგ ბერძნული საზოგადოება და ჩამოსული სტუმრები ერთად ულოცავდნენ პაპაიოანუს ნოვატორულ მიგნებას - მან ხომ ანტიკური ხანისა და თანამედროვე ბერძენთა ხასიათის თავისებურებებისა და ტრადიციების შერწყმა და ამ ყველაფრის ავანგარდულ ჭრილში წარმოდგენა შეძლო.

გახსნის ცერემონიალი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგემ "სირტაკს" შეადარა. "იწყება სირტაკივით მშვიდად და ბოლოს, ბერძნული ემოციების შესაბამისად, ბომბივით ფეთქდება", - ბრძანა მან. ბერძნებმა გახსნის დღე დღესასწაულად გამოაცხადეს და ათენში 13 აგვისტოს ყველა მაღაზია დაიკეტა; მუშაობდა მხოლოდ სტადიონი და პრესცენტრი.

საორგანიზაციო კომიტეტმა ისე მოაწყო, რომ საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობა მაყურებელმაც მიიღო. ყველა მათგანს ტრიბუნაზე დახვდა ჩანთა, რომელშიც ფანრის მსგავსი შუქურა და ზარი იყო ჩადებული. სპეციალურად ამ საქმისთვის გამოყოფილი "ლიდერის" ნიშანზე მაყურებლები შუქურას ანთებდნენ და ზარს ახმაურებდნენ, რაც დაუვიწყარ ეფექტს ქმნიდა.

წარმოდგენა გულისცემის მსგავსი ხმით დაიწყო. ეს იყო საბერძნეთის გულისცემა - ნიშანი იმისა, რომ, ყველაფრის მიუხედავად, საბერძნეთი ცოცხალია. პირველი დიდი ეფექტი ოლიმპიური რგოლების დანთებამ და სტადიონზე დამონტაჟებულ ზღვაში ქაღალდის გემის გამოჩენამ შექმნა. ამით რეჟისორს სურდა, ეთქვა, რომ როგორც ზეციური ცეცხლი გარდამოდის ციდან, თითქოს, ოლიმპიური ცეცხლიც ასე გადმოვიდა ათენის ოლიმპიურ სტადიონზე.

კენტავრის გამოჩენამ კი, რომლის ნატყორცნ ისარს აპოლონის ქანდაკების ამოსვლა მოჰყვა, სრულიად აღაფრთოვანა მაყურებელი. ამის შემდეგ მაყურებლის წინაშე გადაიშალა საბერძნეთის ისტორია დასაბამიდან დღემდე და ოლიმპიური დელეგაციების წარდგენაც დაიწყო. საქართველოს დელეგაცია სრული შემადგენლობით ვერ გამოვიდა. ნესტორ ხერგიანი ოლიმპიურ სოფელში დარჩა, ხოლო ბერძნულ-რომაული და თავისუფალი სტილით მოჭიდავეები ათენში გვიან ჩამოვიდნენ.

ჩვენთვის - ქართველებისთვის, მთელი ამ საღამოს გვირგვინი ოლიმპიური ცეცხლის დანთებამდე იყო, როცა ოლიმპიური სტადიონის სარბენ ბილიკზე ჩირაღდნით ხელში სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი გამოჩნდა. ეს ნამდვილი სიურპრიზი და სიამაყის საფუძველი გახდა.

### უკეთ, ვიდრე სიდნეიში

ოლიმპიური დევიზი, რომელიც საქართველოს ნაკრებმა ათენში გამგზავრებამდე დაისახა მიზნად, შესრულებულია. "უკეთ, ვიდრე სიდნეიში" - პირველივე დღეს განხორციელდა. ნესტორ ხერგიანმა 60კგ. წონით კატეგორიაში ვერცხლის მედალი მოიგო და ჩვენი ქვეყნის ნაკრების წარმატების მყარი საფუძველი შექმნა. ჟურნალისტები ვხუმრობდით კიდეც, - მისია შესრულებულია, აქ რაღა გვინდა, შეგვიძლია, სამშობლოშიც დავბრუნდეთ-თქო.

ნესტორ ხერგიანი შეჯიბრის შემდეგ იტყვის: ადგილები, ალბათ, ისე განაწილდა, როგორც მოსალოდნელი იყოო. "ტადაშირო ნომურას დამარცხება, პრაქტიკულად, შეუძლებელია. მას, შემთხვევით, მისსავე შეცდომაზე თუ გამოიჭერ, თორემ სხვანაირად წარმოუდგენელია. მე ვულოცავ მას გამარჯვებას. არადა, ერთ მომენტში შანსი მქონდა; თითქოს, ხელიც მძლავრად შევჭიდე, მაგრამ, როგორც სჩვევია ხოლმე, ოსტატურად დაიძვრინა თავი", - ჰყვება ათენის ოლიმპიური თამაშების

გაგრძელება B5 გვერდზე





ხერგიანის ამ ილეთს ფინალური საგზური მოჰყვა.

# სველ-სველი რეკორდები

გიგა გურასაშვილი

*ოლიმპიურ თამაშებზე მოსახვედრად ბევრი წელებზე ფეხს იდგამს, მაგრამ არაფერი გამოსდის. არადა, ზოგიერთები უმთავრეს სარბიელზე მეორედ ან მესამედაც ასპარეზობენ. ძალიან ცოტაა ისეთი, ვინც მეოთხედ მონაწილეობს; ორი მოცურავე კი წელს უკვე მეხუთედ გადაეშვება ოლიმპიურ წყალში, რაც ძალზე დიდი იშვიათობაა. იშვიათობაა, რადგან მოცურავეთა ასაკი მკაცრადაა განსაზღვრული. წარმატების მიღწევის შანსი ხომ 28-29 წლამდე შეიძლება ჰქონდეს მოცურავეს და ისიც - უკეთეს შემთხვევაში. თუმცა, არიან გამონაკლისები, რომლებიც არც ასაკობრივ ზღვარს ეპუებიან. ერთი სიტყვით, ათენი და ცისფერი ბილიკები - თანაც, რამდენიმე მსოფლიოს რეკორდი "დასველდა".*

ამბობენ, - კანონი მკაცრია, მაგრამ კანონიაო. არადა, ხანდახან კანონებს პარადოქსებამდეც მივყავართ; თან, კანონიც იმისთვის არსებობს, რომ დაირღვეს.

როდესაც სამხრეთ ნახევარსფეროში ავსტრალიელები საათენო გუნდს კრებდნენ, მწვანე კონტინენტის წარმომადგენელთა ერთ-ერთმა უმთავრესმა იმედმა, "ტორპედოდ" წოდებულმა სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, იან ტორპმა 400 მეტრზე "თავისუფალში" კვალიფიკაცია ჩააგდო. სასტარტო ბაქანზე შემდგარმა ორჯერ ფალსტარტით გამოიჩინა თავი და, შედეგად, კვალიფიკაციიდან მოიხსნა. ანუ, იან ტორპი საფირმო დისციპლინის გარეშე დატოვეს, მაგრამ... ავსტრალიის საწყლოსნო სახეობათა მამებმა ბევრი იმსჯელეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, გაეთვალისწინებინათ ტორპის დამსახურებები და აღნიშნულ დისციპლინაში საათენო განაცხადში შეიყვანეს და არც უნანიათ - 400 მეტრზე "თავისუფალში" იან ტორპმა ათენური "ოქრო" 3.43,10 წუთში დაისაკუთრა. უჩვეულო კი ის გახლდათ, რომ ავსტრალიელი საკუთარ მსოფლიო რეკორდს სამი წამით ასცდა



ფელპსი მედლების გროვებას იწყებს.

- ისეთი მარდი ვერ აღმოჩნდა, როგორც - აქამდე. უჩვეულო იყო ისიც, რომ მეოთხე ოლიმპიურმა "ოქრომ" ტორპს გული აუჩუყა და ცრემლი მოჰგვარა. სხვა დროს ტიტულოვანი ავსტრალიელი ასეთ გულჩვილობას არასოდეს ამჟღავნებდა და გამარჯვებებს ჩვეული გულგრილობით ხვდებოდა. არადა, სიდნეის თამაშების შემდეგ მას კარიერისთვის თავის დანებება სურდა...

ისე კი, სახელოვან ავსტრალიელს, ლამის, თანამემამულე გრანტ ჰეკეტმა წაართვა პირველობა (3.46,36). ჰეკეტისგან მეორე ადგილი ყურადსაღებია იმითაც, რომ მისი საფირმო დისციპლინა 1500 მეტრია და არა - 400.

საერთოდ, ტრადიციულად, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიურ თამაშებზე გუნდურ პირველობაში ავსტრალიელები და ამერიკელები ერთმანეთს ტოლს არ უდებენ. ერთადერთხელ იყო, რომ ავსტრალიამ ისტორიულ მეტოქეს მოპოვებული მედლების რაოდენობით აჯობა; აჯობა ავსტრალიაშივე, მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე 1956 წელს. იმ დროიდან ოზები ბევრჯერ წამოეწივნენ იანკებს, მაგრამ პირველობა მაინც ვერ ჩამოართვეს. ასე რომ, ავსტრალიისა და აშშ-ის დუელი ახლაც გრძელდება.

პირველი დღის შედეგების მიხედვით, მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა მოიგეს. რაკი დუელი ვახსენეთ, ისიც ვთქვათ, რომ ათენის ოლიმპიურ წყალში ერთი გამორჩეული დუელი უკვე მიმდინარეობს - იან ტორპი ამერიკელი მაიკლ ფელპსის წინააღმდეგ; გნებავთ, პირიქით. მათი გზები დღეს 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში გადაიკვეთება. გუშინდელ ნახევარფინალურ გაცურვაში ტორპმა იმარჯვა.

ფელპსი, რომელსაც აქამდე ოლიმპიური "ოქრო" არ ჰქონია, ათენს ფრიად ამბიციური მიზნით ეწვია - 19 წლის ამერიკელს რვა ოქროს მედლის დაუფლება განუზრახავს! ისე, ომახიანად კი დაიწყო - პირველივე დღეს 400 მეტრზე კომპლექსურში თავისივე მსოფლიოს რეკორდი (4.08,41) გააუმჯობესა - 4.08,26.

შაბათს შეჯიბრების პირველ დღეს ხუთი მსოფლიოს რეკოდი დაემხო - სამი ძალოსნობაში და ორი ცურვაში. მოცურავეთა მეორე რეკორდი კი ავსტრალიელი ქალების დამსახურებაა, რომლებმაც 4X100 "თავისუფალში" წყალი, ლამის, დუღილის ზღვრამდე მიიყვანეს. ელის მილსმა, ლიზბეთ ლენტონმა, პეტრია ტომასმა და, განსაკუთრებით, ჯოდი ჰენრიმ, რომელმაც საოცარი სისწრაფე განავითარა, მოცილე ამერიკელებს შანსი არ დაუტოვეს. ჯოდი ჰენრი მეტოქეებს შორის კომეტასავით მიაპობდა "ტალღებს", გასწვრივ მცურავი რვაგზის ოლიმპიური ჩემპიონი ჯენი ტომპსონიც ბავშვივით ჩამოიტოვა და... მსოფლიოს რეკორდი (3.59,40) დაამყარა.

ვერ გეტყვით, ბედის ირონიაა თუ რა, მაგრამ ჯენი ტომპსონი რვავე ოლიმპიურ "ოქროს" ესტაფეტებით დაეუფლა. შეიძლებოდა, ცხრაგზის ოლიმპიურ ჩემპიონთა შესანიშნავ ოთხეულს ტომპსონიც შეერთებოდა, მაგრამ, ავსტრალიელებმა ტომპსონსა და კომპანიას - ჯოის კარა ლინს, ნატალი ქაუგლინს და ამანდა ვეირს გზა გადაუღობეს. მიუხედავად ამისა, 31 წლის მოცურავისთვის, რომლისთვისაც ათენის ოლიმპიური თამაშები რიგით მეოთხეა, კარიერის მესამე ვერცხლის მედალიც არ უნდა იყოს ურიგო.

იმავე დღეს ფავორიტთაგან ჩემპიონობა მოიპოვა კომპლექსურების დედოფალმა, ორგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, უკრაინელმა იანა კლოჩკოვამ (4.34,83); თუმცა, 400 მეტრზე კომპლექსურში პირველობისთვის საკმაო ჯაფა დაადგა. ამერიკელ კეტლინ სანდენოსთან და არგენტინელ გეორგინა ბარდახთან ორთაბრძოლა, პრაქტიკულად, ერთი გრაფიკით მიმდინარეობდა.

რეკორდის გარეშე არც გუშინდელ დღეს ჩაუვლია. ერთგვარი სიურპრიზი სამხრეთაფრიკელებმა შემოგვთავაზეს - ვაჟთა 4X100 "თავისუფალ" გაცურვაში მოხდა ისე, რომ შავი კონტინენტის წარმომადგენლებმა - მარკ როლან შუმანმა, ლინდონ ფერნსმა, დარიან თაუნსენდმა და რიკ ნითლინგმა ჰოლანდიელებსაც მოუგეს, ამერიკელებსაც და ავსტრალიელებსაც; თან მოგებაცაა და მოგებაც - ზემოთ ჩამოთვლილ ვეშაპებთან ჭიდილში გამარჯვებასთან ერთად მსოფლიოს რეკორდიც დაამყარეს - 3.13,17.

ორი დღის შედეგების მხრივ, მედლების ხარისხობრივი მაჩვენებლებით, პირველობა ავსტრალიელებს უკავიათ, მეორეზე კი ამერიკლები არიან.

# ვერცხლი უკვე პროგრესია

B4 გვერდიდან

ვერცხლის პრიზიორი.

ტადაშირო ნომურა კი უკვე სამგზის ოლიმპიური ჩემპიონია. იუნიორთა ასაკის შემდეგ მას, თითქმის, არასოდეს წაუგია. ყოველ შემთხვევაში, მე არ მახსოვს.

ნომურა ლეგენდად არის ქცეული, მაგრამ ჩვენ მას შემდეგ, რაც ნესტორ ხერგიანი ფინალში გავიდა, თითქოს თავს ვიმშვიდებდით და, ტოტალიზატორის მოყვარულთა მსგავსად, ვფიქრობდით, - ნომურას არასოდეს წაუგია და დროა, რომ ახლა წააგოს-თქო. მაგრამ, როგორც ამბობენ, თავს ზევით ძალა არ იყო. ლეგენდარული იაპონელი ძიუდოისტი მეტისმეტი აღმოჩნდა ნესტორისთვის.

სხვათა შორის, ნომურამ თავისი ყველა მეტოქე იპონით, დროზე ადრე დასცა ტატამზე. ზოგი- 14, ზოგი - 23 და ზოგიც 53 წამში. ერთადერთი, ვინც იაპონელს ბოლომდე, ღირსეულად გაუძლო, სწორედ ქართველი ხერგიანი იყო. აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ნომურამ მას ვერც ერთი "მუშა ქულა" ვერ აართვა და ნესტორი მხოლოდ და მხოლოდ პასიური ჭიდაობის გამო მიღებული გაფრთხილებებით დამარცხდა. ბუნებრივია, ქართველი ფალავანი ძალიან ფრთხილობდა და მისი პასიურობის მიზეზიც ეს გახლდათ. ნომურას წინააღმდეგ გახსნილი ჭიდაობა მეტად რთულია. ის ძალიან სწრაფი და ტექნიკური მოჭიდავეა და, საბოლოო ჯამში, დამსახურებულადაც გაიმარჯვა. თუმცა, არც ქართველები ვართ გულდაწყვეტილნი - პირველივე დღეს ვერცხლის მედალი არც ისე ცუდია.

როგორც ქართველებს სჩვევიათ, ნესტორმა ინერტულად დაიწყო ჭიდაობა. პირველ წრეში მისი მეტოქე გაესპანელებული იაპონელი იომაცუ იყო. იაპონელი მაინც იაპონელია და, მის წინააღმდეგ ბრძოლა ნესტორს საკმაოდ გაუჭირდა, თუმცა, დამატებით დროში მაინც მოახერხა მეტოქის ძლევა.

შემდეგ იყო რუსი სტანევი. ნესტორმა თავიდან გვარიანად გვანერვიულა. "მარჯვენა, მარჯვენა, - უყვიროდა მას შოთა ხაბარელი, - მარჯვენა ამუშავე! კისრულზე არ ჩაგიწვეს", - არ ცხრებოდა მწვრთნელი და მას არც გაემტყუნებოდა. ამ შეხვედრაში გამარჯვებული ხომ ნახევარფინალში გადიოდა, საიდანაც ერთი ნაბიჯიღა რჩება. ნესტორმა საბოლოოდ ევგენი სტანევს არავითარი შანსი აღარ დაუტოვა - ისე აბურთავებდა, რომ ერთი კოკაც არ აალებინა. ვაზარი, იუკო და ორი კოკა - ასეთი იყო ხერგიანის მონაგარი. ასე და ამრიგად,

**14 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| **ველოსპორტი** | | |
| სამგზავრო რბოლა | | ვაჟები |
| ოქრო | პაოლო ბეტინი | იტალია |
| ვერცხლი | სერჟიო პაულინიო | პორტუგალია |
| ბრინჯაო | აქსელ მერქსი | ბელგია |
| **წყალში ხტომა** | | |
| სინქრონული ხტომები. 10მ. კოშკური | | ვაჟები |
| ოქრო | ლიანგ ტიანი - ჯინჰუი იანგი | ჩინეთი |
| ვერცხლი | პიტერ უოტერფილდი - ლეონ ტეილორი | ბრიტანეთი |
| ბრინჯაო | მეთიუ ჰელმი - რობერტ ნიუბერი | ავსტრალია |
| სინქრონული ხტომები. 3მ. ტრამპლინი | | ქალები |
| ოქრო | ჯინგჯინგ გუო - მინქსია ვუ | ჩინეთი |
| ვერცხლი | ვერა ილინა - იულია პახალინა | რუსეთი |
| ბრინჯაო | ირინა ლაშკო - შანტელ ნიუბერი | ავსტრალია |
| **ფარიკაობა** | | |
| ხმალი, ინდივიდუალური. ვაჟები | | ვაჟები |
| ოქრო | ალდო მონტანო | იტალია |
| ვერცხლი | ზოლტ ნემჩიკი | უნგრეთი |
| ბრინჯაო | ვლადისლავ ტრეტიაკი | უკრაინა |
| **ძალოსნობა** | | |
| 48კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | ნურჰან ტაილანი | თურქეთი |
| ვერცხლი | ლი ჟუო | ჩინეთი |
| ბრინჯაო | არი ვირატჰავორნი | ტაილანდი |
| **ცურვა** | | |
| კომპლექსური. 400მ. | | ვაჟები |
| ოქრო | მაიკლ ფელპსი | აშშ |
| ვერცხლი | ერიკ ვენდტი | აშშ |
| ბრინჯაო | ლასლო ჩები | უნგრეთი |
| თავისუფალი სტილი. 400მ. | | ვაჟები |
| ოქრო | იან ტორპი | ავსტრალია |
| ვერცხლი | გრანტ ჰეკეტი | ავსტრალია |
| ბრინჯაო | კლეტ კელერი | აშშ |
| კომპლექსური. 400მ. | | ქალები |
| ოქრო | იანა კლოჩკოვა | უკრაინა |
| ვერცხლი | კეტლინ სანდენო | აშშ |
| ბრინჯაო | ჯეორჯინა ბარდახი | არგენტინა |
| 4x100მ. თავისუფალი სტილი | | ქალები |
| ოქრო | ავსტრალია | |
| ვერცხლი | აშშ | |
| ბრინჯაო | ჰოლანდია | |
| **ძიუდო** | | |
| 60კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | ტადაჰირო ნომურა | იაპონია |
| ვერცხლი | ნესტორ ხერგიანი | საქართველო |
| ბრინჯაო | ჩოი მინ-ჰო | სამხ. კორეა |
| | ხაშბაატარ ცაგაანბაატარი | მონღოლეთი |
| 48კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | რიოკო ტანი | იაპონია |
| ვერცხლი | ფრედერიკ ჟოსინე | საფრანგეთი |
| ბრინჯაო | იულია მატიასი | გერმანია |
| | გაო ფენგი | ჩინეთი |
| **ტყვიით სროლა** | | |
| პნევმატური პისტოლეტი. 10მ. | | ვაჟები |
| ოქრო | ვან იფუ | ჩინეთი |
| ვერცხლი | მიხაილ ნესტრუევი | რუსეთი |
| ბრინჯაო | ვლადიმირ ისაკოვი | რუსეთი |
| პნევმატური შაშხანა. 10მ. | | ქალები |
| ოქრო | დუ ლი | ჩინეთი |
| ვერცხლი | ლუბოვ გალკინა | რუსეთი |
| ბრინჯაო | კატერინა კურკოვა | ჩეხეთი |

**15 აგვისტო**

| | | |
|---|---|---|
| **ტყვიით სროლა** | | |
| პნევმატური პისტოლეტი 10მ. | | ქალები |
| ოქრო | ოლენა კოსტევიჩი | უკრაინა |
| ვერცხლი | იასნა შეკარიჩი | სერბეთი |
| ბრინჯაო | მარია გროზდევა | ბულგარეთი |
| [illegible] სროლა | | ვაჟები |
| ოქრო | ალექსეი ალიპოვი | რუსეთი |
| ვერცხლი | ჯოვანი პელიელო | იტალია |
| ბრინჯაო | ადამ ველა | ავსტრალია |
| **ძიუდო** | | |
| 66კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | მასატო უჩიშიბა | იაპონია |
| ვერცხლი | იოზეფ კრნაჩი | სლოვაკეთი |
| ბრინჯაო | გეორგი გეორგიევი | ბულგარეთი |
| | იორდანის არენსიბია | კუბა |
| 52კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | სიან დონგმეი | ჩინეთი |
| ვერცხლი | იუკი იოკოსავა | იაპონია |
| ბრინჯაო | ამარილის სავონი | კუბა |
| | ილსე ხეილენი | ბელგია |
| **ძალოსნობა** | | |
| 53კგ. წონითი კატეგორია | | ქალები |
| ოქრო | უდომპორნ პოლსაკი | ტაილანდი |
| ვერცხლი | რაემა ლისა რუმბევასი | ინდონეზია |
| ბრინჯაო | მაბელ მოსკერა | კოლუმბია |
| 56კგ. წონითი კატეგორია | | ვაჟები |
| ოქრო | ჰალილ მუტლუ | თურქეთი |
| ვერცხლი | მეიჯინ ვუ | ჩინეთი |
| ბრინჯაო | სედატ არტუჩი | თურქეთი |
| **ველოსპორტი** | | |
| სამგზავრო რბოლა | | ქალები |
| ოქრო | სარა კარიგანი | ავსტრალია |
| ვერცხლი | იუდიტ არნდტი | გერმანია |
| ბრინჯაო | ოლგა სლიუსარევა | რუსეთი |
| **ფარიკაობა** | | |
| შპაგა ინდივიდუალური. ქალები | | ქალები |
| ოქრო | ტიმეა ნაჯი | უნგრეთი |
| ვერცხლი | ლორა ფლესელ-კოლოვიჩი | საფრანგეთი |
| ბრინჯაო | მაურინ ნისიმა | საფრანგეთი |
| **ცურვა** | | |
| ბატერფლაი. 100მ. | | ქალები |
| ოქრო | პეტრია ტომასი | ავსტრალია |
| ვერცხლი | ოტილია იენდჟეიჩაკი | პოლონეთი |
| ბრინჯაო | ინგე დე ბრაინი | ჰოლანდია |
| ბრასი. 100მ. | | ვაჟები |
| ოქრო | კოსუკე კიტაჯიმა | იაპონია |
| ვერცხლი | ბრენდან ჰანსენი | აშშ |
| ბრინჯაო | ჰიუგ დიუბოსკი | საფრანგეთი |
| თავისუფალი სტილი. 400მ. | | ქალები |
| ოქრო | ლორ მანოდუ | საფრანგეთი |
| ვერცხლი | ოტილია იენდჟეიჩაკი | პოლონეთი |
| ბრინჯაო | კაიტლინ სანდენო | აშშ |
| 4x100მ. თავისუფალი სტილი | | ვაჟები |
| ოქრო | სამხრეთ აფრიკა | |
| ვერცხლი | ჰოლანდია | |
| ბრინჯაო | აშშ | |

ნესტორი ნახევარფინალში გავიდა.

იქ კი მას ირანელი მასუდ ჯაჰი ახონდზადე ელოდა. ახონდზადე დიდი კერკეტი კაკალი გამოდგა. მეოთხედფინალისაკენ გზა უპრობლემოდ გაიარა და მას შემდეგ, რაც მეოთხედფინალში ბერძენი რევაზ ზინტირიდისი დაამარცხა, ნესტორ ხერგიანს შეეყარა. ზინტირიდისი საბერძნეთში ქუთაისიდან აღმოჩნდა. საქართველოში ის გედენიძის გვარით იყო ცნობილი; კარგადაც იჭიდავა - ირანელს ვაზარისა და იუკოს უგებდა. ეს, ფაქტობრივად, გამარჯვებას ნიშნავს, მაგრამ, წმინდა დაუდევრობის გამო, მეტოქის ფანდზე წამოეგო და ირანელს, თითქმის, განაღდებული გამარჯვება დაუთმო. ჩვენთვის კარგიაო, - ამბობდნენ ქართველები. მართლაც, ზინტირიდისის ყოველ ბრძოლას ტრიბუნებიდან ბერძენთა გამაყრუებელი ყიჟინა ახლდა და ამ ყიჟინის ფონზე ჭიდაობას ისევ ახონდზადესთან შეხვედრა სჯობდა.

დასრულდა შესვენება და, როგორც იქნა, ტატამზე გამოჩნდა ნესტორი. აღმოჩნდა, რომ ირანელი არც ისეთი საშიში იყო, როგორიც ჩანდა. ერთადერთი, რაც ნესტორს მის წინააღმდეგ ორთაბრძოლაში მართებდა, კონცენტრაცია იყო და ირანელი, თითქმის, უშანსოდ რჩებოდა. ადრე მას ნესტორი რამდენჯერმე შეხვედრია და ბალანსიც ქართველი ფალავნის ოდნავ უპირატესობაზე მეტყველებდა. ნესტორმა თავის მეტოქეს ლაზათიანი შუა სარმით ვაზარი აართვა და გავიდა ფინალში, სადაც ღირსეულ ბრძოლაში დამარცხდა ნომურასთან.

"ნომურა უძლიერესი ფალავანია მსოფლიოში. მას უკვე წლების განმავლობაში ბადალი არ მოეპოვება. ის ათენში მესამედ გახდა ოლიმპიური ჩემპიონი. თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რას ნიშნავს ეს. ნესტორმა მის წინააღმდეგ ყველაფერი იღონა, მაგრამ, რომ იტყვიან, თავს ზევით ძალა არ იყო. სხვათა შორის, ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ ნესტორს ბრძოლაში ქულა არ დაუკარგავს. მან პასიური ჭიდაობის გამო წააგო. დასაწყისისთვის ვერცხლს არა უშავს", - განაცხადა ხერგიანის მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა.

### მარგოშვილისგან მედალს ველოდით...

"დავით მარგოშვილი უნიჭიერესი ძიუდოისტია და ერთ-ერთი საუკეთესოა თავის წონაში. მისგან მედალს აუცილებლად ველოდით ", - ბრძანა საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა შოთა ხაბარელმა. დავით მარგოშვილი ბულგარელ გეორგიევს ოთხჯერ შეხვედრია და ოთხჯერვე დაუმარცხებია. ჩვენი ფალავანი გუშინაც იგებდა; იუკო აუღო ბულგარელს და ოდნავ მოდუნდა კიდეც, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ გეორგიევის ფანდზე წამოგებულიყო. მარგოშვილმა მას საკუთარი ფანდიც შეაგება, მაგრამ ვინაიდან შეტევა ბულგარელის წამოწყებული იყო, მსაჯმა იპონი სწორედ მას ჩაუთვალა.

"შეიძლება გდება ვაზარს იმსახურებდა, მაგრამ სუფთა ნამდვილად არ ყოფილა. მსაჯმა ამ შემთხვევაში ძალიან დაგვჩაგრა. ჩვენთვის მარგოშვილის მარცხი ძალიან მტკივნეული იყო, რადგან გათამაშებას გამოეთიშა ერთ-ერთი ფავორიტი - ფრანგი ბენბოდუ და მარგოშვილს წინ წაწევის რეალური შანსიც გაუჩნდა", - განაცხადა შოთა ხაბარელმა.

სანუგეშო ტურნირში დავით მარგოშვილი ჩვეული რიტმით ამოქმედდა. მან თურქი ევროპის ჩემპიონი დემირელი გააკრა ტატამზე, შემდეგ ყაზახი კიპშაკბაევიც გააცამტვერა, არგენტინელ ხორხე ლენცინასაც აწვნევინა მარცხი და მესამე ადგილისთვის ბრძოლაში კუბელ არენციბიას შეხვდა. ეს კუბელი კერკეტი მეტოქე გამოდგა. მან ნახევარფინალი სლოვაკ კრანაკს უშელავათო ბრძოლაში დაუთმო და საპრიზო ადგილისათვის საბრძოლველად დიდ გულზე იყო. კუბელმა 25 წამში გაიმარჯვა.

"ძალიან გული დამწყდა, რომ მარგოშვილი უმედლოდ დარჩა", - განაცხადა ხაბარელმა და დავით ქევხიშვილზეც ისაუბრა, რომელიც დღეს ჭიდაობს.

შოთა ხაბარელი: "დათო ძალიან კარგად არის მომზადებული, მაგრამ არ გაუმართლა, ძალიან ძლიერ ჯგუფში მოხვდა. მასთან, ფაქტობრივად, თავმოყრილია ყველა უძლიერესი ფალავანი.

პირველ ბრძოლაში ჩვენი ფალავანი იაპონელ ტაკამაცუს ხვდება. თუ ეს ბარიერი დაძლია, მერე რუს მსოფლიო ჩემპიონს მაკაროვს შეერკინება. ამავე ბადეშია ფრანგი ფერნანდესიც. ქევხიშვილი ტაკამაცუს ადრეც შეხვედრია; პარიზის ტურნირის ფინალში სწორედ მასთან წააგო.

დათო ხვალ გაიგებს, რომ იაპონელს ხვდება, წინასწარ არ ვეუბნებით".

გუშინ ოლიმპიადა კიდევ ორმა ქართველმა სპორტსმენმა დაასრულა. ნინო სალუქვაძე სამი სერიის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში იმყოფებოდა, მაგრამ მეოთხე სერია ცუდად შეასრულა და მეორე ათეულში ჩამოქვეითდა.

*მიმართვა*

### საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდიუმის მიმართვა ოს და ქართველ ხალხს

მეგობრებო!

ცნობილი ფაქტია, რომ ერთი სისხლის და ხორცის, ერთი მიწა-წყლისა და ერთი ცის ქვეშ დაბადებული ორი მოძმე ქართველი და ოსი ხალხი საუკუნეების ქარტეხილებსა და თავდასხმების ქარცეცხლში ერთ მუშტად შეკრულნი ებრძოდნენ ათასი ჯურის მომხდურთ, რათა არ დაეკარგათ დამოუკიდებლობა, თავისუფლება და ერთიანობა. შორს წაგვიყვანდა იმ ბრწყინვალე საბრძოლო ეპოპეების ჩამოთვლა, რომლებიც ოქროს ასოებითაა ჩაწერილი ამ ორი ხალხის თანაარსებობისა და თანაცხოვრების ისტორიაში.

ქართველი და ოსი ხალხი ჭირსაც და ლხინსაც ერთად ხვდებოდა, დღესაც მრავალი შერეული ოჯახი ჰარმონიულად აგრძელებს ცხოვრებას. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აღმოსავლეთ, ასევე, დასავლეთ საქართველოში ქართველები და ოსები ერთად აშენებენ მათთვის საოცნებო ქვეყანას, თუმცა ორი ერის თანადგომა მავანსა და მავანს არ მოსწონს; არის დიდი მცდელობა მოძმე ერები ერთმანეთს ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რასაც ცალკეულ შემთხვევებში აღწევენ კიდეც. გონს მოვეგოთ, ჩვენო დებო და ძმებო, ჩვენო ახლობლებო; გამოვიჩინოთ მეტი გამჭრიახობა, რათა სანანებელი არ გაგვიხდეს საუკუნეებით ნაშენების დანგრევა; ჩვენს მომავალს ნუ დავუტოვებთ ორი ერს შორის შურს, მტრობას, სიძულვილს, გაუტანლობას, რაც დამღუპველი იქნება ორივე ხალხისთვის.

დაიწყო ზაფხულის 28-ე ოლიმპიური თამაშები. მსოფლიოს კაცობრიობის ყურადღება ათენისკენაა მიმართული. საქართველოს სპორტულ დელეგაციაში ქართველებთან ერთად ოსები სომხები და სხვა ერის წარმომადგენლებიც არიან. მათი მიზანი ერთია, რაც შეიძლება, მეტი სპორტული წარმატება მოუტანონ თავიანთ ქვეყანას. ისტორიულად ოლიმპიური თამაშების ჩატარების დროს ქვეყნები წყვეტდნენ ომს და ისადგურებდა მშვიდობა. ჩვენ კი, ორ ერს, ქართველ და ოს ხალხს საომარი არაფერი გვაქვს. საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმი მოქმედი და ვეტერანი მოჭიდავეები მოგმართავთ თხოვნით, შეწყვიტოთ ურთიერთ ფიზიკური დაპირისპირება, ყოველგვარი პრობლემა გადაწყვიტოთ ცივილიზებული მეთოდებით, მით უმეტეს - პოლიტიკოსებთან ერთად ამის უფლება მოჭიდავეებსაც გვაქვს; ყველაზე დიდი მეგობრობა ხომ ოს და ქართველ მოჭიდავეებს ჰქონდათ და დღესაც აქვთ.

გვჯერა, რომ გაიმარჯვებს საღი აზრი, გვჯერა, რომ ქართველებსა და ოსებს შორის დაისადგურებს მშვიდობა.

***ღრმა პატივისცემით,***

*გოჩა ძასოხოვი (ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი)*
*დავით ციმაკურიძე (ოლიმპიური ჩემპიონი.*
*ვახტანგ ბალავაძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი)*
*გიორგი სხირტლაძე (მსოფლიოს ჩემპიონი)*
*გურამ საღარაძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი)*
*ზარბეგ ბერიაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი)*
*რომან რურუა (ოლიმპიური ჩემპიონი)*
*ლევან თედიაშვილი (ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი)*
*ვახტანგ ბლაგიძე (ოლიმპიური ჩემპიონი)*
*ელდარ კურტანიძე (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი)*
*გივი ყვარელაშვილი (მსოფლიო თასის მფლობელი)*
*მიხეილ სალაძე (მსოფლიოს ჩემპიონი)*
*თემურ ყაზარაშვილი (მსოფლიოს ჩემპიონი)*
*თემურ აფხაზავა (მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი)*
*დავით გობეჯიშვილი (ოლიმპიური ჩემპიონი)*
*ლერი ხაბელოვი (ოლიმპიური ჩემპიონი)*
*ბეგი დარჩია (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი)*
*ზაზა თურმანიძე (საქართველოს ნაკრების მწვრთნელი)*
*ომზარ შოშიტაიშვილი (გენერალური მდივანი)*

*მოკლედ*

# საჩემპიონატო მოსაზრებები დინამოს გარშემო

მიხეილ აბაიშვილი



*ამჯერად დევაძემ "თბილისის" კარი იხსნა.*

ფეხბურთში საქართველოს ჩემპიონატის მესამე ტური ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტების - თბილისის "დინამოს" და "თბილისის" მატჩით გამოირჩა. ეს თბილისური "დერბი", ტრადიციულად, ყოველთვის დაძაბულ და უკომპრომისო ბრძოლაში მიმდინარეობს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი, თამაშისადმი ინტერესს ისიც აძლიერებდა, რომ "დინამომაც" და "თბილისმაც" 3 დღის წინ უეფა-ს თასის მეორე ეტაპის შეხვედრები ითამაშეს და - არცთუ ურიგოდ. მართალია, ორივე ჩვენი გუნდი დამარცხდა, მაგრამ მათ მიერ ნაჩვენებმა თამაშმა ნათელჰყო, რომ ევროპულ ფეხბურთს არც ისე ძალიან ჩამორჩებიან. რამდენად მნიშვნელოვანია "დინამოსა" და "თბილისის" შანსები უეფა-ს თასის შემდეგ ეტაპზე გასასვლელად, ძნელი სათქმელია. ყოველ შემთხვევაში, გუშინდელ შეხვედრას ის მაინც უნდა გამოევლინა, რამდენად რეალურია ამ გუნდების ეროვნულ ჩემპიონატში გამარჯვების პრეტენზია; და გამოვლინდა კიდეც -

სხვისი რა მოგახსენოთ, მე კი გამოვთქვამ პროგნოზს, რომ "დინამოს" წელს ჩემპიონობას ვერავინ შეეცილება. შეიძლება, ვინმემ ეს მოსაზრება ძალზე ნაადრევად და არასერიოზულად ჩათვალოს, რადგან ჯერ მხოლოდ 3 ტურია ნათამაშები, მაგრამ ამ სამ ტურში, გარდა იმისა, რომ "დინამომ" სამივეჯერ დამაჯერებლად გაიმარჯვა, ორჯერ მთავარ კონკურენტებთან - "ვიტ ჯორჯიასთან" და "თბილისთან". წინ კიდევ ბევრი თამაშია, მაგრამ ასეთ "დინამოს", მერწმუნეთ, საქართველოში ვერავინ შეაფერხებს.

არამხოლოდ ტურის და პირველი ეტაპის, მთელი ჩემპიონატის ერთ-ერთ ცენტრალურ თამაშს დავუბრუნდები, რომელშიც, სხვადასხვა მიზეზით, "დინამომ" წამყვანი ფეხბურთელების მთელი ჯგუფი მოისაკლისა. ახალაია, კვირკველია, სილაგაძე და რომერო ისევ ტრავმირებულები არიან; ზოიძე და ბურდული კი გეგუჩაძემ, "სლავიასთან" დამღლელი მატჩის გამო, დაასვენა. ძირითად შემადგენლობაში არც კანკავას უთამაშია, თუმცა ეს შეხვედრის მსვლელობაზე და "დინამოს" მიერ მატჩის ბედის თავის სასარგებლოდ გადაწყვეტაზე არ ასახულა.

თამაში თავიდანვე სწრაფი ტემპით დაიწყო და ორივე გუნდი მოედნის ცენტრზე კონტროლის დამყარებას ლამობდა. ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებულ წარმატებას ვერც ერთმა ვერ მიაღწია და პირველი ტაიმის საწყისმა ოცმა წუთმა მოედნის ცენტრალურ ნაწილში ბურთის უინტერესო გორაობაში განვლო. სწორედ ამ პერიოდის გასვლის შემდეგ "დინამომ" აქტიური 2-წუთიანი მონაკვეთი ჩაატარა, გონჩაროვის მიერ ზედა ძელიდან ასხლეტილ ბურთს გრიგალაშვილმა ყველაზე ადრე მიუსწრო და სადებიუტო გოლი გაიტანა ეროვნულ ჩემპიონატში; შემდეგ მცველების შეუთანხმებელი მოძრაობით ისარგებლა გონჩაროვმა და ანგარიში 2:0 გახადა. გაშვებული გოლების გამო, "თბილისის" მეკარის აკაკი დევაძის დადანაშაულება ნამდვილად არ შეიძლება - იგი საკუთარმა მცველებმა დააღალატეს.

ამ ორი გოლით არ დასრულებულა პირველ ტაიმში "თბილისის" უბედობები. 38-ე წუთზე ალადაშვილის ფლანგური გარღვევისა და ჩაწოდების შემდეგ კაკალაძემ ბურთი მკერდით "ჩამოიღო", კარისკენ დაარტყა და მესამე გოლი გაიტანა. დევაძე ამ შემთხვევაშიც უბრალო იყო, რადგან ბურთი გზად თბილისელ მცველს შეეხო, მიმართულება შეიცვალა და ისე შეგორდა კარში.

მეორე ტაიმი უკვე ფორმალობად იქცა. "დინამომ" ზედმეტად აღარ იაქტიურა, თუმცა, არც მეტოქეს მისცა გოლის გატანის საშუალება. მხოლოდ შეხვედრის მიწურულს, როცა მატჩის ბედი, პრაქტიკულად, გადაწყვეტილი იყო, გეწაძემ მიკუჩაძის პასით პრესტიჟის გოლის გატანა მოახერხა. თუმცა, "დინამომ" არც ეს "თავხედობა" აპატია მეტოქეს და 90-ე წუთზე, დვალის გოლით, 3-ბურთიანი სტატუსქვო აღადგინა. ამ გოლებს შორის ნერვები ვერ მოთოკა აფციაურმა, რომელიც მსაჯთან შელაპარაკებისთვის მოედნიდან გააძევეს.

**მე-3 ტური**
**14 აგვისტო**

| | |
|---|---|
| ზესტაფონი - ლოკომოტივი | 1:4 |
| კოლხეთი - ტორპედო | 0:1 |
| დინამო(ბთ) - სიონი | 2:0 |
| **15 აგვისტო** | |
| დილა - ვიტ ჯორჯია | 1:3 |
| დინამო (თბ) - თბილისი | 4:1 |

*TV-სპორტი*

**ორშაბათი. 16 აგვისტო**

**НТВ+ФУТБОЛ**
06:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. იაპონია - იტალია
07:45 07:45-დან 08:30-მდე შესვენება
08:30 "ოლიმპიური ოდისეა"
09:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. დღის ანონსი
09:40 "ოლიმპის შვილები"
09:45 ოლიმპიური პრესცენტრი
10:00 გადაძახილი
11:15 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ვაჟები. იტალია - აშშ
12:45 გადაძახილი
13:40 ოლიმპიური პრესცენტრი
13:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. სასტენდო სროლა. ქალები. სატრანშეო სტენდი. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. პირველი წრე
15:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ტყვიით სროლა. ვაჟები. პნევმატური შაშხანა. 10მ. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. იტალია - იაპონია
17:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალბურთი. ქალები. რუსეთი - კანადა. პირდაპირი ტრანსლაცია
18:30 ოლიმპიური პრესცენტრი
18:45 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. პირველი წრე
20:10 ოლიმპიური პრესცენტრი
20:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ცურვა. ნახევარფინალები და ფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
22:05 "ოლიმპიური დღე". უმთავრეს ასპარეზობათა ფრაგმენტები
23:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალში ხტომა. ვაჟები. ტრამპლინი 3მ. სინქრონული ხტომები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 "მითი და რეალობა"
00:10 "თემა"
00:40 "ოლიმპიური ოდისეა"
01:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ქალები. რუსეთი-ავსტრალია
03:10 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. პირველი წრე
04:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. ეგვიპტე - გერმანია

**НТВ+СПОРТ**
07:55 ოლიმპიადის დღიური
08:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ჩოგბურთი. პირველი წრე
10:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. ხელბურთი. ვაჟები. კორეა - რუსეთი. პირდაპირი ტრანსლაცია
12:10 ოლიმპიური პრესცენტრი
12:25 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ვაჟები. საბერძნეთი-ავსტრალია
13:50 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფეხბურთი. ვაჟები. იაპონია - იტალია
15:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კალათბურთი. ქალები. ჩეხეთი -აშშ. პირდაპირი ტრანსლაცია
17:15 ოლიმპიური პრესცენტრი
17:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ქალები. 58კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
19:10 ოლიმპიური პრესცენტრი
19:25 ოლიმპიადის დღიური
19:55 რუსეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
20:55 ოლიმპიური თამაშები ათენში. ძალოსნობა. ვაჟები. 62კგ. პირდაპირი ტრანსლაცია
22:40 ოლიმპიური თამაშები ათენში. ფრენბურთი. ქალები. რუსეთი-კუბა. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 ოლიმპიური თამაშები ათენში. წყალში ხტომა. ქალები. კოშკურა 10მ. სინქრონული ხტომები. ფინალი
00:30 ოლიმპიური თამაშები ათენში. კრივი. 57კგ. 60კგ. წინასწარი შეხვედრები
01:30 ოლიმპიადის დღიური
02:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა

**EUROSPORT**
06:00 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
07:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
08:00 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
08:30 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
08:45 ოლიმპიური თამაშები. ახალი ამბები
09:15 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
09:30 აკადემიური ნიჩბოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
11:15 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
12:45 პლაჟის ფრენბურთი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
13:45 ოლიმპიადის სიახლეები
14:00 ტყვიით სროლა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
14:45 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
19:15 ძიუდო. ოლიმპიური თამაშები ათენში
20:15 ოლიმპიადის სიახლენი
20:30 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
22:00 ძალოსნობა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში
23:15 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში. პირდაპირი ტრანსლაცია
00:00 კრივი. ოლიმპიური თამაშები ათენში
01:00 "ოლიმპიკ ექსტრა". ტელეჟურნალი
02:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
02:15 სპორტული ტანვარჯიში. ოლიმპიური თამაშები ათენში
03:15 ფარიკაობა. ოლიმპიური თამაშები ათენში
04:00 ცურვა. ოლიმპიური თამაშები ათენში
05:00 წყალში ხტომა. ოლიმპიური თამაშები ათენში

*რაგბი*

# აფრიკა თუ ავსტრალია

## ისევ მომძლავრებული სამხრეთ აფრიკას სამი ერის მოგების შანსი გაუჩნდა

პაატა თოთაძე

**სამი ერის გათამაშება**

ს. აფრიკა - ახ. ზელანდია 40:26

**სამხრეთი აფრიკა:**
5 ლელო - ჟუბერი (3), პოლსე, დე ვილიე
3 გარდასახვა და 3 საჯარიმო - მონტგომერი

**ახალი ზელანდია:**
2 ლელო - მულიაინა, როკოკოკო
2 გარდასახვა და 4 საჯარიმო - მერთენსი



*მარიუს ჟუბერმა ზელანდიელები სამჯერ დაალელოვა.*

მრავალჯერ თქმულა, - სამხრეთ აფრიკა წელს ძველებურად მომძლავრებულია და სამი ერის გათამაშების მოგების შანსიც აქვსო. ეს ჯერ კიდევ ავსტრალიასა და ახალ ზელანდიაში "ქურციკთა" სტუმრობამ დაადასტურა - ორივე მატჩი აფრიკელებმა ბოლო წუთზე დათმეს, თუმცა პრემიალური ქულის მოპოვება ორივეჯერ შეძლეს.

მიუხედავად ამისა, გუშინწინდელ შეხვედრაში ფავორიტებად მაინც ახალზელანდიელები ითვლებოდნენ - ალბათ, იმიტომ, რომ ბოლო წლებში სამხრეთ აფრიკა ძველებურად ვერ მძლავრობდა და სამხრეთელ მეტოქეებთან ჭიდილში უმეტესად მარცხდებოდა. გუშინწინ კი ყველაფერი სხვაგვარად მოხდა, როგორც ადრე - სამხრეთ აფრიკელმა "ქურციკებმა" ახალი ზელანდიის "ოლ ბლექსი" დაამარცხეს და ტურნირის მოგების ჩინებული შანსი მოიპოვეს. შაბათს კი, ბოლო მატჩში აფრიკელებმა ავსტრალიის "ვოლაბიზიც" უნდა დაამარცხონ.

გუშინწინდელი მატჩი გარდა იმისა, რომ, სატურნირო თვლსაზრისით, უაღრესად მნიშვნელოვანი იყო, იმითაც გამოირჩა, რომ გუნდებმა თავისუფლების თასი გაითამაშეს. წელს სამხრეთ აფრიკაში პირველი დემოკრატიული არჩევნებიდან ათი წლის იუბილეს აღნიშნავენ და ეს თასიც ამ მოვლენას ეძღვნებოდა.

სამხრეთაფრიკელები მთელი შეხვედრის განმავლობაში დომინირებდნენ მოედანზე, თუმცა საწყის წუთებში მეტოქეს 10:0-ით დაწინაურების საშუალება მაინც მისცეს და ზელანდიელთა ჩათვლის მოედანთან 5 მეტრში ლელო ვერ გაიტანეს. მასპინძელთა უპირატესობა ტერიტორიულადაც გამოიხატებოდა და ბურთის ფლობაშიც. ამას კი, შეუძლებელი იყო, შედეგი არ გამოეღო. მატჩის გმირი მარიუს ჟუბერი გახდა,რომელმაც ჰეთ-თრიკი შეასრულა - ანუ სამი ლელო გაუტანა მეტოქეს. ის გახდა მეორე მორაგბე სამხრეთაფრიკული რაგბის ისტორიაში, რომელმაც ეს მოახერხა ახალ ზელანდიასთან მატჩში (პირველად "ოლ ბლექსს" სამი ლელო რეი მორდტმა გაუტანა 23 წლის წინათ).

თვალში საცემი იყო სამხრეთაფრიკელთა ჩინებულად ორგანიზებული დაცვა. ზელანდიელთა უკანა ხაზი რაგბის მოყვარულთათვის კარგად არის ცნობილი. აფრიკელებმა კი მათი შეჩერება მოახერხეს და, რაც მთავარია, თავად ითამაშეს შესანიშნავად შეტევაში. ანგარიშში სხვაობის შემცირება და მატჩში გარდატეხის შეტანა პირველი ტაიმის შუაში დაიწყო. ჟუბერი გაექცა ტანა უმაგას და თავისი პირველი ლელო გაიტანა. ამას "ზებერი" მერთენსის ჯარიმა მოჰყვა, მაგრამ აფრიკელები იმდენად კარგად თამაშობდნენ, რომ ეჭვი არავის შეჰპარვია მათ გამარჯვებაში. ტაიმის დასრულებამდე 10 წუთით ადრე აფრიკელები უკვე 19:13-ს იგებდნენ. ამას ისევ მერთენსის ჯარიმა მოჰყვა და ტაიმიც 19:16 დასრულდა.

შესვენების შემდეგ ზელანდიელები ძალიან გააქტიურდნენ და ერთხანს სამხრეთაფრიკელები საკუთარი ნახევრიდან გადასვლას ვერ ახერხებდნენ. ამ დროს გაიტანა როკოკოკომ ზელანდიელთა მეორე ლელო და სტუმრები კიდევ ერთხელ დაწინაურდნენ 23:22. ამის მერე კიდევ იყო ერთი ეპიზოდი, როცა ზელანდიელებმა ანგარიშში უპირატესობა მოიპოვეს - 26:25 (გუნდებმა ჯარიმები გაცვალეს), მაგრამ შემდეგ მოედნის ბატონ-პატრონები აფრიკელები გახდნენ და...

**სატურნირო ვითარება ბოლო მატჩის წინ**

| | თ | მ | ფ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| **ავსტრალია** | 3 | 2 | 0 | 1 | 9 |
| **ახ. ზელანდია** | 4 | 2 | 0 | 2 | 9 |
| **სამხ. აფრიკა** | 3 | 1 | 0 | 2 | 7 |

# აგვისტოს მოსაწყენი, ცხელი დღეები





ანა კორძაია-სამადაშვილი

ცხელა და საშინელი მოწყენილობაა. თავმოყვარე ხალხი ისვენებს, და შოუბიზნესის ვარსკვლავების ამბებს (ცხადია, პირადი ცხოვრების დეტალებს) ერთი-ორი ჩემნაირი სიცხით გათანგული ობივატელი თუ ეცნობა.

ამბებიც ბევრი ვერაფერი მოსასმენია. მაგალითად, გავიგე - ცხადია, ჩემთვის პირადად არავის არაფერი უთქვამს, “ბილდ ამ ზონტაგში” ეწერა, - რომ ლაიზა მარია პრესლის ოჯახური კერის სიყვარული უამრავმა განქორწინებამაც ვერ მოაშლევინა, და ახლა ის კვლავ, ანუ მეხუთედ თხოვდება. მისი რჩეული მუსიკოსი მაიკლ ლოკვუდი ყოფილა, რომლისგანაც ლეგენდარული ელვის პრესლის ასულს შვილის გაჩენაც ჰქონია დაგეგმილი. როგორც ჩანს, მაიკლი კარგი ბიჭია, მაგრამ თავიდან ლაიზა მარიას მაიკლ ჯექსონი და ნიკოლას ქეიჯიც კარგი ბიჭები ეგონენ.

ჩემთვის ეს ისტორია ბევრი ვერაფერი სიხარული იყო - არც ლაიზა მარია მომწონს და მაიკლ ლოკვუდისაც არაფერი ვიცი. აი, მადონას ამბავმა კი გამართო: მუხლამდე ჩექმებში, შავ შარვალსა და ვერცხლისფერ ტოპში გამოწყობილმა მადონამ ორწლიანი განშორების შემდეგ დიდ ბრიტანეთში მცხოვრებ ფანებს Into The Groove უმღერა, და დასკვნის სახით, ნიშნად იმისა, რომ მადონა დიდი ბრიტანეთის ერთგული შვილობილია, სცენაზე გუდასტვირიც აჟღერდა. თურმე დარბაზი აღტაცებული და გულაჩუყებული იყო!

სანამ მადონას ფანები თავიანთი კერპის სმენითა და ცქერით ტკბებოდნენ, შეერთებულ შტატებში უძრავი ქონების იმდენად დიდმა ფირმამ, რომ ფირმასაც კი ვეღარ ვუწოდებთ, Elad Properties-მა გამოაცხადა, რომ წლის ბოლომდე მეხუთე ავენიუზე მდებარე სასტუმრო “პლაზას” შეძენა აქვს გადაწყვეტილი. ეს სიამოვნება 675 მილიონი დოლარი ღირს. გებევრათ? სულ ტყუილად!

ეს 19-სართულიანი შენობა 1907 წლის 1 ოქტომბერს გაიხსნა და მაშინ მსოფლიოში უდიდესი სასტუმრო იყო. აქ უამრავი ფილმია გადაღებული, მათ შორის “დიდი გეტსბიც”. იმისთვის, რომ მთლად გადაგრიოთ, მოგახსენებთ, რომ ოთხი წლის წინათ “პლაზაში” მაიკლ დუგლასისა და კეტრინ ზეტა-ჯონსის ქორწილიც გაიმართა.

ამიტომაა, რომ სასტუმროს მფლობელებს მისი ხელიდან გაშვება არ უნდოდათ ხოლმე. მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში მას სულ ოთხი მეპატრონე გამოუცვლია. ამჟამად ის ერთ ბრიტანულ სასტუმროების ჯგუფს და საუდის არაბეთის სამეფო ოჯახის ერთ წევრს ეკუთვნის - მათ ის 1995 წელს მილიარდერ დონალდ ტრამპისგან 325 მილიონ დოლარად უყიდიათ.

არ ვიცი, თქვენ როგორ, მაგრამ მე სიღარიბესა და ავადმყოფობას სიმდიდრე და ჯანმრთელობა მირჩევნია. განსაკუთრებული სიმწვავით მილიონები მაშინ მინდება ხოლმე, როცა მილიარდერები გეზს სარდინიისკენ იღებენ და ელიტარულ კოსტა სმერალდაზე მსოფლიოს ულამაზესი ქალები იწყებენ სეირნობას. მათ შორის ფორმულა 1-ის მენეჯერის ყოფილი სატრფოები უხვად არიან - მაგალითად, ნაომი კემპბელი. სასტუმროს მფლობელმა იჯაშუშა, აქააო, და გაზეთ “ბილდის” კორესპონდენტიც სასწრაფოდ გაქანდა - ზღვაში ჩასახტომად და ნაომის ბრძნული სიტყვების მოსასმენად.

ნაომისაც მდაბიური სურვილები ჰქონია, და ძალიან მესიამოვნა, რომ ამით მაინც ვგავარ. მას უნდა, რომ მთელი მსოფლიო საკუთარი თვითმფრინავით მოინახულოს. ისე, გასულ კვირადღეს სარდინიაში, ოლბიას აეროპორტში 42 კერძო თვითმფრინავი დაეშვა, და შესაბამისად, ყველაფერი შესაძლებელია. ნაომი სარდინიაში იმიტომ ჩასულა, რომ “აქ წყალი ბროლივით გამჭვირვალეა და ბუნება - ულამაზესი. გარდა ამისა, აქ მაგარი რამეების ყიდვაც შეიძლება და დროსტარებაც. ჩემი საყვარელი ადგილებია რესტორანი Cipriani და Next Door, დისკოთეკა Billionaire და სასტუმრო Cala di Volpe - იქ სადილად დავდივარ ხოლმე”.

ასე რომ, სარდინიაზე თუ ჩაბრძანდებით, სწორედ ამ ადგილებში გაიარ-გამოიარეთ, იქნებ ნაომისაც გადაეყაროთ. წესით, მაგარი სანახავი იქნება, გვირჩია კიდეც, რა უნდა გვეცვას აგვისტოს ცხელ დღეებში: “დოლჩე და გაბანას” დიდი მზის სათვალე, “ვან დაჩის” მოკლე ჯინსის ქვედაბოლო და “ლუის ვიტონის” მარგალიტით მოოჭვილი აზღუდი. თვითონ ნაომი სარდინიაზე უამრავი ჩემოდნითაა ჩასული, თუმცა ბრძანა, რომ მხოლოდ სამი რამაა, რის გარეშეც არსებობა არ შეუძლია: “ჩემი მობილური ტელეფონი; რომელიმე ჩემი საკუთარი ტანის კრემი, მაგალითად, “სანსეტი”, რომ კანი ხავერდივით ნაზი მქონდეს; და დასავლეთინდური ჩილის საწებელი, ცხარე საჭმელი მიყვარს და ყველაფერს ამით ვკმაზავ ხოლმე”. ძალიან საინტერესო ამბავია, ამის გასაგებად სარდინიაზე გაფრენა ნამდვილად ღირდა.

ნაომი თავისი ყოფით და ამჟამინდელი მდგომარეობით ფრიად კმაყოფილი ყოფილა, რაც სულაც არაა გასაკვირი. “თავისუფალი მარტოხელა ქალის ცხოვრების სტილი ძალიან მომწონს. საკუთარი საზოგადოება შევიყვარე, თუმცა ოდესმე შვილებიც მინდა მყავდეს და ოჯახიც”.

და აი, ნაომის კიდევ ერთი მდაბიური სურვილი, რომელმაც ერთიათად გამითბო გული. “ბილდის” ჟურნალისტმა ჰკითხა, სულ მდიდარ კაცებთან ერთად ტრიალებთ, რა, ისინი უფრო სასიამოვნო საზოგადოება არიანო? ნაომიმ მოკლედ ჩამოაყალიბა: “მათ თავისუფლება აქვთ და ძალაუფლება, ფულით ნაყიდი”. ცუდია, განა?

აბა, რა ჯობია, ზედ ქორწილის წინ დედა გეჩხუბოს, სვირინგს არ გაგაკეთებინებო? ასე ბრიტნი სპირსს მოექცა დედა. ინტერნეტ-სამსახურმა, Teenhollywood.com-მა მთელ მსოფლიოს აუწყა, რომ ბრიტნის და მის საქმროს, კევინ ფედერლინს, საქორწილოდ ერთიდაიგივე სვირინგის გაკეთება ნდომიათ, ოღონდ კევინისა ცისფერი იქნებოდა და ბრიტნისა - ვარდისფერი. მაგრამ არავინ გაახარა. როგორც ჩანს, ბრიტნის ფული აქვს, მაგრამ თავისუფლებას და ძალაუფლებას დღესაც ვერ ეღირსა...

ჯენიფერ ლოპესი კი თითქოს ეღირსა იმას, რაც ძალიან უნდოდა. ის კარიბიის კუნძულ St. Barth-ზე ერთ დამსვენებელს საშხაპესთან შემოჰყრია, და დამსვენებელმა უმალვე ჩაუკაკლა ბრიტანულ გაზეთ “სანს”: “ბედნიერებისგან გაბრწყინებულია და მუცელიც ჩვეულებრივზე დიდი ჰქონდა”. ისე, ჭორიკანა დამსვენებელს ბევრი არაფერი დაეჯერება, ჯერ ერთი-ორი თვე კიდევ ვაცადოთ.

უცნაური ამბავი კია: წესით ხომ ლამაზ და სახელგანთქმულ ქალს განსაკუთრებით ბევრი რამ უნდა ჰქონდეს სათქმელი, მაგრამ არა... პოპ-ვარსკვლავებისა და პოდიუმის მზეთუნახავებზე ბევრად უფრო კარგი მთხრობელი ჯინა ვილდის ამერიკული ვერსია, პორნოვარსკვლავი ჯენა ჯემესონი აღმოჩნდა. მან წიგნი დაწერა, “როგორ ცხოვრობს პორნო-ვარსკვლავი”. ჯენას ბევრი რამ აქვს მოსაყოლი, და ამის გამო უსიამოვნო წინათგრძნობა არა მარტო მამაკაცებს უფუჭებს გუნებას.

საქმე ისაა, რომ ჯენას თურმე კაცებიც უყვარს და ქალებიც, და კაცებიც და ქალებიც მასთან სიამოვნებით იჭერენ საქმეს - სურათი რომ ვნახე, ეს იოლად დავიჯერე. ჰოდა, ჯენაც “ამბებს ხეთქავს”, რა ენაღვლება. მაგალითად, ის წერს, რომ ერთხელ სინდი კროუფორდმა... ამას ვერ დავწერ, სირცხვილია. ჯენა ფრიად შთამბეჭდავად წერს ბრუს ვილისზე, მერილინ მენსონზე და კიდევ მრავალ კაცსა და ქალზე.

საერთოდ, ჯენამ ყველა აქო, ერთადერთი, ნიკოლას ქეიჯზე დაწერა, რომ მას “უსახლკაროთა კონცენტრირებული ოფლის სუნი ჰქონდა”. ალბათ, ნიკოლასს სისხლი ჩაექცევა. თუმცა, არა - მას ფრაზა ჩემზე ადრე ექნებოდა წაკითხული, და მისი სისხლის ჩაქცევის ამბავი კი არსად შემხვედრია. რომ მომკვდარიყო, აუცილებლად დაწერდნენ, მეტი რა უნდა წეროს ყვითელმა პრესამ ზაფხულის ცხელ დღეებში...

## TV პროგრამა

16 აგვისტო

### რუსთავი - 2

**07.30** დილა მშვიდობისა **08.00** "ტელელიპუცები" **09.40** სერიალი "შურისძიება" **11.00** ღამის შოუ დ. გოგიჩაიშვილთან ერთად **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.10** კურიერი **12.20** დისკავერი **13.20** მხ. ფილმი "ის იწყებს გაბრაზებას" **15.25** სერიალი "სასწრაფო" **16.30** სერიალი "ალფი" **17.05** სერიალი "მაშველები" **18.20** "ტელელიპუცები" **18.55** "დისკავერი" **19.45** სერიალი "შურისძიება" **22.00** სერიალი "უკვდავი" **23.00** სერიალი "სოპრანოს კლანი". **00.00** მხ. ფილმი "გაიცანით ჯო ბლექი". მთ. რ-ში: ბრედ პიტი, ენტონი ჰოპკინსი (18).

### პირველი არხი

**07.30** ალიონი **08.10** "ღამის მოამბე" გამეორება **09.00, 12.00, 15.00, 20.00, 23.00** მოამბე **09.10** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **09.40** "იმღერე რამე" **10.10** სერიალი "მორიგი მსხვერპლი" **11.00** სტუმრად მსახიობთა სტუდიაში - ჰ. ფორდი **12.15** ტელესერიალი "სოლედადი" **13.00** სერიალი "ფორსაიტების საგა" **14.00** მოამბე ოსურ ენაზე **14.15** დოკ.სერიალი "სასტუმრო ჟორჟ მე-5" **15.20** სერიალი "ზაფხულის საიდუმლო" **16.00** მოამბე ინგლისურ ენაზე **16.10** სერიალის გაგრძელება **16.30** დოკ. ფილმი **17.05** მულტსერიალი "დაკარგული სამყარო" **17.30** მუს. არჩევნები **18.00** ვესტნიკი **18.20** სერიალი "სენ-ტროპე" **19.00** "იმღერე რამე" **19.40** ბასტი-ბუბუ **21.05** სერიალი "სოლედადი" **22.00** სერიალი "ფსიქფაქტორი" **00.00** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.20** მხ. ფილმი "დორიანი" (15)

### 202

**10.00** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ჰამლეტი" (მელ გიბსონი) (გ) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "თეთრი ოლეანდრი" (მიშელ ფაიფერი) (გ) **17.00** საბ. ფილმი **19.00** სერიალი "მუსკულები" (გან.) **20.00** მხ. ფილმი "ერთი შანსი ორზე" (ბელმონდო) (12) **22.00** სერიალი "მუსკულები" **22.20** ნიკა ქავთარაძის ანეკდოტები **22.30** შიშველი სიმართლე **22.40** ი. სალინაძის "კენო" **23.00** დებატები **00.00** მხ. ფილმი "უკანასკნელი ბოისკაუტი" (ბრის უილისი) (18)

### მზე

**09.00** "ფარული კამერა" **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **10.00** სერიალი "ველური მთვარე" **11.10, 20.50** მინისერიალი "შტრაუსების დინასტია" **12.00, 15.00, 18.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **12.10, 21.45** დეტ. სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **13.10** მხ. ფილმი "მომაკვდინებელი იარაღი" (გ) (მ. გიბსონი) **15.10** სერიალი "მარია ემილია" **16.10** სერიალი "დინოტოპია" **17.10** მულტსერიალი "რედვოლი" **17.35** მულტსერიალი "მეხანძრე ძაღლები" **18.10** დოკ. სერიალი "ექსტრემალური ამბები" **19.00** სერიალი "ველური მთვარე" **22.45** "ტელეპროცესი. ნოე ჟორდანია" **00.00** მხ. ფილმი "ძველი სკოლა" (18) (ლიუკ უილსონი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა" (გ) **21.00** დოკ. სერიალი "მოგზაურობა" **21.30** მოგზაურობა სასიტყვეთში **22.00** მხ. ფილმი "რბოლა-ქვემეხის ბირთვი" (15)

### იმედი

**07.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00, 02.05** ქრონიკა **07.45** ათენის ოლიმპიური თამაშები - მიმოხილვა **09.15, 01.35** ტვ-მარკეტი **09.45** ოლიმპიური თამაშები: პლაჟის ფეხბურთი, ძიუდო, ხელბურთი (კაცები) სლოვენია-ხორვატია **13.10** ძიუდო (გაგრძელება), ხელბურთი (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი. **15.10** ძიუდო (გაგრძელება), მაგიდის ჩოგბურთი (გაგრძელება), ფრენბურთი (ქალები) იტალია-იაპონია, კალათბურთი (ქალები) ჩეხეთი-აშშ. **17.10** კალათბურთი (გაგრძელება), ძიუდო (ფინალები). **19.20** სერიალი "კლონი" **20.05** ოლიმპიური თამაშები: ცურვა, ფარიკაობა, კრივი, ძალოსნობა **22.20** ფრენბურთი (ქალები) რუსეთი-კუბა. **00.05** ოლიმპიური თამაშები - დღის მიმოხილვა **02.20** იმედის მელოდიები

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "შიშისმომგვრელი ბალები" (გ) **21.10** დოკ. ფილმი **22.30** მხ. ფილმი "ლუსი ობრაკი" (15)

### ОРТ

**06.00** Телеканал "Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20** Новый Тарзан в приключенческом фильме **"ШИНА - КОРОЛЕВА ДЖУНГЛЕЙ". 11.30** Дневник XXVIII летних Олимпийских игр. **12.10** Павел Луспекаев в приключенческом фильме **"ГОЛУБАЯ СТРЕЛА". 14.00** Сериал **"ЖЕНЩИНЫ В ЛЮБВИ". 15.20** Детективный сериал **"СЛЕДСТВИЕ ВЕДУТ ЗНАТОКИ: ПУД ЗОЛОТА". 16.30** Криминальная Россия. "Палачи". **1**-я серия. **17.00** "Слабое звено" с Марией Киселевой. **18.20** "Властелины колец". Дневник Олимпиады. **19.00** Сериал **"КЛОН". 20.00** Сериал **"ЧЕРНЫЙ ВОРОН". 21.00** Время. **21.30** Сериал **"УЛИЦЫ РАЗБИТЫХ ФОНАРЕЙ". 22.40** На XXVIII летних Олимпийских играх. **00.00** Спецрасследование. "Цветочная мафия". **00.50** На XXVIII летних Олимпийских играх. **02.00** Энтони Хопкинс в фильме **"НА ИСХОДЕ ДНЯ". 04.10** Приключенческий фильм **"ОТРЯД "СТИЛЯГИ".**

### НТВ

**06.00** Утро на НТВ. **08.50** Сериал **"ДЕНЬ РОЖДЕНИЯ БУРЖУЯ-2". 10.00** Сегодня утром. **10.25** "Женский взгляд". Алина Кабаева. **10.55** Путешествия натуралиста. Италия. **11.25** Ток-шоу "Страна советов". **12.00, 15.00, 17.00, 19.00** "Сегодня" **12.30** Мишель Йео в боевике **"ИСКАТЕЛИ ПРИКЛЮЧЕНИЙ" 14.30** "Профессия - репортер". "Продавцы "звезд". Фильм Никиты Анисимова. **15.35** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** Евгений Сидихин в детективном сериале **"МУР ЕСТЬ МУР". 1**-я серия. **18.35** Протокол. **19.40** Валерий Николаев в боевике **"РОДИНА ЖДЕТ". 1**-я серия. **20.50** Сериал **"Я ВСЕ РЕШУ САМА". 22.00** "Страна и мир". **22.45** Милла Йовович в триллере **"ОБИТЕЛЬ ЗЛА" 00.45** Сериал **"РОДИНА ЖДЕТ"**.

## იაპონური ხატვა

წინა კროსვორდის პასუხი



## სკანვორდი

1. შვედეთის საავტომობილო კომპანია;
2. ვრცელი ბალახიანი მინდორი;
3. მსხვილი მიწათმფლობელი ძველ უნგრეთში;
4. თაიგული შექმნის ხელოვნება;
5. არგენტინელი მწყემსი;
6. თეატრისა და კინოს ქართველი მსახიობი;
7. სტადიონი ერევანში;
8. სოფელი საგარეჯოს რაიონში;
9. ქართული ლუდი;
10. ჯარის ზურგის გასამაგრებელი ნაწილი;
11. ქართველი პოეტი;
12. საკათედრო ტაძარი თელავის მახლობლად;
13. მე-17 საუკუნის ფლამანდელი ფერმწერი;
14. საპარადო ფორმის სატრიბუტი ოფიცრებისთვის;
15. საპრივატიზაციო ჩაკი;
16. მექსიკელ ინდიელთა ტომი;
17. ერთი ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი;
18. ინგლისის საფეხბურთო კლუბი;
19. სათავსო სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოებისათვის;
20. იაპონელი ბუდისტი ბერი;
21. თბილისის “დინამოს” თავდამსხმელი 1957-67 წლებში;
22. მეფის ტიტული მაჰმადიანურ ქვეყნებში;
23. მონეტის წინა მხარე;
24. ქართველი მათემატიკოსი;
25. მემკვიდრეობის მატარებელი ერთეული;
26. ზებგერითი სამგზავრო თვითმფრინავი;
27. გამოსახულება შუქმგრძნობიარე ფირზე;
28. ისტორიული პროვინცია საფრანგეთში;
29. სასტუმრო თბილისში;
30. ფულისა და წონის ერთეული ძველ საბერძნეთში;
31. მჭედელი;
32. ჩირქგროვის კანის ზედაპირთან დამაკავშირებელი არხი.



# კომფორტის სანაცვლოდ

ჯგუფ "ბლექ აიდ პის" ჩანაფიქრი არ გამოუვიდა. მოინდომეს რა გადაჭარბებული კომფორტის შექმნა, ჯგუფის წევრებმა სტუდია სანთლებით მორთეს და სასადილოდ გავიდნენ. შედეგად Glenwood Place სტუდია დაიწვა. მუსიკოსებმა კვამლი გვიან შენიშნეს - მათ მხოლოდ საკუთარი თავისა და მეტად ძვირფასი რამდენიმე ნივთის გადარჩენა შეძლეს. დათვლილია ზარალი - 550 ათასი დოლარის ოდენობით.

ჯგუფს ასეთი უსიამოვნება მორიგი ალბომის - Monkey Business-ის ჩაწერისას შეემთხვა. საბედნიეროდ, წევრებმა ინსტრუმენტების ნაწილთან ერთად ჩაწერილი მასალაც გადაარჩინეს.



# ფოტოალბომი ფანებისთვის

დაახლოებით ოთხასი იშვიათი ფოტო და ილუსტრაცია შეარჩიეს საგანგებო ფოტოალბომისთვის, რომელიც U2-ს საგასტროლო მოღვაწეობას მიეძღვნება. წიგნის სახელწოდებაა U2 Show: The Art of Touring.

ფოტონამუშევრების უმეტესობა დაიანა სკრიმგერის ნამუშევარია. ძირითადად თავმოყრილი იქნება უკანასკნელი ტურნეების - Red Rocks, ZooTV, PopMart და Elevation-ის დროს გადაღებული მასალა. ფოტოების გარდა წიგნში შევა ინტერვიუები მუსიკოსებთან, პროდიუსერებთან, სცენის მუშებთან და მაყურებლებთან. წიგნის თაროებზე წიგნი 21 ოქტომბრიდან გამოჩნდება. როგორც ამბობენ, მისი გამოცემა არანაირად არ უკავშირდება ჯგუფის მორიგი ალბომის გამოსვლას, რაც ასევე შემოდგომაზეა მოსალოდნელი.




# "გრემი" აუქციონზე

ერთ დროს "ბითლზის", პოლ მაკარტნისა და მისი ჯგუფის Wings-თვის მინიჭებული ორი ისტორიული "გრემის" ჯილდოს ქანდაკება კალიფორნიაში გამართულ აუქციონზე გაიყიდება.

საუბარია ჯილდოზე, რომელიც ლივერპულელ ოთხეულს სიმღერისთვის - A Hard Day's Night გადასცეს; მეორე "გრემი" კი მაკარტნიმ და მისმა ჯგუფმა კომპოზიციისთვის - Band on the Run მიიღო.

წინასწარი პროგნოზით, "ბითლზის" ჯილდოსგან დაახლოებით 60 ათას დოლარამდე თანხას ელოდებიან; თანხის ნახევარის აღებას ვარაუდობენ მეორე "გრემისგან". ამას გარდა, აუქციონზე გაიტანენ: ლენონის მზის სათვალეებს; "ოქროს გლობუსს", რომელიც 1959 წელს ფილმ "ბენ ჰურს" გადაეცა, ტომ კრუზის საფეხბურთო ფორმას, მაიკ მაიერსის პიჯაკსა და სტალონეს ხელთათმანებს, რომელიც მსახიობს "როკის" გადაღებებზე ეცვა.





















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.